ნ. ხაჭაპურიძე მ. მირიანაშვილი ლ. ვაშაკიძე

ქართული ენა

მეორე კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ქართული ენა
მეორე კლასი
მასწავლებლის წიგნი

ნ. ხაჭაპურიძე მ. მირიანაშვილი ლ. ვაშაკიძე

რედაქტორი – მაია ყაჯრიშვილი
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის.: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. #5
ტელ.: 568105467, 574 400 857
ელფოსტა: sakmacne@gmail.com, saqartvelosmatsne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
© ნ. ხაჭაპურიძე, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე

გამოცემის წლები: 2003, 2009, 2011, 2023

ISBN 978-9941-16-856-7

საჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების
სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ 4

II. ეროვნული სასწავლო გეგმა 5

III. ინფორმაცია მოსწავლის წიგნისა და რვეულის შესახებ 10

IV. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა
და პრინციპების შესახებ 11

V. კომპლექსური დავალებების მატრიცები 17

თემა 1: ამბები სკოლიდან 17

თემა 2: ფასეულობები – წიგნის სიბრძნე 26

თემა 3: სწავლა-სიახლის ძიება 41

თემა 4: ჩვენი ოთხფეხა მეგობრები 55

თემა 5: ერთმანეთზე ზრუნვა 62

თემა 6: საახალწლო 79

თემა 7: სახალისო ამბები 85

თემა 8: საოცარი ბავშვები 95

თემა 9: ადამიანი და ბუნება 110

თემა 10: წელიწადის დროები 118

თემა 11: საქართველო – ჩვენი სამშობლო 124

VI. საგანმანათლებლო რესურსი 132

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II კლასის სახელმძღვანელოს შესახებ

II კლასის სახელმძღვანელო ერთ-ერთია სახელმძღვანელოთა ციკლში, რომელმაც გრიფირების რამდენიმე კონკურსი წარმატებით გაიარა. ყოველი მათგანი ახლებურად შეგვაფასებინებდა ხოლმე განვლილ ეტაპს, რასაც არაერთი სიახლე და პროგრესული ხედვა შემოჰქონდა სახელმძღვანელოებში. ამას ერთვოდა მასწავლებლებთან თანამშრომლობით მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები. ასე რომ, ავტორთა ჯგუფი, ერთი მხრივ, დიდი გამოცდილების მქონეა, მეორე მხრივ, ღიაა სიახლეების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ I კლასის სახელმძღვანელო საანბანო წიგნია და მას განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს, მასში დაწყებული სასწავლო ამოცანები გრძელდება მომდევნო კლასში. ეს ნათლად ჩანს რუბრიკების დონეზეც.

სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ითვალისწინებს ლიტერატურული ტექსტებისა და ენობრივი ამოცანების ერთ მთლიან, განუყოფელ სწავლებას. ლიტერატურულ ტექსტს ახლავს ის ენობრივი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ამავე ტექსტიდან და ორგანულად არის დაკავშირებული სათანადო ტექსტის აღქმასა და ათვისებასთან, ენობრივი გრძნობის განვითარებასთან. ეს მიდგომა ავტორთა ჯგუფისათვის პრინციპულია და გამომდინარეობს შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობიდან: ამ ასაკის ბავშვი აქტიურად იყენებს მშობლიურ ენას, თითქმის გამართულადაც მეტყველებს, მაგრამ მას არ შეუძლია, სიტყვა და სიტყვათა ენობრივი მიმართებები გაცნობიერებული მსჯელობის საგნად აქციოს. მისთვის ენა „გამჭვირვალეა“, მას მეტყველებისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება აქვს და არა თეორიული. ენისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგად ბავშვს უყალიბდება ე. წ. „ყოფითი ცნებები“ მეტყველების ელემენტების მიმართ, მაგრამ ეს არ არის განზოგადებული და სისტემატიზებული ცოდნა.

ჩვენი სახელმძღვანელოების მეთოდიკა ეყრდნობა ამ ასაკის ბავშვების შემეცნებითი განვითარების აღნიშნულ თავისებურებას. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. ვცდილობთ, პრაქტიკული (და არა თეორიული) გზით ვაქციოთ ენა ბავშვის შემეცნების საგნად, ხოლო მომავალში პრაქტიკული გზით მიღებული და სათანადო სავარჯიშოებით განმტკიცებული გამოცდილება დავუკავშიროთ თეორიულ დეფინიციებს.

ამგვარი მეთოდური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების მეტ აქტიურობას, მონაწილეობას, ინიციატივას გაკვეთილის მსვლელობისას, და არა პასიური „მიმღების“ როლში ყოფნას, როგორც ეს ენობრივი წესების (ცნებების, დეფინიციების) სისტემური სწავლებისათვის არის დამახასიათებელი.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ ცოდნის აქტიურად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, რუბრიკები და ამოცანები თანაბარზომიერად ზრდადი და პროგრესული პრინციპით მეორდება როგორც სახელმძღვანელოში, ასევე რვეულში, რასაც ასაკობრივი პრინციპების გათვალისწინებით ემატება ახალი ამოცანებიცა და რუბრიკებიც.

ამასთანავე, სახელმძღვანელო ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალური ყოფის მდგრადი განვითარების პრინციპებს, საწყისი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც იმით უნდა დავიწყოთ, რომ მოსწავლეებს შევუქმნათ სასწავლო პროცესისა და გარემოსადმი მიკუთვნებულობის განცდა, განცდა იმისა, რომ ისინი თავად ახდენენ გავლენას წესებსა და გადაწყვეტილებებზე, ასევე შეუძლიათ მასალის შინაარსის დაკავშირება თავიანთ გამოცდილებასა და სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტთან.

ჩვენი სახელმძღვანელოების ციკლში შეტანილი რუბრიკები და სამუშაოები ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველების, მოსმენისა და წერითი უნარების

განვითარებას. საინტერესო, ასაკობრივ მოთხოვნებზე გათვლილი და გემოვნებით შერჩეული ტექსტები მოსწავლეს უღვივებს კითხვის ინტერესს და ნელ-ნელა წიგნიერ ადამიანად აყალიბებს.

სასწავლო კომპლექტის ნაწილია რვეული საკლასო სამუშაოებისათვის. მასში შესულია როგორც წერითი, ასევე ლექსიკური, ენობრივი და სააზროვნო სავარჯიშოები. თითოეული სამუშაო მიემართება ძირითად ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ამოცანებს, გათვლილია კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მიზნად ისახავს ნასწავლი მასალის განმტკიცებას, ზოგ შემთხვევაში კი მონიტორინგის ფუნქციაც აქვს.

<u>რაც მთავარია, სახელმძღვანელოთა ციკლი ეყრდნობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და ახალ რეფორმას საგანმანათლებლო სივრცეში, ზრუნავს მისი ყოველი მიმართულების სრულყოფილ განვითარებაზე.</u>

სახელმძღვანელოსა და რვეულებში სხვა მასალასთან ერთად მოცემულია მრავალფეროვანი ენობრივი მასალა თავისი პრაქტიკული ამოცანებითა და სავარჯიშოებით, რომლებიც წიგნსა და რვეულში წარმოჩენილია სინქრონულად. ამგვარად მარტივი პრაქტიკული ამოცანების საშუალებით შეისწავლება: ლექსიკოლოგია – მსგავსი და საპირისპირო სიტყვები, გარამტიკული მასალა – ხმოვნები და თანხმოვნები, წინადადება, თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადება, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი, სულიერი და უსულო სახელები, საკუთარი სახელები, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები; მოსწავლე ეჩვევა სიტყვაზე დაკვირვებას, ამახვილებს ყურადღებას სიტყვის წარმოებასა და მართლწერაზე.

II. ეროვნული სასწავლო გეგმა

დანართი N1

2. ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე
ქართული ენა და ლიტერატურა

შესავალი

საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) გულისხმობს ქართული ენისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის სწავლებას. ქართული ენა დაწყებით საფეხურზე ისწავლება ფუნქციურ კონტექსტებზე დაყრდნობით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია საგნის გრძელვადიანი **მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი** წარმოდგენილია ქვეცნებებისა და თემატური ჩარჩოს სახით, რომლებზე დაფუძნებით ჩამოყალიბდება კონკრეტული სასწავლო საკითხები.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ა) I-IV კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. დაწყ. (I).1**

„ქართ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“.

„დაწყ.(I).“ – მიუთითებს I-IVკლასების სტანდარტს.

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.დაწყ.(I). 1	სტრატეგიების გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით	**ტექსტი** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6) **გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6) **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)** (შედეგები: (I) 2, 4, 6) **დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)** (შედეგები: (I). 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(I). 2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის	
ქართ.დაწყ.(I). 3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტში მოცემული ინფორმაციის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით	
ქართ.დაწყ.(I). 4	სტრატეგიების გამოყენებით მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირებისა თუ ამბის გადმოცემისათვის)	
ქართ.დაწყ.(I). 5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას)	
ქართ.დაწყ.(I). 6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება	

თემატური ჩარჩო

სასწავლო თემები უნდა უკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები; მოგზაურობა;
- ოჯახი/სახლი; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა; შრომა;
- ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
- ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო, მშობლიური კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., დღესასწაულები).

საფეხურის საკვანძო შეკითხვები

საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- როგორ გავიგო ტექსტი? როგორ შევადგინო ტექსტი **(სამიზნე ცნება – ტექსტი)?**
- როგორ შევარჩიო სიტყვები და წინადადებები სათქმელის გამოსახატავად? როგორ გავიმდიდრო სიტყვების მარაგი **(სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)?**
- როგორ აღმოვაჩინო და გამოვიყენო გრამატიკის წესები **(სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული)?**

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

სამიზნე ცნებები	ქვეცნებები
ტექსტი	• *<u>მხატვრული ჟანრები</u>* (მაგ., ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, თქმულება, ლექსი, კომიქსი, ჩანახატი); • *<u>არამხატვრული ჟანრები</u>* (მაგ., საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი, წერილი, რეკლამა, საინსტრუქციო ტექსტი, პოსტერი, დღიური, რეპორტაჟი, ინტერვიუ); • *<u>მულტიმედიური ტექსტები</u>* (მაგ., საბავშვო ფილმი (მხატვრული, ანიმაციური), საბავშვო სპექტაკლი, სიმღერა). *სხვადასხვა ჟანრის ტექსტების:* *<u>შინაარსობრივი მხარე,</u>* მაგალითად: • თემა; • მთავარი იდეა/დედააზრი, ძირითადი საკითხი/პრობლემა; • მთავარი და არამთავარი ინფორმაცია; დეტალი (არსებითი/ მნიშვნელოვანი, არაარსებითი); • პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია; • მხატვრული კონფლიქტი; • სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • ეპიზოდი; დიალოგი; • მოქმედების დრო და ადგილი; • პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო (ფასეულობები, დამოკიდებულებები); პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; • ავტორი, მთხრობელი; • ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის). *<u>ენობრივი მხარე,</u>* მაგალითად: • თემატური ლექსიკა; • მხატვრული ხერხები/ტროპები (მაგ., ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა); • წარმოებული სიტყვები (მაგ., მეპურე, ჯოხიანი); • რთული სიტყვები (მაგ., ხელჯოხიანი, თავქუდმოგლეჯილი, და-ძმა); • მარტივი ფრაზეოლოგიზმები; • სიტყვათა სემანტიკური კავშირები (სინონიმები, ანტონიმები, ლექსიკური ბუდეები). *<u>სტრუქტურა / აგებულება,</u>* მაგალითად: • *ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები* – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა. • *ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები* – ილუსტრაცია, სქემა, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები: დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა. *<u>სტრატეგია</u> (ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირებისთვის),* მაგალითად: *მოსმენის სტრატეგიები* – მოსმენის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ); *კითხვის სტრატეგიები* – კითხვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ); გაწაფული კითხვის სტრატეგიები; *ლექსიკის სწავლის სტრატეგიები* – სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით, სიტყვის აგებულებაზე დაკვირვება, ლექსიკონის გამოყენება, ლექსიკონის შედგენა, წინადადების შედგენა ახალი სიტყვის (სიტყვების) გამოყენებით; *წერის სტრატეგიები* – წერის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ).

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)	*<u>სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება,</u>* მაგალითად: • *თხრობა* – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • *აღწერა* – აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები); • *შედარება* – შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები) • *დასაბუთება* – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალითი (მაგალითები). *<u>სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები,</u>* მაგალითად: • დროითი *მიმართებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., ჯერ, უწინ, ადრე, შემდეგ, დასასრულ);* • *მდებარეობის/სივრცეში ლოკალიზების, ნიშან-თვისებების; ზომის, ფორმის, ფერის, გემოს, სუნის/სურნელის, ტექსტურის, ტემპერატურის, რაოდენობის, შემადგენლობის/მასალის; ფუნქცია-დანიშნულების, მსგავსება-განსხვავების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., შორს, მრგვალი, პრიალა, მჟავე; სხვანაირი, მსგავსი; ისეთივე, როგორიც... და მისთ.);* • *ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები* (მაგ., იმიტომ, რომ; იმისთვის, რომ; რადგან). *<u>ტექსტის ერთეულები</u>* სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური. *<u>საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლები,</u>* მაგალითად: • *საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციის დრო, ადგილი.* • *<u>სამეტყველო ეტიკეტი</u>* • სასაუბრო ფორმები; • თავაზიანი მეტყველების ფორმები.
გრამატიკა (პრაქტიკული)	*<u>გრამატიკის საკითხები</u>* *ფუნქციურ კონტექსტებში წარმოჩენილი:* • *სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე);* • *სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები;* • *ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები;* • *სიტყვაწარმოება;* • *ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები;* • *სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები;* • *სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები;* • *სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით;* • ზმნისწინები *და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები.* *<u>მართლმეტყველება, მართლწერა</u>* • *მართლწერისა და კალიგრაფიის ელემენტარული ნორმები;* • *მართლმეტყველების ელემენტარული ნორმები;* • *სიტყვის* გადატანის წესები.

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის)	*<u>სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი</u>* • *სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა;* • *სიტყ*ვის გრაფემული ხატი.
დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)	*<u>სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი</u>* • *დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი) – ასო, მარცვალი;* • *ხმო*ვანი და თანხმოვანი ბგერები.

შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები

სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)

(შედეგები: (I).4, 5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; შესწავლილი სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვა.

გრამატიკა (პრაქტიკული)

(შედეგები: (I).5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის)

(შედეგები: (I) 2, 4, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბგერების/მარცვლების ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში;
- ბგერების/მარცვლების რაოდენობის განსაზღვრა წარმოთქმულ სიტყვაში/მარცვალში;
- მიმართებების ამოცნობა სიტყვის ხმოვან და გრაფემულ ხატებს შორის.

დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)

(შედეგები: (I). 2, 4, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება;
- სიტყვების/წინადადებების წაკითხვა;
- ასოების, სიტყვების, წინადადებების დაწერა ბადიან რვეულში (კალიგრაფიის ელემენტარული ნორმების დაცვით).

თემატური ჩარჩო

სასწავლო თემები უნდა უკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები; მოგზაურობა;
- ოჯახი/სახლი;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა; შრომა;
- ურთიერთობები (მაგ., უფროს და უმცროს თაობას შორის), კონფლიქტები (თანატოლებს, თაობებს შორის);
- ფასეულობები (მაგ., სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, პატრიოტიზმი, სიკეთე და ბოროტება);
- სამყარო, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო (მაგ., სამშობლოს ისტორია, წარსულის გმირები), მშობლიური კულტურა (მაგ., ენა, კულტურის ძეგლები); კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., საქართველოს კუთხეების ფოლკლორის ძეგლები);
- საინფორმაციო გარემო, ტექნოლოგიები და ინოვაციები.

III. ინფორმაცია მოსწავლის წიგნისა და რვეულის შესახებ

მოსწავლის წიგნს აქვს თავისი ზუსტად განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც ავტორთა ჯგუფის კონცეფციიდან გამომდინარეობს. წიგნის განუყრელი ნაწილია რვეული, საკლასო სამუშაოებისათვის, რომლის გარეშეც მასალის დამუშავება და დასმული ამოცანების რეალიზება არ იქნება სრულყოფილი.

ქართული ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილის ძირითადი მასალაა ტექსტი, რომლის შინაარსი ეყრდნობა ბავშვის ასაკობრივ სპეციფიკასა და სასწავლო ამოცანებს, აქედან გამომდინარე, ხდება სამუშაოთა რუბრიკებისა და სავარჯიშოების შერჩევა. ტექსტები ერთიანდება თემატურ რკალში. ამგვარი გაერთიანების საფუძველი ძირითადად ეყრდნობა თემატურ ჩარჩოს, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ამოცანებს. გამომდინარეობს სამიზნე ცნებებიდან. რვეული ემსახურება დამუშავებული მასალის განმტკიცებას, მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას.

II კლასის სახელმძღვანელოს რუბრიკებია: „სიტყვის სკივრი“, კითხვები, „სასაუბრო“, „დააკვირდი, როგორ იწერება“, „დაიმახსოვრე“, სავარჯიშოები, წერითი დავალება, „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“, „იმუშავეთ ჯგუფებად“, „მოძებნე და წაიკითხე“, „ეს საინტერესოა“, „სახალისო“, კოგნიტური სამუშაოები, „დახატე“, ეს რუბრიკები მთელ სახელმძღვანელოში თანაბრად არის განაწილებული.

ყველა ტექსტს ახლავს ლექსიკონი, იგივე „სიტყვის სკივრი“, და კითხვები. ეს უპირველესი სამუშაო ამოცანებია, რადგან ტექსტის შინაარსის გაგებას უკავშირდება. ტექსტის შინაარსის გაგების შემდეგ, მიზანშეწონილია მისი გააზრება, რასაც ემსახურება „სასაუბრო“, „ჯგუფური სამუშაოები“, „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“, „სახალისო“, „ეს საინტერესოა“, დამხმარე მასალა კი აფართოებს ტექსტის გააზრების არეალს. ენობრივი ცნობიერების პრაქტიკულ გააზრებას ემსახურება რუბრიკა „დაიმახსოვრე“, სავარჯიშოები, „დააკვირდი როგორ იწერება“. რუბრიკას „მოძებნე და წაიკითხე“ შეიძლება, ლიტერატურული, ლექსიკური ან ენობრივი ამოცანა ჰქონდეს. თითოეულ რუბრიკას თავისი ჩარჩო და წარწერა ახლავს, ან აქვს გამოკვეთილი ემბლემა, მაგალითად, კითხვებს გადაშლილი წიგნი და კითხვის ნიშანი აქვს, ხოლო „მოძებნე და წაიკითხეს“ – გადაშლილი წიგნი და ძახილის ნიშანი; სააზროვნო სამუშაოებს გასაღები აქვს მიხატული. იმ ნახატებს, რომლებსაც განსაკუთრებული სასწავლო ფუნქცია აქვს, ქვეშ ერთვის ინსტრუქცია. სავარჯიშოები ჩარჩოებითაა გამოყოფილი. ვფიქრობთ, წიგნი ისეა დასტრუქტურებული, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვისაც ადვილი მოსახმარია. რაც მთავარია, ყველა ეს ამოცანა ემსახურება კომპლექსური დავალებისკენ

ნაბიჯების გადადგმას, რაშიც მთავარი წილი მიუძღვის მასწავლებლის სახელმძღვანელოში გაწერილ სამუშაოებს.

როგორც უკვე ითქვა, რვეული უშუალოდ უკავშირდება დასახულ ამოცანებს, ავსებს და ამრავალფეროვნებს წიგნის მასალას. რვეულის ყოველ სამუშაო მასალასთან მითითებულია ტექსტის სათაური, დანომრილია სამუშაოები. პირველი და მეორე დავალება შეიძლება იყოს: ლექსიკური, ენობრივი, სააზროვნო, ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული, ასევე არეული ტექსტის დალაგება, სასვენი ნიშნების დასმა, მესამე დავალება კი საწერ ბადეში სრულდება. ამასთანავე რვეულში მოცემულია არაერთი მაორგანიზებელი რუკა და სქემა, რომლებშიც მუშაობს მოსწავლე.

IV. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

1. გამჭოლი კომპეტენციები

• წიგნიერება. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

• მედიაწიგნიერება. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა.

• ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.

• რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას გულისხმობს.

• ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

• მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.

• სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.

• სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის ისეთი აუცილებელი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კომპეტენციების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის არ არის ერთი საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კომპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხოდეს მასწავლებელი, თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტს თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით ვერ გამოვიყენებთ. გამჭოლ კომპეტენციათა შორის ჩვენთვის მნიშვნელოვანია წიგნიერება.

რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ, ამის საშუალებას კი ჩვენ მიერ შედგენილი სახელმღვნელოების არაერთი ტექსტი და რუბრიკა იძლევა, მაგ.: „სასაუბრო“, „ეს საინტერესოა“, „სახალისო“ და სხვ.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მედიაწიგნიერება. ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების ერთდროულად გამოყენება ბავშვს უადვილებს სასწავლო ამოცანის წვდომას. ჩვენ სახელმძღვანელოების ციკლში მივმართავთ ხოლმე მულტიმედიას – „ნახე“, „შეადარე“, „გვიამბე“ და ა.შ.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა მინიკვლევის, სტატისტიკური გათვლების სახით, მანამდე კი შეიძლება დავჯერდეთ იმას, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა და ა.შ.

სემიოტიკური კომპეტენცია საკმაოდ აქტიურად შეიძლება განვითარდეს დაწყებით კლასებში. სახელმძღვანელოებში პირდაპირ მოცემულმა ნახატმა მრავალგვარი ფუნქცია შეიძინა. ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს (სადღესასწაულო სიმღერებს) და შემდგომ გამოთქვამენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს. დაწყებით კლასებში მსგავსად აქტიურად შეიძლება ცხრილების გამოყენება (დაფაზე, ფორმატზე, ინდივიდუალურად მუშაობით), მათ შორის უაღრესად პოპულარულია ვენის დიაგრამა და ცხრილი „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა ვიცოდე“.

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ ის მასწავლებელმა შეძლებისდაგვარად აქტიურად უნდა გამოიყენოს მასალის მოსაძლიებლად, თვალსაჩინოების მოსაპოვებლად, მინიბროშურისათვის ტექსტის ასაწყობად და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელია ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება. ეს არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა, ერთი მხრივ, მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მასალასთან მიმართებით, მეორე მხრივ, ის უნდა დავადგინოთ სასკოლო ცხოვრების წესად. სკოლაში ბავშვის მოსვლის დღიდან უნდა დავიწყოთ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებით საფეხურზე ჯგუფური სამუშაოების სწორად ორგანიზებითა და წესების შემუშავება-დაცვაში მოსწავლის ჩართულობით.

2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? – მეტაკოგნიცია არის საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ – საკუთარი ფსიქიკური პროცესების) გადაქცევა შემეცნების საგნად (ობიექტად). პედაგოგიური თვალთახედვით, ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ *სწავლის ქცევის* შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, რომ დააკვირდეს შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: შეასრულა თუ არა სწორად, რა შეცდომები დაუშვა და რატომ? – შემდეგ კი საჭიროა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ზემოაღნიშნული შეცდომები, რადგან...“). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

პასუხი კითხვაზე „რას ვაკეთებ და როგორ?“ ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხის გაცემა ბოლო შეკითხვაზე: „რას გავაკეთებ და როგორ?“ – ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი

განჭვრეტა ანუ ანტიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე მომდევნო სასწავლო ქცევას დაგეგმავს უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესი, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაჩენად), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განსაზოგადებლად). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცეტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერაც ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. განვითარებისეულად, ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდგომ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან), თუმცა მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებით მოქმედება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა – მით უმეტეს, როცა დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების სამართავად, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლება, ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს. მეორე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა თავიდან უნდა გააცნოს სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპები, მოგვიანებით უკვე მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი, დაფაზე მოცემული მოდელის მიხედვით. შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: „ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე – ეს და ბოლოს – ეს.“ საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც; კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს ის.

3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

როგორც ცნობილია, გრიფირების წესების კრიტერიუმებში სხვა სიახლეებთან ერთად შინაარსის ბლოკში ყოველთვის არის საკითხები, რომლებიც სწავლების მიზნებს უკავშირებს მდგრადი განვითარების პრინციპებს. ეს გამართლებულიცაა, თუკი ვთანხმდებით, რომ სკოლას მხოლოდ ცოდნის მიღების ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს, მან უნდა იზრუნოს მოქალაქის აღზრდასა და ცხოვრებისათვის მოზარდის მომზადებაზე; შინაარსი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობდეს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად. იმავე პრინციპების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეში ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბებას, რა თქმა უნდა, ნებსით თუ უნებლიეთ, არ უნდა შეიცავდეს მასალას (ტექსტს, ილუსტრაციას თუ მოწოდებას), რომელიც მოსწავლეს უბიძგებს უარყოფითი ქმედებებისაკენ. სახელმძღვანელოს შინაარსი საშუალებას უნდა იძლეოდეს, კავშირი დაამყაროს მასწავლებელმა მდგრადი განვითარების პრინციპებთან, რასაც საფუძვლად შეიძლება დავუდოთ მდგრადობის ვარსკვლავი:

ლიტერატურული მასალით შეიძლება, მოსწავლეს ყურადღება გავუმახვილოთ: ეკოლოგიაზე, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებაზე, ბუნებრივი კატასტროფების მიზეზებზე, შრომის კულტურაზე, ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანებისადმი თანალმობასა და თანადგომაზე; ტოლერანტობის, ჰუმანიზმის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კულტურული მეობისა და მსოფლიო კულტურებთან კავშირის აღქმაზე; ბავშვთა უფლებების დაცვაზე, უფლებებისა

და მოვალეობების თანაკვეთის პროცესის არსებობაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესებისა და ჯანსაღი კვების პრობლემებზე და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები შეიძლება, რამდენიმე საგნის თემად ვაქციოთ. II კლასში შეტანილია მოთხრობა „ერთი გემი“. მოქმედება ერთ ადგილობრივ გარემოში ვითარდება: ბავშვების გულუბრყვილო თამაშმა დაანაგვიანა ეზოს შადრევანი, სინამდვილეში კი ერთ გემზე მეტი არავის ჩაუშვია აუზში. ეს მოთხრობა შეიძლება გარემოს დანაგვიანების თემას დავუკავშიროთ და ინტეგრირებული სწავლების თემად ვაქციოთ. სასურველია, საუბარი ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილზე გაგრძელდეს: როგორ მოვიქცეთ ეზოში, ქუჩაში, დასასვენებელ პარკში, ექსკურსიაზე, ტყეში, ნაკრძალში... „როგორ დავალაგოთ დედამიწა?“ – ამ პროცესში შეიძლება, მათემატიკური ანგარიში ჩაერთოს და ქართულის გაკვეთილზე ნასწავლი მოთხრობის გათვალისწინებით შედგეს თემატური ამოცანები.

მნიშვნელოვან თემას ეძღვნება ჯანი როდარის მოთხრობა „ერთი და შვიდი“. ის საინტერესოდ გვიმტკიცებს, რომ მსოფლიოში ყველა ბავშვი, მიუხედავად ბევრი განმასხვავებელი ფაქტორისა, ერთმანეთს ჰგავს. ამ მოთხრობასთან მიმართებით მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს სამუშაო სიმბოლური სათაურით „მე რომ ერთ-ერთ ამ ბიჭთან სტუმრად ჩავიდე...“, წყვილებს გავუნაწილოთ ქვეყნები – წარმოიდგინონ, როგორ იცხოვრებენ, რა ენაზე ისაუბრებენ, გარდა მშობლიური ენისა, რომელი ენა შეიძლება გამოადგეთ. წარმოიდგინონ, როგორ ცხოვრობენ ქალაქსა თუ სოფელში, როგორი კლიმატური პირობები არის იქ, როგორ ზრუნავენ იმ ქვეყანაში გარემოს დაცვაზე. იქნებ ამ ქვეყნების შესახებ ინტერნეტში მოიძიონ ინფორმაცია, ისაუბრონ, რით განსხვავდება საქართველოსგან, რომელ ენებზე მოსაუბრე ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში, რომელი ენა აერთიანებთ მათ, რომელი ენები აერთიანებს მსოფლიოს, როგორ შეიძლება გავიგოთ გამონათქვამი „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“. საბოლოოდ, მივდივართ დასკვნამდე, რომ ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ცხოვრობენ და მეგობრების შესაძენად მნიშვნელოვანია ერთმანეთის ენების შესწავლა. შესაძლებელია, სხვა ქვეყნის თანატოლებთან სოციალური ქსელებით იურთიერთოთ და დამეგობრდეთ. ჩამოწერეთ, თქვენი აზრით, რა უყვართ, რა სურთ ბავშვებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან, რა არის თქვენი „საერთო სახლი“, რას ეტყოდით თითოეულ მათგანს.

მოქალაქედ ჩამოყალიბება წვრილმანი და ყოველდღიური წესების დაცვით იწყება. მათ შორისაა ქუჩაში მოძრაობის წესები. სწორედ ამ თემას ეძღვნება ლექსი „ქუჩაში“. ბავშვმა უნდა გააცნობიეროს ის, რომ ქუჩაში მოძრაობის წესები ადამიანთა უსაფრთხოებისთვის მოიგონეს. დავსვათ კითხვა: რატომ უნდა დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები? – დავყოთ მოსწავლეები ჯგუფებად და მივცეთ სიტუაციური ამოცანები, სადაც ფეხით მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევის გამო იქმნება სიცოცხლისათვის საშიში სიტუაცია, მაგალითად: ქუჩაში ბავშვები თამაშობდნენ, მოულოდნელად ერთ ბავშვს მეორე გამოეკიდა, ბიჭმა ქუჩა სირბილით გადაჭრა იქ, სადაც საფეხმავლო გადასასვლელი არ იყო. მომავალმა მანქანამ ძლივს მოასწრო დამუხრუჭება. ბავშვი, რომელიც გაქცეულ ამხანაგს მისდევდა, შეშინდა, გამობრუნდა და ამჯერად უკან გადმოირბინა. ამავე მხარეს მოძრავი ავტომობილის მძღოლმა იფიქრა, ბავშვს ვეჯახებიო, ტროტუარზე შევარდა და გაზონები დააზიანა, დაზიანდა მანქანაც. იმსჯელეთ, რომელი წესები დაირღვა, რა ზიანი გამოიწვია ზემოდასახელებულმა, ვის რა საფრთხე დაემუქრა, რა დავასკვნათ. – წესების დაცვა აუცილებელია. უბრალო წესის დარღვევამ შეიძლება, ადამიანს დანაშაული ჩაადენინოს. დავიცვათ წესები და დავიცვათ ერთმანეთი. – ჯგუფებმა შექმნან გამაფრთხილებელი წარწერები თავისი ნახატებით და განათავსონ სოციალურ ქსელში რუბრიკით „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ჩვენს თანატოლებს“.

ამავე კლასში წარმოდგენილია მასალა, რომელიც ცხოველთა დაცვას ეხება. ეს არის ნაწყვეტი ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობიდან „ბულერბიელი ბავშვები“. ამ ტექსტში საუბარია არა მხოლოდ ოთხფეხა მეგობრების სიყვარულზე, არამედ – მათ მიმართ პასუხისმგებლობაზე. ჩვენ შეგვიძლია, დავსვათ კითხვა: როგორ მოვუაროთ იმ ცხოველებს, რომლებიც პატრონის მზრუნველობას მოკლებულია? გვაქვს თუ არა მათზე პასუხისმგებლობა და რაში გამოიხატება ის? ვინ იცავს ქუჩაში მცხოვრებ ძაღლებს? რა შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?

მოვძებნოთ ინტერნეტში ინფორმაცია გადაშენებული ან გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ, შემდეგ კი – ჩამოწერეთ, რა არის ამის მიზეზები, რით შეიძლება დავიცვათ ისინი. მოსწავლეებმა შექმნან ნახატები და დაურთონ მათ მოწოდებები ცხოველთა სამყაროს დასაცავად. განათავსონ მასალა ინტერნეტში, რუბრიკით „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ჩვენს თანატოლებს“.

3. დიფერენცირებული სწავლება

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას, ამისათვის საჭიროა, მასწავლებელმა სწორად შეაფასოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და სწავლის სტილის განსაზღვრა; მასწავლებლის მოლოდინების რეალურ საფუძველზე დაყრდნობა; მოსწავლის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება; დაკვირვება, თუ რა ტიპის მასალის გაგება უადვილდება მოსწავლეს უფრო მეტად და რას ვერ იგებს; მოსწავლის შედეგების შემოწმება და ანალიზი; მასზე ადაპტირებული სასწავლო გეგმისა და სტრატეგიების შერჩევა.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს, რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლითაც იგი ოჯახსა და სოციალურ გარემოს უკავშირგება.

როდესაც მასწავლებელი სწავლების პროცესში მრავალფეროვან აქტივობებს იყენებს, მას უფრო ადვილად შეუძლია, დაადგინოს მოსწავლეთა განსხვავებული უნარები და ინტერესები, განსაზღვროს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. ის ასევე ადვილად შეძლებს მოსწავლეთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგებას.

დიფერენცირების ორი ტიპი არსებობს: 1. გარეგანი – როცა მასწავლებელი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ჯგუფებს ქმნის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. შინაგანი – როცა მასწავლებელი ისე აწყობს სასწავლო პროცესს, რომ ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ არ არის ადამიანი ტალანტის გარეშე. თითოეული ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით, მისწრაფებებით და მიზნებით. დიფერენცირებული სწავლება იმას კი არ ნიშნავს, რომ მხოლოდ აღმოვაჩინოთ, თუ რა შეუძლია და რა იცის, არამედ უნდა დავეყრდნოთ მის ძლიერ მხარეებს და მორგებული სისიტემით გავაუმჯობესოთ იგი.

ყოველი ზემოგამოთქმული იმასაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის თვითდამკვიდრებას, მისი განსხვავებულობის დადებით კონტექსტში წარმოჩენას. დიფერენცირებული სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების აქტუალურად და მიზანმიმართულად გამოყენებას.

როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი „პედაგოგიური გზამკვლევი – პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“ აღნიშნავს, „დიფერენცირებული მიდგომა სწავლების გზაა, ეს არ არის კონკრეტული მზა შეთავაზება“. სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ავალებს მასწავლებელს, სრულფასოვნად გაიცნოს მოსწავლე და შესთავაზოს მას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც გააუმჯობესებს სწავლების შედეგებს.

4. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე სკოლა ორიენტირებულია მარავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებაზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც გამჭოლ კომპეტენციებს განეკუთვნება და მედიაწიგნიერება ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. ჩვენი სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის მასალას, რომელიც სპეციალური ლოგოთია აღნიშნული.

შეიძლება, უაღრესად საინტერესო აქტივობები შეიქმნას სემიოტიკური კომპეტენციის გააქტიურებით და ვერბალური თუ არავერბალური საშუალებით (სქემები, დიაგრამები, ნახატები, მელოდიები) გააზრების, განცდის და გამოხატვის უნარის განვითარების მიზნით. მათ შორისაა კოგნიტური ცხრილები და დიაგრამები. ცნობილია, რომ გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ცხრილი შექმნილია კონკრეტული ამოცანისათვის, თუმცა არის ყველასთვის ცნობილი ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და ცხრილი „1, 2, 3“. ისინი აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში. ხშირად სავარჯიშო მოსწავლეს ავალებს, შეავსოს ცხრილი. ის, თუ რა ტიპის ცხრილი უნდა შეადგინოს და დაურიგოს მასწავლებელმა მოსწავლეებს, ამას მასწავლებლის სახელმძღვანელოს ბოლოში მივუთითებთ. სახელმძღვანელოში ჩართულია ხატვისა და მუსიკის მოსმენის სასწავლო ამოცანებიც, რომლებიც ასევე თავიანთი ლოგოთია მინიშნებული.

ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტის გამოყენებას, კომპიუტერი თანამედროვე ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი სათამაშოცაა და შრომის იარაღიც, ამიტომ ისტის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება 21-ე საუკუნის ბავშვის უნარებსა და მოთხოვნილებებს. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა „ბუკის“ კომპიუტერული პროგრამა „ისწავლე ხალისით“ თავისი შესანიშნავი საგანმანათლებლო თამაშებით, რაც ორგანულად შეერწყა სახელმძღვანელოს კონცეფციასა და ამოცანებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სამუშაო ისტის გამოყენებით: სასწავლო ანიმაციებისა და ლიტერატურულ მასალაზე შექმნილი ფილმების ყურება, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალების მოძიება და სხვ.

V. კომპლექსური დავალების მატრიცები

თემა #1: ამბები სკოლიდან **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: • **ცირა ქიტიაშვილის მოთხრობა „ყოჩაღი ბიჭი“;** • **ტარიელ ჭანტურიას ლექსი „ნუციკო“;** • **კარლო კოლოდის ზღაპარი „პინოქიოს თავგადასავალი“, ეპიზოდი „პინოქიო ანბანს ყიდის“.**		
საკითხები		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** **კარლო კოლოდის ზღაპრის „პინოქიოს თავგადასავალი“ პერსონაჟ პინოქიოს შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით**	**საკითხი 2.** ბეჯითი და ზარმაცი ბიჭის ოთახის ამსახველი სურათების ზეპირი შედარება
ტექსტი **ქვეცნებები**: მხატვრული ჟანრი – **ზღაპარი** ტექსტის შინაარსობრივი მხარე – პერსონაჟი, პერსონაჟის ხედვის კუთხე.	**ქვესაკითხები:** ზღაპრის ეპიზოდის – „პინოქიო ანბანს ყიდის“ – **თემა, იდეა, პერსონაჟის ხედვის კუთხე,** მოქმედების დრო, ადგილი; არსებითი და არაარსებითი დეტალები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: შედარება; ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი ენობრივი საშუალება; მაპირისპირებელი კავშირი.		**ქვესაკითხები**: შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები, მაპირისპირებელი სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ“.
	კომპლექსური დავალება 1. **პერსონაჟის სკამი**	**კომპლექსური დავალება 2.** ორი სურათის შედარება

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი –** ზღაპარი ტექსტის შინაარსობრივი მხარე – პერსონაჟი, პერსონაჟის ხედვის კუთხე.	**საკითხი:** კარლო კოლოდის ზღაპრის „პინოქიოს თავგადასავალი“ პერსონაჟ პინოქიოს შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით **ქვესაკითხები:** ზღაპრის ეპიზოდის – „პინოქიო ანბანს ყიდის“ – **თემა, იდეა, პერსონაჟის ხედვის კუთხე,** მოქმედების დრო, ადგილი; არსებითი და არაარსებითი დეტალები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ წარმოვაჩინო როლური თამაშით კარლო კოლოდის „პინოქიოს თავგადასავლის“ პერსონაჟ პინოქიოს შინაგანი სამყარო (ფიქრები, გრძნობები, დამოკიდებულებები, მიზნები)?

	კომპლექსური დავალება: პერსონაჟის სკამი მოირგე კარლო კოლოდის ზღაპრის – „პინოქიოს თავგადასავალი“ – მთავარი <u>პერსონაჟის,</u> ხის კაცუნა **პინოქიოს,** როლი, გამოდი კლასის წინაშე, გაიცანი თავი მსმენელებს, მიაწოდე მოკლე ინფორმაცია შენი, როგორც პერსონაჟი, ვინაობის, მისი წარსულისა და ახლანდელი ცხოვრების შესახებ. პერსონაჟის პირით უპასუხე თანაკლასელების შეკითხვებს. გაითვალისწინე, რომ შენი პასუხები უნდა ეფუძნებოდეს ტექსტს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ***წამუშავრის წარდგენისას წარმოაჩინე:*** • როგორ უპასუხებს პინოქიო შეკითხვებს (ტ. 2); • <u>როგორია</u> პერსონაჟ პინოქიოს ფიქრები, განცდები, ემოციები, ინტერესები, მიზნები (ტ.1, 2, 3); • ბიოგრაფიის ის დეტალები, რომლებიც ტექსტში არ არის მოცემული (ტ. 2); • რას ფიქრობს პინოქიო <u>სხვა პერსონაჟებზე</u>, როგორ აფასებს მათ და რატომ (ტ.1, 2, 3); • როგორ ხსნის <u>პერსონაჟი</u> თავის საქციელს (ტ.1,2,3).

თემაში შემავალი ტექსტების დამუშავება

ცირა ქიტიაშვილის ლექსი ,,ყოჩაღი ბიჭი“ და ტარიელ ჭანტურიას ლექსი ,,ნუციკო“

რესურსი 1. ლექსი ,,ყოჩაღი ბიჭი“

აქტივობა 1. ლექსი ,,ყოჩაღი ბიჭის“ წაკითხვა (ლექსის შინაარსისა და დედააზრის გაგება)

გეზისმიმცემი კითხვები:

- ვინ არის ნახსენები ლექსის სათაურში?
- ვინ არის გამოსახული ილუსტრაციაზე?
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირია სათაურსა და ილუსტრაციას შორის?
- რას აკეთებს პატარა ბიჭი?
- როგორი განწყობაა ასახული მის სახეზე?
- რას უყურებს დედა? რა ეტყობა მას?
- რას ფიქრობთ, რა უხარია დედას?
- დაემთხვა თქვენი ვარაუდი?
- ვის შესახებ ყოფილა ეს ლექსი?
- რით გაახარა ბიჭმა დედა?
- როგორ გამოხატა დედამ სიხარული?
- რასთან არის შედარებული დედის ღიმილი? რატომ?
- რისი თქმა სურს ავტორს?
- რა უხარიათ ყველაზე მეტად დედას, მამას და ახლობლებს?
- რით უკავშირდება ეს ლექსი თქვენს გამოცდილებას?
- ხომ არ გაგონებთ ლექსის შინაარსი სხვა ნაწარმოებს, მულტფილმს ან ფილმს?

რესურსი 2. სქემა – ,,სიტყვების გამომძიებელი“

აქტივობა 2. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა პირადი ცოდნა-გამოცდილებით (თავდაპირველად ივსება მხოლოდ პირველი და მეორე სვეტი); საერთო საკლასო სამუშაო; ცხრილი ივსება მასწავლებლის დახმარებით.

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით	განმარტება ლექსიკონში
ჩაწიკწიკებული			წვრილი ასოებით, მჭიდროდ და ლამაზად ნაწერი
ჩაჭიკჭიკებული			ლამაზად წაკითხული (შედარებულია ჩიტის ჭიკჭიკთან)
ჩაბულბულებული			ბულბულივით ტკბილად ნამღერი

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები :

- რას ნიშნავს სიტყვები: „ჩაწიკწიკებული“, „ჩაჭიკჭიკებული“, „ჩაბულბულებული“?
- სიტყვა „ჩაწიკწიკებულის“ ნაცვლად, კიდევ რა სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ? – ჩაბულბულებულის ნაცვლად?
- საიდან არის მიღებული ეს სიტყვები, რომელი სიტყვები იკითხება მათში? (ჩაწიკწიკებული – წიკწიკი, ჩაჭიკჭიკებული – ჭიკჭიკი, ჩაბულბულებული – ბულბული)
- რა წიკწიკებს? რა ჭიკჭიკებს? რა გალობს?
- როგორ ფიქრობთ, რით უკავშირდება საათის წიკწიკი ნაწერს, ჩიტის ჭიკჭიკი – კითხვას, ბულბულის გალობა – სიმღერას?
- თქვენ როგორ წერთ, კითხულობთ, მღერით?
- დავაკვირდეთ, არის თუ არა ეს სიტყვები ტექსტში გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, როგორც ჩვენ განვმარტეთ?

აქტივობა 3. ლექსის სამოდელო კითხვა

აქტივობა 4. ერთობლივი კითხვა

აქტივობა 5. დაკარგული სიტყვების ჩაწერა ლექსში (თავად მოუძებნონ ადგილი სიტყვებს: „გაუხარა“, „ჩაწიკწიკებული“, „ჩაჭიკჭიკებული“, „ჩაბულბულებული“, „გაზაფხული“)

აქტივობა 6. დავალება: დახატონ ნახატი ან შექმნან ციფრული რესურსით ,,ვსწავლობთ თამაშით“ ილუსტრაცია, რომელზეც ასახავენ, ვინ რით ახარებს მშობლებსა და ახლობლებს და წარუდგინონ კლასელებს.

რესურსი 1. ლექსი „ნუციკო“

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება კითხვებზე პასუხით

გეზისმიმცემი კითხვები:
გაიხსენეთ, რით არის ცნობილი მელაკუდა? ოფოფი? სოკო? კენგურუ?
რა უნდა ჰქონდეს სანადიროდ წასულ მონადირეს?
რატომ არის აუცილებელი სასკოლო ნივთების ტარება სკოლაში?
რომელი ნივთები გჭირდებათ სკოლაში?

აქტივობა 2. ლექსის წაკითხვა, დამუშავება/დედააზრის გამოკვეთა

გეზისმიმცემი კითხვები:

- ვის მიმართავს ლექსში პოეტი?
- რა შეცდომა დაუშვა გოგონამ? რა არ წაიღო სკოლაში ნუციკომ?
- რატომ არის მიუღებელი სკოლაში უწიგნოდ წასვლა?
- რას ადარებს პოეტი სკოლაში წიგნის წაღების აუცილებლობას?

- შენი დაკვირვებით, რა ხდება გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეს სასწავლო ნივთები ავიწყდება?

აქტივობა 3. სამოდელო კითხვა

აქტივობა 4. ერთობლივი კითხვა

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

რისი თქმა შეგიძლიათ დავალების – ,,პერსონაჟის სკამის" – შესახებ?
თქვენ თუ განგიხორციელებიათ მსგავსი დავალება? თუ მჯდარხართ ,,პერსონაჟის სკამზე" და გულღიად გაგიცია პასუხები დასმულ კითხვებზე?
როგორ ფიქრობთ, პასუხების გარდა, ამ დავალებისთვის რისი მომზადება იქნება საჭირო?
ვინ ახსნის თავისი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება თქვენგან?
რა უნდა შექმნათ? რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
ვის რაში დაგჭირდებათ ჩემი დახმარება?
გავიხსენოთ, ხომ არ გაგვიკეთებია მსგავსი დავალება. რა თემას/რომელ ტექსტს ეხებოდა?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. ტექსტის გაგების სტრატეგია

ქვესაკითხები: ზღაპრის ,,პინოქიოს თავგადასავალი" **თემა, იდეა.**

აქტივობები, რესურსები

რესურსი 1: კარლო კოლოდის ზღაპარი ,,პინოქიოს თავგადასავალი", ეპიზოდი ,,პინოქიო ანბანს ყიდის"

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით

აქტივობა 2. კითხვა პაუზებით

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას გვეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი შენს ცოდნას?
- ➢ თქვენი აზრით, რა მოხდება?
- ➢ რატომ ფიქრობთ ასე?
- ➢ რა მინიშნებებს ეყრდნობით?
- ➢ გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? ყველა მინიშნება გაითვალისწინეთ?
- ➢ რა მოხდა დასაწყისში? რით/როგორ გაგრძელდა ამბავი? რა მოხდა შუა ნაწილში? რით დასრულდა ამბავი?

რესურსი 2. სიტყვის პირამიდა (საერთო საკლასო სამუშაო – პირამიდაზე მუშაობენ მასწავლებელთან ერთად)



აქტივობა 3. სიტყვის პირამიდების აგება შემდეგ სიტყვებზე: **ცუღლუტი, ჩაჩი, გულის ამაჩუყებელი.**

აქტივობა 4. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა. ახალი სიტყვებით/შესიტყვებებით წინადადების ან ორ-სამწინადადებიანი ამბის მოფიქრება ზეპირად (**ფლეიტა, ცუღლუტი, გულის ამაჩუყებელი, მაუდი, ჩაჩი**).

აქტივობა 5. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად, გაგრძელებებით კითხვა

აქტივობა 6. შერჩეული პასაჟის გამომსახველობითად წაკითხვა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

რა ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად (კონტექსტზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; ლექსიკონში მოძებნა (აქტ. 3,4)?

როგორ მიხვდით ამ უცნობი სიტყვის/შესიტყვების მნიშვნელობას?

რას ნიშნავს: „კოშკებს აგებდა“, „თვალის დახამხამებაში“, ,,თავის გამეტება“?

სხვანაირად როგორ აღინიშნება „ცუღლუტი“ (მატყუარა, თაღლითი, უქნარა)? რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას ეს? – მოიყვანეთ მაგალითები.

როგორ გესმით „გულის ამაჩუყებელი“? როგორ მიხვდით ამას? მოიფიქრეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

როგორ გამოვხატოთ მთხრობლის, პერსონაჟის გრძნობები, ემოციები (აქტ. 5,6)?

ნაბიჯი 2. <u>როგორია</u> <u>პერსონაჟის</u> – **პინოქიოს -** ფიქრები, განცდები, ემოციები, ინტერესები, მიზნები (ტ.1, 2, 3)? რას ფიქრობს შერჩეული <u>პერსონაჟი</u> – ხის კაცუნა – <u>სხვა პერსონაჟებზე</u>, როგორ აფასებს მათ და რატომ (ტ.1, 2, 3)? **ქვესაკითხები**: ზღაპრის „პინოქიოს თავგადასავალი“ პერსონაჟ პინოქიოს ხედვის კუთხე.

რესურსები და აქტივობები

რესურსი 1. პერსონაჟის რუკა



აქტივობა 1. ზეპირი მსჯელობა პერსონაჟებზე

აქტივობა 2. პერსონაჟის დახასიათება პერსონაჟის რუკაზე დაყრდნობით

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორ ვიგებთ, რომ პინოქიო სწავლას იწყებს?
- საიდან ჩანს მისი გეგმები/ოცნებები? რას ფიქრობს ის დასაწყისში?
- როგორ შეიცვალა ვითარება? სად არის და რას აკეთებს ის ბოლოს?
- როგორია პერსონაჟი მისი სიტყვების, აზრების, გრძნობების, საქციელისა და დამოკიდებულებების მიხედვით?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით პინოქიოს ადგილას?
- ჯეპეტოს რომელ თვისებას გამოყოფდით? რატომ ფიქრობთ ასე? საიდან ჩანს, რომ ასეთია? რომელ მინიშნებებს ეყრდნობით?
- მომხდარა თუ არა თქვენს ცხოვრებაში ისე, რომ უფროსებმა ყველაფერი გააკეთეს თქვენი საჭიროებებისთვის, თქვენ კი – ვერ დააფასეთ ეს?
- ხომ არ გაგახსენათ ამ ზღაპარმა რომელიმე ნანახი ფილმი ან წაკითხული ნაწარმოები?

ნაბიჯი 3. როგორ ხსნის <u>პერსონაჟი</u> თავის საქციელს (ტ.1,2,3)? როგორ უპასუხებს პინოქიო შეკითხვებს (ტ. 2)? წარმოაჩინე ბიოგრაფიის ის დეტალები, რომლებიც ტექსტში არ არის მოცემული (ტ. 2).
<u>**ქვესაკითხები:**</u> მოქმედების დრო, ადგილი; არსებითი და არაარსებითი დეტალები.

<u>**რესურსები/აქტივობები**</u>

აქტივობა 1. მოსწავლეები მოიფიქრებენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მიემართება პინოქიოს თვისებებს, განცდებს, ინტერესებს, ბიოგრაფიას, საქციელს, მის დამოკიდებულებას სწავლის, ასევე მამილო ჯეპეტოს მიმართ და შეარჩევენ საუკეთესოს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა შეიძლება ვკითხოთ პინოქიოს თავის შინაგან სამყაროზე – ფიქრებზე, განცდებზე, ინტერესებზე?
- რა შეიძლება ვკითხოთ პინოქიოს თავისი ცხოვრების შესახებ, თავის წარსულზე (გაქვს/გყავს თუ არა/გიოცნებია თუ არა. . . ყოფილხარ თუ არა. . .)?
- რა შეიძლება ვკითხოთ ხის კაცუნას სხვა პერსონაჟების მასთან ურთიერთობის შესახებ?

როლური თამაში – კითხვა-პასუხი

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ პინოქიოს ხედვის კუთხიდან საუბრობდი?
- როგორ ამოიცანი პერსონაჟის თვისებები და დამოკიდებულებები, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რომელ ეპიზოდზე/ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომში და რატომ?
- რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** შედარება; ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი ენობრივი საშუალება; მაპირისპირებელი კავშირი.	**საკითხი:** ბეჯითი და ზარმაცი ბიჭის ოთახის ამსახველი სურათების ზეპირი შედარება. **ქვესაკითხები**: შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები, სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ“. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევქმნა ორი სურათის შედარების ტექსტი **?** რომელი სიტყვები გამოვიყენო მსგავსება-განსხვავების გამოსახატავად ? **კომპლექსური დავალება: ორი სურათის შედარება** (შეადარე სურათები, მსგავსება–განსხვავება წარმოაჩინე საერთო კრიტერიუმების მისადაგებული).

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ***აღწერისას წარმოაჩინე:***
1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	• რის მიხედვით, რა კრიტერიუმების მიხედვით შეადარე სურათები (ს.3)? • დეტალები: რით ჰგავს, რით განსხვავდება ეს სურათები? – ამისთვის გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე – სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ" (ს.1, 2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსი: სიუჟეტური ფოტო მასალა – აღსაწერი ილუსტრაციები.

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რის მიხედვით, რა კრიტერიუმების მიხედვით შეადარე სურათები (ს.3)?
წარმოაჩინე დეტალები – რით ჰგავს, რით განსხვავდება ეს სურათები? – ამისთვის გამოიყენე ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები, ასევე – „ხოლო“ და „მაგრამ“ (ს.1, 2).

ქვესაკითხები: შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები, მაპირისპირებელი სიტყვები: „ხოლო“ და ,,მაგრამ“.

რესურსი 1. აღწერის ცხრილი

შეკითხვები	**სურათი I**	**აღსაწერი ელემენტები**	**სურათი II**
მთლიანი ოთახი ჩანს თუ ოთახის ერთი კუთხე? საიდან ხვდებით?		**(ოთახის კუთხე)**	
ჩამოთვალე, რა დგას ოთახში? რა ავეჯი დგას? სად დგას?		**(ავეჯი)**	
სად რა ნივთებს ხედავთ? სად აწყვია/ყრია ნივთები?		**(ნივთები)**	
რას აკეთებს ბიჭი?		**(ბიჭის საქციელი)**	
სურათის მიხედვით, როგორია ბიჭი? რა მიგვანიშნებს ამაზე (მაგ., მიყრილი ნივთები, დაულაგებელი საწოლი მიგვანიშნებს, რომ მოუწესრიგებელი და ზარმაცია)?			

აქტივობა 1. სურათების აღწერა კლასში – ერთობლივად (რესურსი 1-ის მესამე სვეტის შევსება, ფორმატზე – მასწავლებლის დახმარებით)

აქტივობა 2. სურათებზე დაყრდნობით მეორე და მეოთხე სვეტების შევსება

აქტივობა 3. დაფასთან მუშაობა: წინადადებების შევსება მაპირისპირებელი სიტყვების (**,,ხოლო“**, **„მაგრამ“**) გამოყენებით

– ნიკო ბიბლიოთეკაში მიდიოდა, _____ გიგო – ეზოში.
– დედა საუზმეზე რძეს მთავაზობს,_____ მე არ ვსვამ.
– ჩემი ძმა ცეკვაზე დადის, _____ არ უყვარს.
– ბებო სათვალით კითხულობს, _____ ბაბუ – უსათვალოდ.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- მთლიანი ოთახი ჩანს თუ ოთახის ერთი კუთხე? საიდან ხვდებით?
- ჩამოთვალე, რა დგას ოთახში?

- რა ავეჯი დგას? სად დგას?
- სად რა ნივთებს ხედავთ?
- სად აწყვია/ყრია ნივთები?
- რას აკეთებს ბიჭი?
- სურათის მიხედვით, როგორია ბიჭი? რა მიგვანიშნებს ამაზე (მაგ., მიყრილი ნივთები, დაულაგებელი საწოლი მიგვანიშნებს, რომ მოუწესრიგებელი და ზარმაცია)?

.

ნაბიჯი 2. როგორ უნდა შევქმნა ორი სურათის შედარების ტექსტი?

ქვესაკითხები: ბეჯითი და ზარმაცი ადამიანის ოთახის ამსახველი სურათების ზეპირი შედარება

რესურსი 1. შედარების ცხრილი

კრიტერიუმები	**სურათი I**	**სურათი II**
ოთახის კუთხე		
ავეჯი		
ნივთები, მათი მდებარეობა		
ბიჭის ქმედება		

რესურსი 2. კრიტერიუმების ბადის ნიმუში

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია	
	დამკვირვებელი (მასწავლებელი)
მსგავსებები და განსხვავებები გამოკვეთე საერთო კრიტერიუმების მიხედვით	
მსგავსებები და განსხვავებები გამოკვეთე ცხრილის ყველა კრიტერიუმისთვის	
ინტონაციით და პაუზებით მსმენელს ეხმარები აზრის გამოკვეთაში	
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------	

აქტივობა 1. შედარების ცხრილის შევსება წყვილში;

აქტივობა 2. ცხრილზე დაყრდნობით (რესურსი 1) შედარებითი ტექსტის ზეპირად ჩამოყალიბება.

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

– რომელი კრიტერიუმი გამოკვეთე, რის მიხედვით შეადარე სურათები?

– დაგეხმარა თუ არა შედარების ცხრილი ზეპირი შედარების გასაკეთებლად?

– რომელი სიტყვა გამოიყენე განსხვავების საჩვენებლად?

რით და როგორ გააუმჯობესე შედარებითი ტექსტი მეწყვილესთან წარდგენის შემდეგ?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი შედარების ნიმუშია?
- რის მიხედვით შეადარე ნახატები?
- როგორ დაასათაურე პირველი სურათი/მეორე სურათი? რატომ?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე, რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა გაგიადვილდა განსაკუთრებით? რა გაგიძნელდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გაუმჯობესებდი მიღწევებს, როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს? რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- ილუსტრაციის რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?

- შენი თანაკლასელის რომელმა წარდგენამ მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენ მიერ პერსონაჟის აღწერას, რით გაუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?

გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?

თემა #2: ფასეულობები - წიგნის სიბრძნე
საათების სავარაუდო რაოდენობა – 28 სთ.

თემაში გამოყენებული ტექსტები:
იაკობ გოგებაშვილის იგავი ,,თაგვი და ლომი“ (მადლიერება);
იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,სირცხვილი აიცილა“ (პატიოსნება);
გიორგი ივანიშვილის მოთხრობა ,,სამი ბიჭი“ (პასუხისმგებლობა და შეცდომის გამოსწორება);
რევაზ ინანიშვილის მოთხრობა ,,მსოფლიო ჩემპიონი“ (და-ძმებზე ზრუნვა).

	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** იგავის „თაგვი და ლომი“ პერსონაჟ ლომის სახელით წერილის მიწერა მეორე პერსონაჟ თაგვისთვის.	**საკითხი 2.** ამბის შეთხზვა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს.
ტექსტი **ქვეცნებები:** **არამხატვრული ჟანრი** – წერილი; <u>საკომუნიკაციო სიტუაცია</u>, მიზანი, თემა, ადრესატი (რა მიზნითაა დაწერილი? რის შესახებაა დაწერილი? ვის სწერენ?); წერის სტრატეგიები. მხატვრული ჟანრი – იგავი **ტექსტის შინაარსობრივი მხარე** – დედააზრი, პერსონაჟი, პერსონაჟის ხედვის კუთხე.	**ქვესაკითხები:** იგავის ,,თაგვი და ლომი“ პერსონაჟ ლომის ხედვის კუთხე, მისი წერილის სტრუქტურა, თემა, მიზანი, ადრესატი და ენა; წერის სტრატეგიები: კრიტერიუმების ბადის შექმნა, იდეების გენერირება; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; იგავის ,,თაგვი და ლომი“ ახალი სიტყვები, დედააზრი, პერსონაჟების თვისებები, ხედვის კუთხე.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი თხრობა		**ქვესაკითხები**: ამბის – თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს – სამნაწილიანობა, ლექსიკური მრავალფეროვნება; სტრატეგიები: იდეების გენერირება.
	კომპლექსური დავალება 1. ლომის წერილი თაგვს (იაკობ გოგებაშვილის იგავის ,,თაგვი და ლომი“ მიხედვით)	**კომპლექსური დავალება 2**. ამბის შეთხზვა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება: **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** **არამხატვრული ჟანრი** – წერილი; <u>საკომუნიკაციო სიტუაცია</u>, მიზანი, თემა, ადრესატი (რა მიზნითაა დაწერილი? რის შესახებაა დაწერილი? ვის სწერენ?); წერის სტრატეგიები. **ტექსტის შინაარსობრივი მხარე** – პერსონაჟი, პერსონაჟის ხედვის კუთხე, დედააზრი.	**საკითხი:** იგავის ,,თაგვი და ლომი" პერსონაჟ ლომის სახელით წერილის მიწერა მეორე პერსონაჟ თაგვისთვის. **ქვესაკითხი:** იგავის ,,თაგვი და ლომი" პერსონაჟ ლომის ხედვის კუთხე; მისი წერილის: სტრუქტურა, თემა, მიზანი, ადრესატი და ენა; იგავის ,,თაგვი და ლომი" ახალი სიტყვები, დედააზრი, პერსონაჟების თვისებები, ხედვის კუთხე. წერის სტრატეგიები: კრიტერიუმების ბადის შექმნა, იდეების გენერირება, პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა გადარჩენილი ლომის წერილი თაგვის მიმართ? როგორ გამოვხატო ლომის დამოკიდებულება მომხდარის მიმართ? **კომპლექსური დავალების პირობა:** **ლომის წერილი თაგვს** წარმოიდგინე, რომ ხარ იაკობ გოგებაშვილის იგავის ,,თაგვი და ლომი" <u>პერსონაჟი,</u> კერძოდ, <u>ლომი</u> და ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის შემდეგ წერილს სწერ <u>თაგვს.</u> ➢ მოირგე ლომის როლი და თავგვისადმი მიწერილ წერილში; ➢ გამოკვეთე, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის წერილის მიწერა; ➢ წარმოაჩინე ლომის გრძნობები. ასევე წარმოაჩინე, როგორ შეიცვალა ის მომხდარის შემდეგ; ➢ დაიცავი წერილის <u>აგებულება</u> (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა); დასვი სასვენი ნიშნები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **ნაშრომში წარმოაჩინე:** • ვის სწერ, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის მიგეწერა (ტ. 1, 2); • როგორი აგებულება აქვს წერილს (მიმართვა-მისალმება, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა (ტ.3); • რატომ ფიქრობ, რომ ლომი თაგვს ასეთ წერილს მისწერდა (ტ. 2)?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ? რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა ხერხები გამოიყენე ტექსტის შინაარსის უკეთ გასაგებად?
ქვესაკითხები: იგავის ,,თაგვი და ლომი“ ახალი სიტყვები, დედააზრი

რესურსი 1: „ლომი და თაგვი“
აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 2. ტექსტის პაუზებით კითხვა და ანალიზი
აქტივობა 3. ტექსტის დამუშავება; კითხვა-პასუხი

რესურსი 2. თხრობის რუკა

მთავარი პერსონაჟები: **სხვა პერსონაჟები:**		**მოქმედების დრო და ადგილი:**
„ერთხელ...	„ამის შემდეგ...	„ბოლოს...

აქტივობა 4. თხრობის რუკის ერთობლივად შევსება და მასზე დაყრდნობით შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა
აქტივობა 5. მოსწავლეები შეარჩევენ ანდაზას, რომელიც შეესაბამება იგავის მთავარ სათქმელს და დაასაბუთებენ თავიანთ აზრს.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას გეუბნებათ პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური, ილუსტრაცია) შინაარსის შესახებ? რით უკავშირდება ისინი თქვენს ცოდნას?

  - როგორი ფიქრობთ, რა მოხდება? რატომ ფიქრობთ ასე?
  - როგორ ფიქრობთ, რატომ გადაიხარხარა ლომმა?
  - ხომ არ ელის რამე საშიშროება რომელიმე ცხოველს?
  - რა მოხდება მოთხრობის ამ ნაწილში?
  - როგორ ფიქრობთ, რატომ სურდათ მონადირეებს ლომის ცოცხლად წაყვანა?
  - რას განიცდით ლომის მიმართ?
  - რა ელის ლომს?
  - როგორ მოგეწონათ მოთხრობის დასასრული?
  - ელოდით ასეთ დასასრულს?
  - რაზე დააფიქრა თაგვმა ლომი იგავის დასასრულს?

- სად და როგორ ეძინა ლომს?
- რატომ გადაურბინა თაგვმა ლომს თავზე?
- როგორ ფიქრობთ, გაბრაზდა თუ არა ლომი თაგვზე?
- რას დაჰპირდა თაგვი ლომს გაშვების შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობთ, დაიჯერა ლომმა თაგვის სიტყვები (დანაპირები)?
- როგორ გგონიათ, შეეშინდა განსაცდელში ჩავარდნილ ლომს?
- როგორ შეიტყო თაგვმა ლომის გასაჭირის შესახებ?
- როგორ შეძლო თაგვმა ლომის დახმარება?
- რას გასწავლით ეს იგავი? რა შეგონებით სრულდება ის?
- რატომ ფიქრობთ, რომ ეს ანდაზა შეესაბამება იგავის შეგონებას?

აქტივობა 6. ლექსიკაზე მუშაობა
აქტივობა 7. შეავსე სქემა ახლად ნასწავლი სიტყვების გამოყენებით.

სიტყვის განმარტება	ნახატი
სინონიმი, ანტონიმი	სიტყვა წინადადებაში

აქტივობა 8. გაგრძელებებით კითხვა

აქტივობა 9. შერჩეული პასაჟის გამომსახველობითად წაკითხვა
აქტივობა 10. აბზაცების ფუნქციის ამოცნობა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორ გესმით შესიტყვება „დაბურულ ტყეში“?
- სხვანაირად როგორ იტყოდით შესიტყვებას „მშვიდად ეძინა“? რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას ეს? – მოიყვანეთ მაგალითები.
- როგორ გესმით: „ღრიალი მორთო“, ,,გულიანად გადაიხარხარა“? – საიდან მიხვდით ამას? მოიფიქრეთ ერთ-ორწინადადებიანი ამბავი ამ სიტყვების გამოყენებით.
- როგორ გესმით ,,მიცუნცულდა“? კიდევ რაზე შეიძლება ითქვას „მიცუნცულდა“? სხვანაირად როგორ იტყოდით ამას?
- როგორ წავიკითხოთ ტექსტი გამომსახველობითად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სასვენი ნიშნების წინასწარ დანახვა?
- რამდენად გამოხატე ინტონაციით, მახვილებით, ხმის ტემბრით მთხრობლის/პერსონაჟების ემოციები, განცდები?
- რამდენი აბზაცია ამ ტექსტში?
- დააკვირდით, რისთვისაა საჭირო მეორე აბზაცი? რა ცვლილებას აღნიშნავს (მაგ., მოქმედების დროის, მოქმედების ადგილის შეცვლას, ახალი მოქმედების დაწყებას და სხვ.)?
- რატომ არის მნიშვნელოვანი აბზაცის გამოყოფა? რით უადვილებს მკითხველს ტექსტის გაგებას? რა იქნებოდა, ტექსტებში აბზაცები რომ არ ყოფილიყო?

ნაბიჯი 2 . ვის სწერ, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის მიგეწერა (ტ. 1, 2)?
როგორი აგებულება აქვს წერილს (მიმართვა-მისალმება, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა (ტ.3)?
ქვესაკითხები: იგავის ,,თაგვი და ლომი“ პერსონაჟ ლომის წერილის სტრუქტურა, თემა, მიზანი, ადრესატი, ენა.

რესურსი 1. პირადი წერილის სამოდელო ვარიანტი

გამარჯობა, სანდრო!

როგორ ხარ? როგორ არიან თამრიკო დეიდა და ვახტანგი ბიძია? ორივე მომიკითხე!

სანდრო, **მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნო.** მას თომა ჰქვია. თომა ჩემზე ერთი წლით უფროსია. სამი თვის წინ ჩვენს ეზოში გადმოვიდა საცხოვრებლად. მე და თომა მალე დავმეგობრდით. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. თომაც ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა, გარეგნობით კი ჩემთან შედარებით უფრო მაღალი და გამხდარია, აქვს დიდი თაფლისფერი თვალები და ქერა თმა. თომა ფეხბურთზე დადის. იცი, რა მაგრად თამაშობს ფეხბურთს? მეც ვაპირებ მასთან ერთად სიარულს. რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაგაცნობ.

აბა, შენ იცი, ნახვამდის!

დათო

12 თებერვალი, 2023 წ.

რესურსი 2. წერილის სტრუქტურა

სტრუქტურა	**მაგალითი განხილული წერილიდან**	**მოვიფიქროთ სხვა შესაძლო ვარიანტები**
მისალმება/მიმართვა	**გამარჯობა, სანდრო!**	**ძვირფასო სანდრო! ჩემო სანდრო! . . .**
ძირითადი ტექსტი	როგორ ხარ? როგორ არიან თამრიკო დეიდა და ვახტანგი ბიძია? ორივე მომიკითხე! სანდრო, მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნო.	როგორ გიკითხო?. . .
გამომშვიდობება, ხელმოწერა	აბა, შენ იცი, ნახვამდის! დათო	იმედი მაქვს მალე გნახავ, შენი დათო . . . შენი მეგობარი დათო . . . .

აქტივობა 1. სამოდელო წერილის განხილვა სტრუქტურული და შინაარსობრივი თვალსაზრისით (რესურსი 1)
აქტივობა 2. წერილის სტრუქტურული ჩარჩოს დამუშავება (რესურსი 2)

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ვის სწერს წერილს? საიდან ჩანს?
- რა არის წერილის მიზანი? რატომ ფიქრობ ასე?
- სად არის მიმართვა?
- სად არის გამომშვიდობება? – ხელმოწერა?
- რომელია ძირითადი ნაწილი?
- რამდენი აბზაცისგან შედგება ძირითადი ნაწილი? რატომ არის მეორე აბზაცი გამოყოფილი?
- რამდენი ნაწილისგან შედგება წერილი?

ნაბიჯი 3 . რა მინიშნებებს დაეყრდენი ლომის ფიქრების, დამოკიდებულებების ამოსაცნობად (ტ2)?
ქვესაკითხები: იგავის ,,თაგვი და ლომი“ პერსონაჟების თვისებები და ხედვის კუთხე.

რესურსი 1. პერსონაჟის რუკა



როგორ შეიცვალა ლომი?

რატომ შეიცვალა?

აქტივობა 1. მსჯელობა ლომის ფიქრებსა და ემოციებზე, მინიშნებებზე დაყრდნობით
აქტივობა 2. პერსონაჟის რუკის შევსება (რესურსი 1)

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას ფიქრობდა ლომი, როცა ნახა, რომ მისი გაღვიძება პაწაწინა თაგუნამ გაბედა? რატომ ფიქრობთ ასე, რა მინიშნებებს ეყრდნობით?
- რა ემოცია დაეუფლებოდა ლომს თაგვის ნათქვამზე?
- როგორ გგონიათ, რას გრძნობდა და ფიქრობდა ლომის ტყვეობისგან გათავისუფლებული თაგვი? რატომ ფიქრობთ ასე?
- რას იფიქრებდა მონადირეების მიერ ხეზე მიბმული ლომი? რატომ ღრიალებდა? გაახსენდებოდა მას ამ მომენტში თაგვი?
- რას გაიფიქრებდა თაგვის დანახვაზე დაბმული ლომი?
- როგორ გგონიათ, რაზე დაფიქრდებოდა ლომი იგავის დასასრულს თაგუნას სიტყვების მოსმენის შემდეგ?
- რისი თქმა მოუნდებოდა ლომს თაგვისათვის?

ნაბიჯი 4. ქვესაკითხები: წერის სტრატეგიები; რა სტრატეგიები გამოიყენე წერილის დასაწერად? **ვის წერ, რატომ, რა მიზნით (ტ.1.2)?**

რესურსი 1.

წერის დაწყებამდე	• გავიხსენოთ, ვინ არის წერილის ავტორი, ვისთვის წერს წერილს. • დავფიქრდეთ, რის სათქმელად მოუნდებოდა წერილის მიწერა. • შევადგინოთ დამხმარე გეგმა-ჩარჩო.
წერის დროს	• შევქმნათ პირველი, შავი ვარიანტი გეგმა-ჩარჩოს დახმარებით.
წერის შემდეგ	• გადავიკითხოთ მკითხველის თვალით. • კრიტერიუმების გამოყენებით აღმოვაჩინოთ ხარვეზები, შეცდომები. • გავაუმჯობესოთ, გავასწოროთ შეცდომები. • გადავათეთროთ წერილი და მოვემზადოთ წერილის გამომსახველობითად წასაკითხად.

რესურსი 2. წერილის გეგმა-ჩარჩო

მიმართვა	როგორ მიმართავდა თაგვს?
ძირითადი ნაწილი	რა მიზნით მისწერდა წერილს? რისი გაზიარების სურვილი ექნებოდა?
გამომშვიდობება, ხელმოწერა	როგორ გამოემშვიდობებოდა?

რესურსი 3. შეფასების სქემა

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია		
	მე	მასწავლებელი ან თანაკლასელი
გამოკვეთე თუ არა მიმართვა, ძირითადი ნაწილი, გამომშვიდობება/ხელმოწერა?		
ჩანს თუ არა წერილის მიზანი – რისთვის წერს ლომი წერილს?		

ჩანს თუ არა ლომის დამოკიდებულება მომხდარის მიმართ? – იგავის შეგონების მიმართ?		
მაქვს თუ არა ენობრივი შეცდომები, გამოტოვებული ასოები?		
დავსვი თუ არა სასვენი ნიშნები?		
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------		

აქტივობა 1. მეტაკოგნიტური პაუზა - გეზისმიმცემი შეკითხვებით სტრატეგიების სქემის ერთობლივად შევსება (**რესურსი 1**; იხ. მეთოდიკური დანართი)
აქტივობა 2. გონებრივი იერიშით წერილის გეგმა-ჩარჩოს ერთობლივად შევსება (**რესურსი 2**)
აქტივობა 3. წერილის პირველადი ვერსიის დაწერა
აქტივობა 4. წერილის გაუმჯობესება კრიტერიუმების ბადის გამოყენებით (**რესურსი 3**)
აქტივობა 5. საბოლოო ვარიანტის დაწერა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ გაგვიადვილდეს წერილის დაწერა?
- რა ხერხები გამოვიყენოთ წერის დაწყებამდე? ვის როგორ წარმოგიდგენიათ? კიდევ რა ხერხების გამოყენება შეიძლება, ვის რა მოსაზრებები გაქვთ?
- რა ხერხები გამოვიყენოთ წერის დროს? რა დაგვეხმარება წერის პროცესში?
- რა ხერხები გამოვიყენოთ ნაწერის გასაუმჯობესებლად?
- როგორ მიმართავდა ლომი თაგვს? ვის როგორ წარმოგიდგენიათ?
- რა მიზნით მისწერდა ლომი თაგვს? ვის რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?
- როგორ, რა ფორმით გამოემშვიდობებოდა, როგორ მოაწერდა ხელს?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- როგორი აგებულება აქვს შენს წერილს?
- რატომ ფიქრობ, რომ წერილი დაწერილია ლომის გადმოსახედიდან?
- როგორ ამოიცანი პერსონაჟების თვისებები და დამოკიდებულები, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

	გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
	სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6). **ქვეცნება:** თხრობა; თხრობის მახასიათებლები.	**საკითხი:** ამბის შეთხზვა იმის შესახებ, როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს **ქვესაკითხი:** ამბის სამნაწილიანობა, ლექსიკური მრავალფეროვნება სტრატეგიები: იდეების გენერირება. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევთხზა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს? როგორ გამოვიყენო საინტერესო სიტყვები მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად? **კომპლექსური დავალება**: **ამბის შეთხზვა** იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს. გაიხსენე და წერილობით გადმოეცი შემთხვევა შენი ცხოვრებიდან (ან შენი ნაცნობ-მეგობრის ცხოვრებიდან, ნანახი ანიმაციიდან, წიგნიდან), როცა სუსტი დაეხმარა თავისზე ძლიერს. დაასათაურე ამბავი.
	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	*<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>* • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 3); • დეტალები – ვის დასჭირდა დახმარება, ვინ დაეხმარა და როგორ (ს. 1. 3); • რომელი საინტერესო სიტყვები გამოიყენე (ს.1,2); • რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს.1).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება
აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული (ს.3)?

გამოიყენეთ თუ არა საინტერესო სიტყვები და ვრცელი წინადადებები (ს. 1,2)?

ქვესაკითხები: ამბის სამნაწილიანობა, ლექსიკური მრავალფეროვნება

აქტივობა 1. წინადადების განვრცობა: ოთხსიტყვიანი წინადადებების განვრცობა ისე, რომ რვასიტყვიანი წინადადება გამოვიდეს. გამოსაყენებელი წინადადება: **ქეთის თოჯინა ეზოში დარჩა.**
განვრცობილი წინადადების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: მოუსვენარ და გულმავიწყ ქეთის დედის ნაჩუქარი ლურჯთვალა თოჯინა კორპუსის ხმაურიან ეზოში დარჩა.

<u>**რესურსი 1**</u>.

აქტივობა 2. დაალაგე ილუსტრაციები ისე, რომ მივიღოთ ამბავი, შემდგომ კი – ის ზეპირად გადმოეცი.

ერთხელ ანამ ჩიტებზე ზრუნვა გადაწყვიტა. მან ფიცრებით ჩიტის სახლი გააკეთა და ფუნჯით შეღება. გოგონამ ჩიტის სახლი ეზოში ჩაიტანა და ხის ტოტზე დაკიდა. მალე სახლში ჩიტი შეფრინდა.

აქტივობა 3. სიტყვების მომარაგება და მათი გამოყენებით მოცემული ამბის განვრცობა
აქტივობა 4. ბარბარის ამბის შუა ნაწილის შეთხზვა, ამბის დაფაზე დაწერა

ამბის დასაწყისი	ამბის შუა ნაწილი	ამბის დასასრული
ერთხელ პატარა ბარბარე ფანჯრიდან იყურებოდა და ჩიტების გალობას უსმენდა. უცებ ერთი ჩიტი ძირს ჩამოვარდა.		ბოლოს ჩიტს ფრთა მოურჩა. ბარბარემ ის ფანჯრიდან გაუშვა თავის მეგობარ ჩიტებთან.

აქტივობა 5. სიტყვების მომარაგება და დაფაზე დაწერილი ამბის ერთობლივად განვრცობა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორი შეიძლება იყოს თოჯინა (პატარა, დიდი, ლამაზი, ლურჯთვალა, ახალი, ნაჩუქარი და სხვ. (აქტ. 1)?
- როგორი შეიძლება იყოს ქეთი (პატარა, ცელქი, მოუსვენარი, გულმავიწყი, კიკინებიანი, წითელკაბიანი და სხვ.)?
- როგორი შეიძლება იყოს ეზო (დიდი, პატარა, მშვიდი, მყუდრო, ხმაურიანი, ყვავილებიანი და სხვ.)?
- ვისი/რისი შეიძლება იყოს ეზო (კორპუსის, სახლის, მეზობლის, სკოლის)?
- ➢ როგორი შეიძლება იყოს ჩიტი (მაგ., პატარა, თეთრგულიანი, ლურჯბუმბულიანი (აქტ. 3)?
- ➢ როგორი შეიძლება იყოს ხე (მაგ., ტოტებგაშლილი, ფესვებგამდგარი, ტანმსხვილი, აყვავებული, ფოთოლხშირი, კვირტებამოყრილი, აკვირტებული)?
- ➢ როგორი შეიძლება იყოს ჩიტის სახლი (მაგ., წითელი, ხის, ლამაზი, კოხტა, წითლადშეღებელი, მყუდრო)?
- ➢ როგორი ხასიათის შეიძლება იყოს ანა (მაგ., გულკეთილი, მზრუნველი, ყურადღებიანი, თანამგრძნობი)?
- ➢ როგორი შეიძლება იყოს ფუნჯი (მაგ., წვრილი, მსხვილი, მრგვალთავიანი, ბრტყელთავიანი, მსხვილტარიანი, შავტარიანი)?
- ○ როგორ შეიძლება უსმენდეს ბარბარე ჩიტებს (მაგ., სულგანაბული, ხმაგაკმენდილი, დადუმებული, ყურდაცქვეტილი (აქტ. 4)?
- ○ როგორი შეიძლება იყოს ჩიტები (მაგ., მოჭიკჭიკე, მონავარდე, მოჟრიამულე, მოჟღურტულე)?
- ○ როგორი ხასიათის შეიძლება იყოს ბარბარე (მაგ., გულკეთილი, მზრუნველი, ყურადღებიანი, თანამგრძნობი)?
- ○ როგორი გარეგნობის შეიძლება იყოს ბარბარე (მაგ., ლურჯთვალა, გრძელთმიანი, მოკლეთმიანი, შავთმიანი, ნაწნავიანი)?
- ○ როგორი შეიძლება იყოს ჩიტის სახლი (მაგ., ხის, ლამაზი, კოხტა, წითლად შეღებილი, მყუდრო)?

როგორი შეიძლება იყოს ჩიტი (მაგ., ფრთამოტეხილი, აბუზული, ბუმბულაშლილი, აკანკალებული)?
როგორ შეიძლება იყოს ხე (მაგ., ტოტებგაშლილი, ტოტებშემხმარი, ფესვებგამდგარი, ტანმსხვილი)?

ნაბიჯი 2. დაეხმარე თუ არა მსმენელს ამბის გაგებაში ინტონაციითა და პაუზებით (ს. 1, 3)?
ქვესაკითხები: სტრატეგიები: იდეების გენერირება; **რა სტატეგიები გამოიყენე დავალების შესრულების დროს?**

რესურსი 1. თხრობის ჩარჩო

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს		
რა მოხდა დასაწყისში?	**რა მოხდა შუა ნაწილში?**	**რით დასრულდა ამბავი?**
სიტყვების მომარაგება ამბის განსავრცობად		

რესურსი 2. ურთიერთშეფასების სქემა

აქტივობა 1. იდეების გენერირება
აქტივობა 2. ამბის ჩარჩოს შევსება
აქტივობა 3. სიტყვების მომარაგება ამბის განსავრცობად
აქტივობა 4. თხრობის ჩარჩოზე დაყრდნობით რეპეტიციის გავლა მეწყვილესთან ერთად; დაკვირვების კრიტერიუმების გამოყენებით მონათხრობის გაუმჯობესება

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- ვის რა ამბავი გაგახსენდათ იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა სუსტი თავისზე ძლიერს (აქტ. 1)?
- კიდევ რას გაიხსენებდით წიგნებიდან, მულტფილმებიდან, პირადი ცხოვრებიდან?
- როგორ გამოიყენებთ მოსამზადებლად თხრობის ჩარჩოს?
- რა ხერხებს მიმართავთ იმისთვის, რომ გამოიყენოთ საინტერესო, იშვიათად გამოყენებული სიტყვები და ვრცელი წინადადებები?
- როგორ გააუმჯობესებთ თხრობას?

ამბის წარმოდგენა

კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში დასასმელი შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ დაასათაურე შენი ამბავი ამგვარად?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში (ილუსტრაცია, ფანტაზია)?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შემენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.
- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?

თემაში დამუშავებული ტექსტები

რესურსი 1. ი. გოგებაშვილის ,,სირცხვილი აიცილა“

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

ყოველი ეპიზოდის წაკითხვამდე მოსწავლეები ავსებენ ვარაუდების ცხრილის პირველ ორ მონაცემს, ბოლო მონაცემს კი – წაკითხვის შემდეგ; მსჯელობენ მინიშნებებზე, რომლებსაც მიაქციეს/არ მიაქციეს ყურადღება.

ეპიზოდი 1.	**ეპიზოდი 2.**
• როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ----------	• როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ----------
• რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი? ----------	• რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი? -- ----------
• სინამდვილეში რა მოხდა? ----------	• სინამდვილეში რა მოხდა? ----------

რესურსი 3. ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, ჩარჩო – სქემის საფუძველზე

აქტივობა 1. მოთხრობის ,,სირცხვილი აიცილა“ პაუზებით წაკითხვა, ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 2. ტექსტის გაგებაზე მუშაობა

აქტივობა 3. ტექსტის დედააზრის გამოკვეთა

გეზისმიმცემი კითხვები:

- რას გეუბნებათ მოთხრობის სათაური და ილუსტრაცია (აქტ.1)?
- თქვენი აზრით, რაზე იქნება ეს მოთხრობა?
- რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ატამს სირცხვილის არიდებასთან?
- **პირველი ეპიზოდი:** ,,ამოხტი სანდრო, მოგვწყვიტე და პირი ჩაიტკბარუნეო...“
- **მეორე ეპიზოდი:** ,,უცებ გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა...“
- **მესამე ეპიზოდი:** ,,დეიდა ნინო! დეიდა ნინო!“
- თქვენი ვარაუდით, რა მოხდებოდა? გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- რა დროს მოხდა მოთხრობაში აღწერილი მოქმედება (აქტ. 2)?
- სად იყო სანდრო?
- რამ მოსტაცა სანდროს თვალი?
- როგორ მოიქცა ის?
- რამ შეაწუხა სანდრო?
- როგორ აიცილა სანდრომ სირცხვილი?
- დააკვირდით ტექსტში შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: „ეთაკილებოდა“, „ყოყმანობდა“; რა არის ამ სიტყვების მნიშვნელობა?
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს „სულმა წასძლია“? როდის ამბობენ, სულმა წასძლიაო (მაგ., სული შეეხუთა, გონება დაკარგა)?
- როგორ გესმით სიტყვა „მოკურცხლა“? დააკვირდით ტექსტს და შეეცადეთ, ამოიცნოთ სიტყვის მნიშვნელობა.
- დააკვირდით ტექსტში აღნიშნულ ფრაზას: „თვალი ზედ დარჩა“. – რას გვეუბნება ის? როდის ამბობენ, თვალი ზედ დარჩაო (როგორ არის აღწერილი ატმები, როგორ მოანდომეს ბიჭს ატმის შეჭმა?)?
- რას ნიშნავს „პირი გაისველა“? როდის ამბობენ, პირი გაისველაო?
- თქვენ თუ გიყვართ ხილი? ხილით თქვენც თუ გაგისველებიათ პირი?
- დაუკითხავად ხომ არ აგიღიათ სხვისი ნივთი? რა ჰქვია სხვისი ნივთის დაუკითხავად აღებას/მითვისებას?
- არის თუ არა ქურდობა სხვისი ხიდან ხილის დაუკითხავად მოკრეფა?
- ანდაზის მიხედვით, ,,აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი – ორივე ქურდია“. – ეთანხმებით ამ ანდაზას (აქტ. 3)?
- რა არის მოთხრობის დედააზრი, რისი თქმა სურს მწერალს? რატომ არ შეიძლება სხვისი ნივთის დაუკითხავად აღება?
- რატომ ჰქვია მოთხრობას სათაურად ,,სირცხვილი აიცილა“?

აქტივობა 4. დაახასიათე სანდრო შენი სიტყვებით.

აქტივობა 5. მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა

აქტივობა 6. წაკითხვა კითხვის მატარებლის მეთოდით

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რა ჰქვია მოთხრობას?
- ვინ არის მოთხრობის პერსონაჟი?
- რაზე ფიქრობდა მინდვრიდან მომავალი მშიერი სანდრო, რომელმაც მადის აღმძვრელი ატმები შენიშნა?
- რაზე ფიქრობდა ბიჭი ატმის მოწყვეტის შემდეგ?
- რა მოიფიქრა ბოლოს სანდრომ?
- რა გააკეთა სანდრომ?
- რა გააკეთა ბიჭმა მას შემდეგ, რაც თავისი შეცდომა გააცნობიერა?
- რას ამბობდა სანდრო? რას ეუბნებოდა თავის თავს?
- რა უთხრა მან ნინო დეიდას?
- რას გრძნობდა სანდრო?
- რა შედეგი მოჰყვა სანდროს საქციელს?
- რა იყო სანდროს მიზანი? მიაღწია მან ამ მიზანს?

რესურსი 1. გიორგი ივანიშვილის მოთხრობა „სამი ბიჭი“

რესურსი 2. ვარაუდების ღრუბელი

აქტივობა 1. მოთხრობის წაკითხვა ვარაუდების გამოთქმით

აქტივობა 2. ტექსტის გაგებაზე მუშაობა (მოთხრობის შინაარსი, დედააზრი)

აქტივობა 3. ლექსიკური ერთეულების დამუშავება

ვარაუდების ღრუბელი

მინიშნებები სურათის მიხედვით **მინიშნებები სათაურის მიხედვით**

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რაზე მიგანიშნებთ ილუსტრაცია და სურათი? რაზე იქნება მოთხრობა (აქტ.1)?
- **პირველი ეპიზოდი** ასე დასრულდა: ,, ბიჭებს ასეთი რამ დაემართათ...“ – რა დაემართათ ბიჭებს? როგორ გაგრძელდება მოთხრობა?
- **მეორე ეპიზოდი:** „ურიკა კედელს დაეჯახა და ნალესი ჩამოინგრა...“ – რას ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?

- **მესამე ეპიზოდი:** ,,ურიკა მე მიმყავდა, ძია, კედელს მივაჯახე. ნალესი მე ჩამოვანგრიე“. – რა მოხდება შემდეგ? რას იზამს პატრონი? რატომ გგონიათ ასე?
- გამართლდა თქვენი ვარაუდები?
- სად ხდება მოქმედება (აქტ. 2)?
- ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები? რა ჰქვიათ მათ?
- როგორ ერთობოდნენ მეგობრები?
- რატომ დაიბრალა ვახტანგმა დანაშაული? როგორ მოიქცა ის?
- რა თქვეს გურამმა და რეზომ?
- რატომ აპატია სახლის პატრონმა ბიჭებს?
- რით გამოისყიდეს ბიჭებმა დანაშაული?
- როგორ აფასებთ ბიჭების საქციელს?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით, როცა სახლის პატრონი დანაშაულზე მოგისწრებდათ?
- როგორ მოიქცეოდით ბოლოს, როცა სახლის პატრონი კედლის შელესვას დაიწყებდა?
- როგორ გესმის სიტყვა **გულმოსული**ს მნიშველობა (აქტ. 3)?
- ტექსტის მიხედვით, როდის მოუვიდა პატრონს გული (როდესაც დანგრეული კედელი დაინახა. გული მოუვიდა ე.ი. **გაბრაზდა**)?
  გულმოსული – გაბრაზებული ყოფილა.
- როგორ ფიქრობთ, რა არის „ნალესი“ (დააკვირდით ილუსტრაციას, ამოიკითხეთ ტექსტიდან ეს ეპიზოდი)? – **ნალესი** იგივე გალესილი ადგილია.
- **სად იყო და სად არა, სახლის პატრონიც გამოჩნდა -** ტექსტის მიხედვით, პატრონი გამოჩნდა მოულოდნელად, უეცრად.
- როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ნაწარმოების დედააზრი, რისი თქმა სურს ავტორს (ადამიანმა უნდა შეძლოს საკუთარი შეცდომის აღიარება/მონანიება და ბოდიშის მოხდა)?

აქტივობა 4. ტექსტის კითხვა (მასწავლებლის საჩვენებელი კითხვა, გუნდური კითხვა, გაგრძელებით კითხვა)

აქტივობა 5. წერითი დავალება: შემოთავაზებული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები (იხ. მოსწავლის რვეული გვ. 10).

დავალების შესრულებისას დაგჭირდებათ შემდეგი ეტაპების გავლა:

ა) კარნახით ჩაიწერეთ სიტყვები: „ვახტანგმა“, „რიგრიგობით“, „სხდებოდნენ“, „აქეთ-იქით“, „გულმოსული“, „დააგორებდნენ“.

ბ) ჩაწერილი სიტყვების სისწორე შეადარეთ დაფაზე მოცემულ ვერსიას, შეამოწმეთ და შეასწორეთ.

გ) მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ თითო წინადადება.

აქტივობა 6. იმსჯელეთ, სწორად მოიქცნენ თუ არა ბიჭები.

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:
სად ხდება მოქმედება?
ვინ არიან მოთხრობა ,,სამი ბიჭის“ პერსონაჟები?
რას აკეთებენ მეგობრები?
რას ამბობენ ბიჭები?
რას გრძნობენ მეგობრები?
რა შედეგი მიიღეს ბიჭებმა?
რა არის მათი მიზანი?

აქტივობა 7. იპოვეთ მოთხრობების – ,,სამი ბიჭი“ და ,,სირცხვილი აიცილა“ – მსგავსება-განსხვავებები.

I ეტაპი – ცხრილის შევსება მასწავლებლის დახმარებით; საერთო საკლასო მუშაობა (,,მასწავლებელი – კალამი“)

	„სირცხვილი აიცილა“	„სამი ბიჭი“
მთავარი პერსონაჟი		
მოქმედების ადგილი		

პრობლემა		
პრობლემის გადაჭრა		

II ეტაპი

ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით უპასუხე კითხვებს და ჩაწერე რვეულში.

1. რით ჰგავს ეს ორი ტექსტი ერთმანეთს?

_____

2. რით განსხვავდება ეს ორი ტექსტი ერთმანეთისგან?

_____

3. შენი აზრით, რომელი იყო უფრო სერიოზული პრობლემა? რატომ ფიქრობ ასე (პასუხის დასაბუთებისთვის გამოიყენე ტექსტებში მოცემული ინფორმაცია)?

_____

რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მსოფლიო ჩემპიონი“

რესურსი 1. მოთხრობა ,,მსოფლიო ჩემპიონი“

რესურსი 2. კითხვების ცხრილი

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა ვარაუდების გამოთქმით, ტექსტის გაგება

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რაზე მიგანიშნებთ მოთხრობის სათაური და ილუსტრაცია?
- რაზე იქნება მოთხრობა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?
- რატომ ფიქრობთ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობით?
- სინამდვილეში რა მოხდა?
- რა სთხოვა ნაავადმყოფარმა ქეთინომ ძმას?
- რა პასუხი მიიღო მან?
- სად მიდიოდნენ მეგობრები?
- ვის შეხვდნენ ისინი პარკში?
- რა აკავშირებდა მსოფლიო ჩემპიონს ბიჭებთან?
- რა ჰკითხა მსოფლიო ჩემპიონმა გიგის? რა უსაყვედურა მან ბიჭს?
- რა მოიგონა გიგიმ თავის გასამართლებლად? მერამდენედ იცრუა მან?
- საიდან ჩანს, რომ გიგი ნანობს თავის საქციელს?
- რა გასწავლათ ამ მოთხრობამ?
- თქვენი აზრით, როგორი ადამიანია მისაბაძი? თქვენ ვის ჰბაძავთ?
- რას ეტყოდით გიგის? რა რჩევას მისცემდით მას ?
- რით ჰგავს ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი წინა ორი მოთხრობის მთავარ პერსონაჟებს და რით განსხვავდება მათგან?

აქტივობა 2. ტექსტის ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა გეზის მიმცემი კითხვებით

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ გესმით სიტყვა ,,დავტუქსავ“? – მაგ., *ცხელ გულზე გიგის თავისი დაიკოს დატუქსვა მოუნდა.* – ე.ი. დატუქსვა – გაჯავრება, გაწყრომა ყოფილა.
- „ახოვანი“, „ბრგე“ – ვისზე, როგორი აღნაგობის ადამანზე იტყვიან ახოვანიაო, ბრგე არისო? დააკვირდით ტექსტს და შეეცადეთ ამოიცნოთ, როგორი იქნებოდა ნავარჯიშები, სპორტსმენი ადამიანი (ახოვანი – დიდი ტანის, მოხდენილი აგებულების; ბრგე – მაღალი და მხარბეჭიანი, ტანადი, წარმოსადეგი ადამიანი).
- რას ნიშნავს „მოწიწებით“? როგორ ჩამოართმევდნენ ხელს გამოჩენილ ადამიანს პატარა ბიჭები (მორიდებით, მოკრძალებით)?
- რას ნიშნავს „ამოილუღლუღა“, ანუ როგორ თქვა სათქმელი დარცხვენილმა ბიჭმა (ძლივძლივობით)?

აქტივობა 3. ლექსიკური სამუშაო (იხილეთ მოსწავლის წიგნში)

აქტივობა 4. ტექსტის კითხვა (საჩვენებელი კითხვა, გუნდური კითხვა, გამოკრებით კითხვა, როლური კითხვა)

აქტივობა 5. დავალება: დაწერეთ, რა არ მოეწონა ჩემპიონს გიგის საქციელში.

თემა #3: სწავლა-სიახლის ძიება **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: პაატა მამფორიას მოთხრობა ,,სიტყვის კაცი“; დავით ჯავახიშვილის მოთხრობა ,,ზღაპრული სკივრი“; პაატა მამფორიას მოთხრობა ,,უცნაური მგზავრი“; პაატა მამფორიას მოთხრობა ,,ეკამ წერილი მიიღო“.		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** პაატა მამფორიას მოთხრობის ,,ეკამ წერილი მიიღო“ პერსონაჟ სიტყვის კაცისთვის წერილის მიწერა	**საკითხი 2.** პატარა სახალისო ამბის შედგენა ზღაპარში დაკარგული ბიჭის შესახებ
ტექსტი: წერილი **ქვეცნებები**: თემა, პერსონაჟი. *ტექსტის გაგების სტრატეგიები.* *წერის სტრატეგიები* **გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I). 5, 6) **ქვეცნება:** თხრობითი და კითხვითი წინადადებები.	**ქვესაკითხები:** ტექსტის „ეკამ წერილი მიიღო“ თემა, პერსონაჟ სიტყვის კაცის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობები; მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები. ***წერილის მახასიათებლები*** **ქვესაკითხები**: წერტილი და კითხვის ნიშანი	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი **ქვეცნება**: თხრობა		**ქვესაკითხები**: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები.
	კომპლექსური დავალება 1. წერილი სიტყვის კაცს	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შეთხზვა – ზღაპარში დაკარგული ბიჭის ამბავი

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** წერილი თემა, შინაარსი, პერსონაჟი ტექსტის გაგების სტრატეგიები წერის სტრატეგიები	**საკითხი:** წერილის მიწერა პერსონაჟისთვის (საკომუნიკაციო მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით). **ქვესაკითხები:** ტექსტის „ეკამ წერილი მიიღო“ თემა, პერსონაჟ სიტყვის კაცის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები. წერილის მახასითებლები. **საკვანძო შეკითხვები:** რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით მივწერო წერილი საყვარელ გმირს? როგორ წარმოვაჩინო წერილში ჩემი მიზანი? როგორ შევარჩიო ენობრივი საშუალებები მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით? **კომპლექსური დავალება:** წერილი სიტყვის კაცს მისწერე სიტყვის კაცს წერილი; წერილში გამოკვეთე, რა მიზნით სწერ წერილს (მაგ., პატივისცემის, შთაბეჭდილების გამოხატვის, კითხვების დასმის სურვილი); წარუდგინე შენი თავი და წარმოაჩინე, რატომ არის ის შენთვის გამორჩეული; მისი რომელი თვისება მოგწონს ყველაზე მეტად; რაზე დაგაფიქრა. ➢ დაიცავი წერილის აგებულება (მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება, ხელმოწერა); ➢ დასვი სასვენი ნიშნები; ➢ მკითხველის თვალით წაიკითხე პირველადი ვარიანტი და გააუმჯობესე ის კრიტერიუმების საფუძველზე, შემდეგ – გადაწერე და გააფორმე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ***ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:*** • რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე წერილის მიწერა (ტ.1,2); • როგორი აგებულება აქვს შენს წერილს (ტ.3); • სად და რატომ დასვი წერტილი და კითხვის ნიშანი (გრ.1).

3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	

თემაში დასამუშავებული ტექსტები:

რესურსი 1. პაატა მამფორიას მოთხრობა „სიტყვის კაცი“
რესურსი 2. მინიშნებების ცხრილი
რესურსი 3. სიტყვის გამომძიებელი
რესურსი 4. სიტყვის კვადრატი „ექვსი-ექვსზე“

აქტივობა1. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა.

ა) შინაარსის გააზრება

- რა დაავიწყდა ზაქარიას?
- რა გაიხსენა ზაქარიამ დავიწყებული სიტყვის ძებნაში?
- ვინ გამოჩნდა გზაზე? რა მოჰქონდა უცხო კაცს?
- რა ჩაილაპარაკა უცხო კაცმა?
- რა გაუკვირდა ზაქარიას?
- როგორ გაეცნო უცნობი ზაქარიას?
- რა შეიცვალა სიტყვის კაცთან შეხვედრის შემდეგ?

ბ) დეტალებზე დაკვირვება

მოთხრობის მიხედვით, ვინ აღმოჩნდა სიტყვის კაცი?
„როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია“ არის ანდაზა. – რას ნიშნავს ეს გამონათქვამი (როცა ძალიან გშია, ყველაფერი გემრიელი გეჩვენება)?
აქვს რამე კავშირი ანდაზის შინაარსს მოთხრობასთან?
დააკვირდით, რა ჰქვია მოთხრობის პერსონაჟს.
როგორ შეახსენებს სიტყვის კაცი ზაქარიას? პირდაპირ ეუბნება?

გ) პერსონაჟის შესახებ ტექტში მოწოდებული ინფორმაციის ამოცნობა

საიდან ჩანს პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო ფასეულობები, დამოკიდებულებები, პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან (მასწავლებელს შეუძლია, ამ ცხრილით იმუშაოს დაფაზე; სასურველია, წინასწარ ამობეჭდოს ტექსტი სტიკერ-ფორმატზე და საჭიროებისამებრ ნელ-ნელა ჩააწებოს/ჩაწეროს)?

დავაკვირდეთ ტექსტში მოცემულ დეტალებს	**რაზე მიგვანიშნებს**
1. ნიავივით მსუბუქად მოდიოდა. ზურგით სკივრი მოჰქონდა. სკივრზე უცხო ფრინველი იჯდა.	ზღაპრული პერსონაჟი
2 ბიჭს სიტყვა ანდაზით შეახსენა	მნშვნელოვანია ანდაზების, სიტყვების ცოდნა
3. კაცს გაეცინა, უცხო ფრინველი აჭიკჭიკდა.	უცნაური კავშირი აქვთ კაცს და მგალობელ უცხო ფრინველს.
4. ვის არის ეს კაცი? – მე ყველაფერი ვიცი. სიტყვები მაქვს მობარებული. თუ გინდა, სიტყვის კაცი დამიძახე.	უცნაური საქმიანობა, უცნაური სახელი აქვს. გულთმისანია.
5. ზაქარიას ყველა დავიწყებული სიტყვა გაახსენდა.	სიტყვის კაცს ჯადოსნური ძალა აქვს.

ეს ზღაპრული პერსონაჟი დღეიდან ჩვენი წიგნის ბინადარი იქნება.

სიტყვის კაცს სიტყვები ჰქონდა მიბარებული. ის ამ სიტყვებს უცნაურ სკივრში ინახავდა. ეს სკივრი თქვენც გეკუთვნით. მოიძიეთ „სიტყვის სკივრში“ თქვენთვის უცნობი სიტყვები.

აქტივობა 2. მუშაობა ლექსიკურ ერთეულებზე

სიტყვის გამომძიებელი

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით	განმარტება „სიტყვის სკივრში“ (ლექსიკონში)
ნაზუქი			
კვერი			
წამსვე			

თუ იცით, რას ნიშნავს სიტყვები: ნაზუქი, კვერი, წამსვე?
როგორ განმარტავთ მათ თქვენი სიტყვებით?
როგორ განმარტავთ ამ სიტყვებს ტექსტის მიხედვით?
ემთხვევა თქვენი განმარტება „სიტყვის სკივრის“ განმარტებას?
ხომ არ შეგხვდათ ტექსტში სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც არ იცით?

მოუძებნე სიტყვებს მსგავსი სიტყვები და გამონათქვამი:

რა ექნა	ზანდუკი
სკივრი	მაშინვე
წამსვე	მადლობას გადავუხდი
უცხო	რა ეღონა
მადლობას ვეტყვი	უცნაური

მოუძებნე სიტყვებს საპირისპირო სიტყვები:

დაავიწყდა	მძიმედ
მსუბუქად	ყველგან
წასულიყო	გაიხსენა
აღარსად	მოსულიყო

აქტივობა 3. სიტყვის კვადრატის „ექვსი-ექვსზე“ შევსება
ჯგუფური სამუშაო
შეავსეთ სიტყვების კვადრატი „ექვსი-ექვსზე“:

1. **ს**					
2. **ი**					
3. **ტ**					
4. **ყ**					
5. **ვ**					
6. **ა**					

კითხვები:

- როცა ყინულის პატარა მარცვლები ცვივა ციდან, ვამბობთ, რომ მოდის ...
- პატარა, ყვითელი მგალობელი ფრინველია, გავრცელებულია კანარის კუნძულზე, ხშირად სახლშიც ჰყავთ გალიაში;

- გადასატანი, გადასაზიდი მძიმე ბარგი;
- წითელყვავილიანი მცენარეა. აქვს მოზრდილი ყვავილი, შუა გულში შავი ხალით. თითო ღერზე თითო ყვავილი აქვს. იზრდება ყანასა და მშრალ ბალახოვან ფერდობებზე;
- მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ვაზი, იგივე ვაზის ბაღი;
- მოწყობილობა ცხენის სამართავად, თავზე ჩამოსაცმელი, ხელში დასაჭერი თასმებით.

დაფიქრდით, რატომ ჰქვია ამ კროსვორდს „სიტყვების კვადრატი ექვსი ექვსზე“.

შევსებული ვერსია:

1. **ს**	ე	ტ	ყ	ვ	ა
2. **ი**	ა	დ	ო	ნ	ი
3. **ტ**	ვ	ი	რ	თ	ი
4. **ყ**	ა	ყ	ა	ჩ	ო
5. **ვ**	ე	ნ	ა	ხ	ი
6. **ა**	ღ	ვ	ი	რ	ი

რესურსი 1. დავით ჯავახიშვილის ლექსი „ზღაპრული სკივრი“

რესურსი 2. საინფორმაციო რუბრიკა – „რა ვიცით წიგნის შესახებ“ (სახელმძღვანელოდან)?

რესურსი 3. ლექსი „დილა მშვიდობისა“

აქტივობა 1. ლექსის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა

წაკითხული ლექსიდან ყველა სიტყვის მნიშვნელობა გესმით?
თუ იცით, რას ნიშნავს **ყოვლის – ყველაფრის?**
როგორ გესმით ფრაზა: **„სად იბადება თოვლი“?**
ლექსში მოცემული კითხვებიდან ყველაზე მეტად რომელი გაინტერესებთ?
სად ყოფილა ყველა კითხვის პასუხი?
რა ყოფილა „ზღაპრული სკივრი“?
რომელი წიგნი გიყვართ ყველაზე მეტად?
რატომ გიყვართ ეს წიგნი?

აქტივობა 2. კითხვით წინადადებაზე მუშაობა (გრამატიკული საკითხი)

რა უწოდა პოეტმა წიგნს („ზღაპრული სკივრი“)?
რატომ უწოდა პოეტმა წიგნს ასე?
სად შეიძლება იყოს ყველა კითხვის პასუხი?
ლექსში არაერთი კითხვაა დასმული. პირველსავე სტროფში ნათქვამია: „რა აჩენს ცისარტყელას?“
როგორ ფიქრობთ, რა არის ეს წინადადება (შეკითხვა)?
რას ეძახიან ასეთ წინადადებას?
რა ნიშანს ვსვამთ კითხვითი წინადადების ბოლოს?

აქტივობა 3. ლექსში კითხვითი წინადადებების მოძებნა და წაკითხვა

აქტივობა 4. გავიხსენოთ საბავშვო ლექსი „დილა მშვიდობისა“, ამოვბეჭდოთ ფურცელზე და დავარიგოთ.
მოსწავლეებმა მოძებნონ კითხვითი წინადადებები და დასვან კითხის ნიშნები.

- ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა
- შენ გიგალობ, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

- მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა
- შენ გიცინი, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

- პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი
- შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!

დაარიგეთ ფურცლებზე ამობეჭდილი დავალება; მოსწავლეებმა იმუშაონ წყვილებად.

რატომ დაარქვა პოეტმა ლექსს ზღაპრული სკივრი? ამოარჩიეთ სწორი პასუხი: წიგნებში მხოლოდ ზღაპრები და გამოგონილი ამბებია; წიგნებში ინფორმაციაა სხადასხვა აღმოჩენების, ბუნების, ქვეყნების შესახებ; წიგნებში ყველაფერია, მას შეუძლია ზღაპრის გმირივით უამრავ სამყაროში გვამოგზაუროს.

დავალების შესრულების შემდეგ ჩამოიარეთ და ნახეთ პასუხები. თუ ვინმეს არასწორი პასუხი აქვს შემოხაზული, ჰკითხეთ, რატომ ჰგონია ასე. შემდეგ მოსწავლემ დაასაბუთოს, რა არგუმენტები აქვს ლექსიდან სწორი პასუხის დამადასტურებლად.

მოსწავლეები ჩავიყვანოთ ბიბლიოთეკაში. დავათვალიერებინოთ წიგნები, მათ შორის, საბავშვო-შემეცნებითი, მაგალითად, „ჩემი პირველი შეკითხვები“, საბავშვო ენციკლოპედიები სხვადასხვა თემაზე: ცხოველებზე, მცენარეებზე, ბუნების მოვლენებზე, კოსმოსზე და ა.შ. ავუხსნათ მათი დანიშნულება.

დავალება1. სახატავ ფურცელზე დახატე შარლ პეროს ზღაპარ „წითელქუდას“ ყდა. გაუკეთე ყდას შესაბამისი წარწერები.

დავალება 2. შენი საყვარელი ლექსებისთვის შეადგინე პატარა წიგნი. გაითვალისწინე, როგორი იქნება მისი ყდა, გვერდები, ილუსტრაციები, სარჩევი.

რესურსი 1. პაატა მამფორიას მოთხრობა „უცნაური მგზავრი“

რესურსი 2. ვარაუდების ცხრილი

ეპიზოდი 1.	ეპიზოდი 2.
• როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ---------- • რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?---------- • სინამდვილეში რა მოხდა? ----------	• როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ---------- • რატომ ფიქრობ ასე? რა მინიშნებებს ეყრდნობი?---------- • სინამდვილეში რა მოხდა? ----------

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა

პაუზებით კითხვა: პირველი პაუზა

– ეგ ჩვეულებრივი ყუთი არ გახლავთ, ძალიან მსუბუქიც არის და ძალიან მძიმეც, – თქვა მგზავრმა.

- ვინ არის ეს მგზავრი?
- რამ მიგახვედრათ, რომ იგი სიტყვის კაცია?

– კარგი, მაშინ დავტოვებ, – ამბობს მგზავრი.

- როგორ ფიქრობთ, სად დატოვებს ყუთს მგზავრი?
- გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- როგორ ფიქრობთ, სად და რატომ მიემგზავრება სიტყვის კაცი?
- ამართლებს თუ არა ეს პერსონაჟი თქვენს მოლოდინს (იმას, რომ ის მოსწავლეების მეგობარია და მართლაც ყველა სიტყვა იცის)?

აქტივობა 2. ლექსიკური ერთეულების დამუშავება

ა) ტექსტის მიხედვით საპირისპირო სიტყვების მოძებნა

მიუწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

ჩვეულებრივი	
მსუბუქი	
ფუმფულა	
ქათქათა ღრუბელი	
ჭრელბოლოიანი ფრინველი	

ბ) დააკვირდი სიტყვებს: საგზალი, მგზავრი, მოგზაური. რომელი რას ნიშნავს (შეაერთე ხაზებით)?

ვინც გზას ადგას და სადღაც მიდის		საგზალი
ვინც უცხო ადგილების სანახავად მიდის		მგზავრი
გზაზე საჭმელად წაღებული სურსათი		მოგზაური

გ) ჩამოვწეროთ დაფაზე სიტყვები:

მგზავრი, მოგზაური, საგზალი, თანამგზავრი.
დაასახელე, რომელი საერთო სიტყვიდან მომდინარეობს ეს სიტყვები.

აქტივობა 3. სახელმძღვანელოს 1 სავარჯიშოს განხილვა.

რატომ არის სიტყვის კაცის ყუთი ძალიან მსუბუქიცა და ძალიან მძიმეც? – დაასახელე სწორი პასუხი:

1. პატარა სიტყვა შეიძლება მსუბუქი იყოს, დიდი სიტყვა კი – მძიმე;
2. სიტყვას ხელში ვერ აიღებ, ვერ აწონი, მაგრამ ნათქვამ სიტყვას
   დიდი მნიშვნელობა და დიდი წონა აქვს;
3. ყუთში ჩაწყობილი სიტყვები უწონოა, თავად ყუთი კი – მძიმე.

მსჯელობა: როგორ გესმით ანდაზა „ზოგჯერ სიტყვა მახვილზე მეტად მჭრელიაო“?

აქტივობა 4. გრამატიკულ სავარჯიშოზე მუშაობა

იხილეთ სახელმძღვანელოში სრული და არასრული პასუხი.
შეკითხვას ხან სრულად ვპასუხობთ, ხან – არასრულად, მაგალითად:
– თქვენ სად მიფრინავთ?
– ქუთაისში.
ამ შეკითხვას მგზავრმა მოკლედ უპასუხა. ეს არასრული პასუხია, სრული პასუხი კი – ასეთი იქნება:
– თქვენ სად მიფრინავთ?
– მე ქუთაისში მივფრინავ.

აქტივობა 5. ყურადღებით წაიკითხე წინადადებები. არასრული პასუხის ნაცვლად გაეცი სრული პასუხი (შეასრულეთ სახელმძღვანელოში მოცემული დავალება).
– სად მიფრინავდა მგზავრი?
– ქუთაისში.
– რა მიჰქონდა სიტყვის კაცს?
– სკივრი.
– ვისთან მიდიოდა სიტყვის კაცი?
– მატასისთან.

– სად დატოვა უცნაურმა მგზავრმა თავისი ყუთი?
– მეორე კლასის სახელმძღვანელოში.
– რა დაინახა მორიგემ ფანჯარაში?
– იალკია.

აქტივობა 6. კითხვა-პასუხი (მუშაობა წყვილებად)
ერთმანეთს დაუსვით ორ-ორი კითხვა: ერთს გაეცით სრული პასუხი, მეორეს – არასრული.
კითხვა-პასუხები:

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

აქტივობა 1. მოსწავლის წინარე ცოდნის დადგენა

- როგორ ახსნი, რა არის წერილი? რატომ წერენ ადამიანები წერილს?
- შენ თუ დაგიწერია წერილი და ვის მისწერე?
- შენ თუ მოგწერა ვინმემ წერილი? რას გწერდნენ?
- როგორ ფიქრობ, მიღებული წერილი სწორად იყო შედგენილი (რა აკლდა?)?
- რატომ ფიქრობ ასე?
- როგორ განასხვავებ ერთმანეთისაგან თანატოლისა და უფროსისათვის მიწერილ წერილებს?
- რა გეხმარება ადამიანების მიმართ თავაზიანობის გამოხატვაში?
- დაგეხმარება საკუთარი გამოცდილება ამ დავალების შესრულებაში?

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

ეტაპი II – თემის ფარგლებში შესასწავლი ტექსტების დამუშავება, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

რესურსი 1. ეკამ წერილი მიიღო.

ნაბიჯი 1. რა ხერხები, რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად?
რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. მოთხრობა „ეკამ წერილი მიიღო“
რესურსი 2. სიტყვის პირამიდა
რესურსი 3. თამაში „გამოცნობანა“
რესურსი 4. სიტყვების ცხრილი
რესურსი 5. პერსონაჟის რუკა

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა; სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 2. ტექსტის შინაარსის გაგებაზე მუშაობა
აქტივობა 3. ტექსტში უცხო სიტყვების მოძებნა/ლექსიკური ერთეულების დამუშავება
აქტივობა 4. სიტყვების დაწერილობის დამახსოვრება
აქტივობა 5. ცხრილის შევსება
აქტივობა 6. პერსონაჟების დახასიათება რუკაზე დაყრდნობით

სიტყვის პირამიდა

მოსწავლე _____

თარიღი _____



თუ

შესავსები ცხრილი

სიტყვა	☺	☹
დედმამა		
მამა-შვილი		

პერსონაჟის რუკა

	რას ამბობს პერსონაჟი?	რას აკეთებს პერსონაჟი?	როგორ გამოიყურება პერსონაჟი?
სიტყვის კაცი			
ეკა			

სამიზნე ცოდნის აგებაზე ორიენტირებული კითხვები:

- რაზე მიგვანიშნებს ტექსტის სათაური „ეკამ წერილი მიიღო“?
- სათაურის მიხედვით, რა ტიპის ტექსტი იქნება წარმოდგენილი?
- რას გეუბნებათ ილუსტრაცია? რაზე იქნება მოთხრობა?
- სათაურის მიხედვით, ვინ უნდა იყოს მოქმედი გმირი?
- რა მოხდა სინამდვილეში?
- ვისი წერილი მიიღო ეკამ?
- რას უწოდებს სიტყვის კაცი ეკას?
- ეკას რა თვისება აღმოაჩინეთ წერილის წაკითხვისას?
- როგორია სიტყვის კაცი?
- რას ნიშნავს სიტყვა „გულთბილი“? რომელია მისი მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?
- რაზე მიგანიშნებთ სიტყვა „გულისფანცქალით“?
- რას ნიშნავს სიტყვა „ხნიერი“? დაასახელე მისი სინონიმი/ანტონიმი.
- რა არის „სკივრი“? მოიფიქრე წინადადება დასახელებულ სიტყვაზე.
- როგორ იწერება სიტყვა „მამა-შვილი“?
- ერთად ვწერთ სიტყვა „გულთბილს“?
- როგორ ფიქრობ, როგორ უნდა დაიწეროს „გულისფანცქალით“?
- როგორ დაწერ სიტყვებს: „და-ძმა“, „დედ-მამა“, „სახლ-კარი“?

თამაში გამოცნობანა: იპოვე დასახელებული სიტყვის სწორი დაწერილობა.

ნაბიჯი 2 . როგორ, რა სტრატეგიის გამოყენებით დავწერო წერილი? რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი წერილია (ტ. 3)? რამდენად შეესაბამება შენი წერილი მიზანს (ტ. 1)?
ქვესაკითხვები: წერილის მახასიათებლები; წერის სტრატეგიები.

რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. ტექსტი „ეკამ წერილი მიიღო“
რესურსი 2. წერილის ჩარჩო
რესურსი 3. შეფასების კრიტერიუმების ცხრილი





აქტივობა 1. წერილის ჩარჩოზე დაყრდნობით სიტყვის კაცისათვის წერილის მიწერა
აქტივობა 2. ნაწერის შემოწმება

გ = გასაუმჯობესებელია **კ = კარგია**		
	მე	**მასწავლებელი ან თანაკლასელი**
წერილს აქვს სამი ნაწილი		
წერილში ჩანს, რა მიზნითაა დაწერილი		
წერილში დაცულია თანამიმდევრობა		
წერილში გამოკვეთილია ჩემი დამოკიდებულება		
მოყვანილია დამაფიქრებელი მაგალითი ჩემი ხედვის წარმოსაჩენად		
სიტყვები და გაფორმება იქცევს ადრესატის ყურადღებას		
სასვენი ნიშნები სწორადაა გამოყენებული		
გასაუმჯობესებელია: ---------- ----------		

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი სტრატეგიები დაგეხმარება ნამუშევრის გაუმჯობესებაში (მაგ., ჩარჩოზე დაყრდნობით პირველადი ვარიანტის შემუშავება, კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათზე დაყრდნობით ნამუშევრის გაუმჯობესება, მკითხველის თვალით წაკითხვა)?
- რა კრიტერიუმებს გამოიყენებ ნაწერის გასაუმჯობესებლად?
  - *როგორ დავიწყო წერილის წერა?*
  - *რომელი სიტყვები გამომადგება ამ წერილის შედგენისას, როგორი იქნება ჩემი მეტყველება?*
  - *რა დავწერო წერილის ძირითად ნაწილში?*
  - *რა მაინტერესებს, რა შეკითხვები მოვიფიქრო?*
  - *ჩემი ინტერესები თუ უკავშირდება ეკას პერსონაჟის ინტერესებს?*
  - *როგორ დავასრულო წერილის წერა?*
  - *რომელი სასვენი ნიშნები გამომადგება წერილში მიმართვისას, ამბის თხრობისას?*

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ დაწერე ამგვარი წერილი?
- რა დაგეხმარა ამ წერილის შექმნაში (ილუსტრაცია, ფანტაზია)?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?

- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე).** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნებები:** თხრობა	**საკითხი:** პატარა სახალისო ამბის შედგენა თხრობის სტრუქტურა-აგებულების დაცვით, სრული და არასრული პასუხების გამოყენებით. **ქვესაკითხი:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); თანამიმდევრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები; დიალოგი. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ გამოვიყენო თხრობის სტრუქტურა-აგებულების, სრული და არასრული პასუხების გამოყენების ცოდნა პატარა სახალისო ამბის დასაწერად? **კომპლექსური დავალება:** ამბის შეთხზვა – ზღაპარში დაკარგული ბიჭის ამბავი მოიფიქრე და დაწერე ამბავი ბიჭზე, რომელიც ზღაპარში დაიკარგა. ნაშრომში: ➢ წარმოაჩინე, ვინ არიან დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები; ➢ გამოკვეთე ამბის დეტალები – რა ასაკისაა? რა ჰქვია? რა თვისებები აქვს? როგორ და რომელ ზღაპარში დაიკარგა ბიჭი? ვის შეხვდა იგი ზღაპარში? ვინ და როგორ დაეხმარება ბიჭს დაბრუნებაში (მაგ., სიტყვები ან გამოცანები ხომ არ დაეხმარება შინ დაბრუნებაში)? ➢ გადმოეცი, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი; ➢ წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით, დასვი სასვენი ნიშნები; ➢ დიალოგში გამოიყენე სრული და არასრული პასუხები; შენს შეთხზულ ამბავს შეურჩიე სათაური.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა; 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.3)? • რომელი დეტალები მიანიშნებს, რომ ბიჭი ზღაპრულ სამყაროშია (ს. 1. 3)? • როგორ პასუხებს იყენებენ პერსონაჟები დიალოგში? მოიყვანე მაგალითები (გრ.1); • შენ მიერ გამოყენებული რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად (ს.2); • ახსენი, რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს.3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 1. დავალების გაცნობიერება

- როგორ ახსნით, რა არის ამბავი?
- როგორ მოვყვეთ ამბავი?
- რა უნდა გავითვალისწინოთ ამბის მოყოლისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა დაგეხმარება ამბის შეთხზვაში?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს.3)? რომელი დეტალები მიანიშნებს, რომ ბიჭი ზღაპრულ სამყაროშია (ს. 1. 3)? როგორ პასუხებს იყენებენ პერსონაჟები დიალოგში? მოიყვანე მაგალითები (გრ.1); შენ მიერ გამოყენებული რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად (ს.2)? ახსენი, რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს.3).
ქვესაკითხები: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა; თანამიმდევრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები.

აქტივობა 1. ამბის შეთხზვაზე მუშაობა. იდეების ორგანიზება.
რესურსი 1. თხრობის ცხრილი
თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა

დასაწყისი	როგორ და რომელ ზღაპარში დაიკარგა ბიჭი?
შუა ნაწილი	ვის შეხვდა იგი ზღაპარში? ვინ დაეხმარება ბიჭს დაბრუნებაში? რამ შეიძლება იგი დააბრუნოს? სიტყვები ან გამოცანები ხომ არ დაეხმარება?
დასასრული	როგორ დაბრუნდა ბიჭი სახლში?

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს ჩვენი ამბავი?
- რით უნდა იწყებოდეს ამბავი?
- ვინ უნდა იყვნენ ამბის მთავარი პერსონაჟები?
- რით უნდა იგრძნობოდეს, რომ მოქმედება ზღაპრულ სამყაროში ხდება?
- როგორ მოხვდა ბიჭი ზღაპარში?

- რა საფრთხე დაემუქრა?
- რით დასრულდება ამბავი? როგორ გადაიჭრა პრობლემა?
- როგორ დაასათაურებთ ამბავს?
- ვის შეხვდა იგი ზღაპარში?
- ვინ დაეხმარება ბიჭს დაბრუნებაში?
- რამ შეიძლება იგი დააბრუნოს?
- სიტყვები, გამოცანები ან ჯადოსნური სიტყვები ხომ არ დაეხმარება ბიჭს?
- როგორი საუბარი ექნება სხვა პერსონაჟებთან?
- როგორ პასუხებს გამოიყენებენ პერსონაჟები – სრულს თუ არასრულს?

აქტივობა 2. ამბის სიუჟეტზე მუშაობა
იდეების ორგანიზება:
რესურსი 2. მაორგანიზებელი ცხრილი

ბიჭი	რამხელაა? რა ჰქვია? როგორია ბუნებით, ხასიათით?
ზღაპრის რომელი გმირი იქნება დადებითი პერსონაჟი, რომელი – უარყოფითი?	
დადებითი	
უარყოფითი	
მოიფიქრეთ, როგორ გარემოში აღმოჩნდებოდა?	
მოიფიქრე ჯადოსნური სიტყვები, რომლებსაც გამოიყენებდნენ საუბრისას პერსონაჟები.	

- დააკვირდით, ხომ არ დავამატოთ აქ რაიმე დეტალი? რა სიტყვებით შეიძლება გავამდიდროთ ამბავი?
- როგორ გავაუმჯობესოთ თხრობა?
- როგორ მოვახდინოთ შთაბეჭდილება მსმენელზე? როგორ დავაინტერესოთ ის?

რესურსი 3. კრიტერიუმების ბადის ნიმუში

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია	
	დამკვირვებელი
აქვს თუ არა თქვენს ამბავს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული ?	
იყენებ თუ არა იშვიათად ხმარებულ სიტყვებს, მრავალფეროვან, ვრცელ წინადადებებს?	
გადმოსცემ თუ არა ამბავს გამომსახველობითად?	
რა არის გასაუმჯობესებელი? ---------- ----------	

ამბის წარმოდგენა

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ დაასათაურე ამგვარად შენი ამბავი?
- რა დაგეხმარა ამ ამბის შექმნაში (ილუსტრაცია, ფანტაზია)?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?

- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?

თემა #4: ჩვენი ოთხფეხა მეგობრები

საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.

თემაში გამოყენებული ტექსტები:

- ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობა ,,როგორ შეიძინა ულემ ელვა“;
- ვაჟა ხორნაულის ლექსი ,,ხვთისო“.

	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებში „როგორ შეიძინა ულემ ელვა“ მოთხრობილი ამბის გადმოცემა პერსონაჟ ელვას ხედვის კუთხიდან	**საკითხი 2.** ამბის შეთხზვა ბიჭისა და ძაღლის დამეგობრებაზე
ტექსტი **ქვეცნებები**: მოთხრობა, დედაზრი, პერსონაჟი, ხედვის კუთხე.	**ქვესაკითხები:** ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობის ,,როგორ შეიძინა ულემ ელვა“ დედაზრი, პერსონაჟები; მათი ხედვის კუთხე, ურთიერთობა, ახალი და იშვიათად გამოყენებული სიტყვები; ემოციები, მოქმედების დრო და ადგილი.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: თხრობა სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება ენობრივი საშუალება		**ქვესაკითხები:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ლექსიკური მრავალფეროვნება, დროითი მიმართებების, ნიშან-თვისებების გამომხატველი ენობრივი სიტყვები.
	კომპლექსური დავალება 1.	**კომპლექსური დავალება 2.**

	ნაწარმოები სიუჟეტის გაგრძელება	ამბის შეთხზვა ბიჭზე, რომელსაც არ უყვარდა ცხოველები

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მოთხრობის შინაარსობრივი მხარე, მთავარი იდეა, პერსონაჟები, ხედვის კუთხე; გაგებისა და წერის სტრატეგია.	**საკითხი:** ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებში „როგორ შეიძინა ულემ ელვა“ მოთხრობილი ამბის გადმოცემა პერსონაჟ ელვას ხედვის კუთხიდან **ქვესაკითხები:** ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობის „როგორ შეიძინა ულემ ელვა“ დედააზრი, პერსონაჟები; მათი ხედვის კუთხე, ურთიერთობა, ემოციები, მოქმედების დრო და ადგილი; ახალი და იშვიათად გამოყენებული სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ გამოვიყენო ტექსტის მინიშნებები **ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობის** შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხის ამოსაცნობად? **კომპლექსური დავალება: თხრობა მთხრობლის შეცვლით** **დავალების პირობა:** მოირგე ელვას როლი; წარმოიდგინე, როგორ მოუყვებოდა ის წლების შემდეგ თავის ლეკვს თავს გადამხდარ ამბავს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ: • რა მინიშნებებს დაეყრდენი ხედვის კუთხის შეცვლისათვის; რატომ ფიქრობ, რომ ასე მოჰყვებოდა ელვა თავის ამბავს (ტ. 2); • რისი თქმა გინდოდა ამ ამბით; რით უკავშირდება შენი ამბავი ტექსტის მთავარ სათქმელს (ტ. 1); რა შეიცვალა ამბავში მთხრობლის შეცვლით, რა არ შეიცვალა (ტ. 1, 3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- თუ გახსენდებათ ისეთი ზღაპარი, მოთხრობა, ანიმაციური ან საბავშვო მხატვრული ფილმი, რომლის დასრულების შემდეგ გიფიქრიათ, როგორ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო პერსონაჟების ქცევა, ცხოვრება?
- დაგიწერიათ თუ არა რომელიმე მოთხრობის/ზღაპრის გაგრძელება, ან თუ შეგიცვლიათ ძველი ეპიზოდი ახლით ?
- თუ გაქვთ საყვარელი წიგნი? რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად?

ქვესაკითხები: მოხრობის, ,,როგორ შეიძინა ულემ ელვა“ თემა; ახალი სიტყვები.

რესურსები, აქტივობები

რესურსი 1. ტექსტის ილუსტრაცია და სათაური

რესურსი 2. ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობა „როგორ შეიძინა ულემ ელვა“

რესურსი 3. სიტყვის პირამიდა

რესურსი 4. გაწაფული კითხვის შეფასების კრიტერიუმები

რესურსი 5. ვაჟა ხორნაულის ლექსი ,,ხვთისო“

აქტივობა 1. დაკვირვება ტექსტის თვალსაჩინო მინიშნებებზე – სათაურსა და ილუსტრაციებზე; ვარაუდების გამოთქმა მათი გათვალისწინებით.

აქტივობა 2. კითხვა პაუზებით

აქტივობა3. კითხვა-პასუხი

აქტივობა 4. სიტყვის პირამიდის შევსება ახლადნასწავლი სიტყვების (ხარაზი, ხუხულა/ბუდრუგანა, უპირო) გამოყენებით

აქტივობა 5. ვარჯიში გამომსახველობითად წაკითხვაში, კითხვის გაუმჯობესება დამკვირვებლის (კლასელის, მასწავლებლის, უფროსის) დახმარებითა და შეფასების სქემის გამოყენებით

აქტივობა 6. ლექსის წაკითხვა და დამუშავება – დედააზრის გამოტანა: ,,ცხოველების სიყვარული კარგი არის, ხვთისო!“

აქტივობა 7. ხვთისოსა და ულეს შედარება (ორივეს უყვართ ცხოველები,ზრუნავენ მათზე...)

აქტივობა 8. ლექსის წაკითხვა (სამოდელო კითხვა, გუნდური წაკითხვა, როლებში წაკითხვა-სახალისო სცენის გათამაშება)

მსჯელობა: რა განცდა აქვთ ცხოველებს, როდესაც უყვართ ისინი და ზრუნავენ მათზე? ელვას დაავიწყდებოდა როდესმე ულეს მისდამი ერთგულება, ზრუნვა და სიყვარული? მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ გავიდა წლები და ელვას უკვე პატარა ლეკვი ჰყავს.

ნაბიჯი 2. რა მინიშნებებს დაეყრდენი ხედვის კუთხის შეცვლისათვის; რატომ ფიქრობ, რომ ასე მოყვებოდა ელვა თავის ამბავს (ტ. 2) რისი თქმა გინდოდა ამ ამბით? რით უკავშირდება შენი ამბავი ტექსტის მთავარ სათქმელს (ტ. 1)? რა შეიცვალა ამბავში მთხრობლის შეცვლით? – რა არ შეიცვალა (ტ. 1, 3)?

ქვესაკითხები: მოთხრობის „როგორ შეიძინა ულემ ელვა“ დედააზრი, პერსონაჟები; მათი ხედვის კუთხე, **პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია.**

აქტივობა 1. პერსონაჟის მარტივი სქემის შევსება და ელვას დახასიათება (იხაზება მზის ფორმის სქემა – შუაში, წრეში, იწერება პერსონაჟის სახელი, სხივების ბოლოში – პერსონაჟის თვისებები)

აქტივობა 2. „მიზეზი-შედეგი“ (მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული გრაფიკული მაორგანიზებლის შევსება დავიწყოთ მეორე სვეტიდან (შედეგიდან). მიზეზი 1. შედეგი 1.); აქტივობა ხორციელდება კლასში მასწავლებელთან ერთად.

რა იწვევს? რა განაპირობებს? რა ხდება/რა მოხდა?



სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

რა მოხდა თავიდან, როგორ გაიცნეს ულემ და ელვამ ერთმანეთი?
როგორ მდგომარეობაში იყო მაშინ ძაღლი?
როგორი ძაღლი იყო ადრე ელვა? რატომ?
რამ შეცვალა ელვა, როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება? რატომ?
როგორი მეგობარი იქნებოდა ის? როგორ იგრძნობდა ახალ ოჯახში თავს? რატომ ფიქრობ ასე?
შეძლებდა ელვა ულეს და მისი ოჯახის ერთგულებას? რატომ?
თქვენი აზრით, რას უამბობდა ელვა თავის ლეკვს, როგორ გადმოსცემდა ამ ამბავს?
რა თანმიმდევრობით მოჰყვებოდა?
ჯერ რას გაიხსენებდა, მერე – რაზე ისაუბრებდა? ბოლოს რას იტყოდა თავის შესახებ?

აქტივობა 3. იდეების ორგანიზება, მსჯელობა

დავალების წარდგენა

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- როგორები არიან პერსონაჟები? რა მინიშნებებს ეყრდნობი ამის სათქმელად?
- რისი თქმა უნდა ავტორს?
- ეთანხმებით ავტორის სათქმელს? რატომ?
- უნდა გავითვალისწინოთ თუ არა მინიშნებები ელვას ხედვის კუთხის წარმოსაჩენად?
- როგორი მაგალითი მისცა ულემ თანატოლებს თავისი ურთიერთობით, მზრუნველობით?
- შეცვალა თუ არა ძაღლი და მისი ცხოვრება კარგმა მოპყრობამ?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი პერსონაჟის თვალითა არის დანახული?
- რით და როგორ უკავშირდება ელვას ნაამბობი მწერლის მთავარ სათქმელს?
- რაზე დაგაფიქრა, რა გაგახსენა ნაწარმოებმა?
- რა მინიშნებები გამოიყენე პერსონაჟის ხედვის კუთხის შესაცვლელად?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** თხრობა	**საკითხი:** ამბის შეთხზვა ბიჭზე (იშვიათად ხმარებული სიტყვების გამოყენებით), რომელსაც ძაღლები არ უყვარდა **ქვესაკითხი:** თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ლექსიკური მრავალფეროვნება, დროითი მიმართებების, ნიშან-თვისებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევთხზა ამბავი ბიჭისა და ძაღლის დამეგობრების შესახებ? როგორი სიტყვები უნდა გამოვიყენო შთაბეჭდილების მოსახდენად? **კომპლექსური დავალება:** ამბის შეთხზვა ბიჭზე, რომელსაც ცხოველები არ უყვარდა. მოიფიქრე ამბავი ბიჭზე, რომელსაც არ უყვარდა ცხოველები, მაგრამ ერთხელ თავს გადამხდარმა შემთხვევამ დაარწმუნა, რომ ცხოველებს მეგობრობა შეუძლიათ; ამბავი დაასათაურე და გააფორმე ილუსტრაციებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** ***თხრობისას:*** • წარმოაჩინე, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3); • გამოიყენე საინტერესო, მრავალფეროვანი სიტყვები (ს. 1,2); • გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი – რატომ არ უყვარდა ცხოველები, რა მოხდა მის ცხოვრებაში, რამაც შეცვალა მისი დამოკიდებულება ცხოველების მიმართ (ს. 2); • რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს. 1).

2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)
ეტაპი I – მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება.
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. წარმოაჩინე, რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 1, 3); გამოიყენე ვრცელი წინადადებები და იშვიათად ხმარებული სიტყვები, თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (ს. 1, 2, 3); გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი (ს. 2).

ქვესაკითხი: თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ლექსიკური მრავალფეროვნება, დროითი მიმართებების, ნიშან-თვისებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები.

რესურსები/აქტივობები

აქტივობა1. სამსიტყვიანი წინადადებების გავრცობა, პირობითად, ექვსსიტყვიან წინადადებად. მაგ., ამოსავალი წინადადება: **ლეკვი საცოდავად წკმუტუნებდა** (**გავრცობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:** შეშინებული, მშიერი, პატარა ლეკვი საცოდავად წკმუტუნებდა).
როგორ ვაქციოთ სამსიტყვიანი წინადადება ექვსსიტყვიან წინადადებად (**აქტ. 1**)?

- როგორი იყო ლეკვი (შეშინებული, მშიერი, პატარა...)?
- რას აკეთებდა ლეკვი (წკმუტუნებდა)?
- როგორ წკმუტუნებდა (საცოდავად...)?

აქტივობა 2. თემაში „სწავლა-სიახლის ძიება“ შესწავლილი ლექსიკის (ხნიერი, გულთბილი, გულისფანცქალით, მიბარებული, მსუბუქი, მძიმე, მგზავრი, საგზალი, სკივრი) გამოყენებით წინადადებების მოფიქრება

აქტივობა 3. სიტყვების (საშიში, ლამაზი, ძაღლი, გასაჭირი, ხმაური, წკმუტუნი, ყეფა, მოწყენილი, ატირებული, ვეებერთელა, ბედნიერი) გამოყენებით მოიფიქრე ამბავი ბიჭზე, რომელსაც ძაღლები არ უყვარდა და აზრის თანმიმდევრობის გათვალისწინებით შეავსეთ „თხრობის ჩარჩო“.

<u>რესურსი 1</u>. თხრობის ჩარჩო

სახელმძღვანელო ჩარჩო პატარა ამბის მოსაფიქრებლად	
ამბის დასაწყისი	ვინ არის და როგორია შენი პერსონაჟი? სად არის? რას აკეთებს?
შუა ნაწილი: ამბის განვითარება, გაგრძელება	რა მოხდა?

ამბის დასასრული	როგორ დასრულდა ამბავი?

სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები:

- რით და როგორ დააინტერესებ მსმენელს?
- რატომაა მნიშვნელოვანი კონკრეტული დეტალების გამოკვეთა თხრობის დროს?
- როგორ ვითარდება ამბავი? რამდენი ნაწილი აქვს?
- შენ მიერ შეთხზულ ამბავში სად იწყება და სად მთავრდება შუა ნაწილი?
- რით სრულდება შენ მიერ შექმნილი ამბავი?

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. მოსწავლეთა ნამუშევრები
რესურსი 2. მსმენელის დღიური (ზეპირად გამოსაყენებელი მასწავლებლის მიერ)

აქტივობა 1. გონებრივი იერიში; იდეების ორგანიზება გეგმის სახით
აქტივობა 2. პირველადი ვერსიის შექმნა
აქტივობა 3. პირველადი ვერსიის გაუჯობესება თვითშეფასების ან ურთიერთშეფასების კრიტერიუმების გამოყენებით
აქტივობა 4. დავალების წარდგენა, მსჯელობა მსმენელების დღიურებში გაკეთებულ ჩანიშვნებზე დაყრდნობით

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- რა გამიადვილებს წერითი ამოცანის გადაჭრას? (გონებრივი იერიში? იდეების ორგანიზება მაორგანიზებელი სქემით? გეგმის შედგენა?)
- როგორ შევუსაბამო ჩემი ამბავი მოთხრობის ,,როგორ შეიძინა ულემ ელვა“ და ლექსის ,,ხვთისო“ მთავარ სათქმელს? რა უნდა გავითვალისწინო ამისთვის?
- როგორ დავიწყო, გავაგრძელო და დავასრულო ამბავი?
- როგორ გადმოვცე ამბავი ისე, რომ ჩემი თხრობა გასაგები იყოს მკითხველისთვის?
- დავიცავი თუ არა თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა?
- დავიცავი თუ არა აბზაცები?
- სწორად დავსვი თუ არა სასვენი ნიშნები?
- სწორად შევურჩიე თუ არა სათაური მოფიქრებული ამბის შინაარსს?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად ამბის თხრობაა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით.

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რატომ არის საჭირო შეკითხვების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შეკითხვათა პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე როლის შესრულებას?
- შენი თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

თემა #5: ერთმანეთზე ზრუნვა **საათების სავარაუდო რაოდენობა – 28 სთ.**			
თემაში გამოყენებული ტექსტები: იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,კეთილი ბერიკაცი“; იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“; ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობა ,,პატარა კალათა“; მუხრან მაჭავარიანის ლექსი ,,მზექალა და თინა“.			
	საკითხები		
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „კეთილი ბერიკაცი“ სიუჟეტის გაგრძელება	**საკითხი 2.** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“ გარდაქმნა კომიქსად	**საკითხი 3.** სურათის მიხედვით აღწერითი ტექსტის შექმნა
ტექსტი ქვეცნებები: მოთხრობა, დედააზრი, პერსონაჟი, ხედვის კუთხე; ტექსტის ენა.	**ქვესაკითხები:** პერსონაჟ ყმა-წვილის ხედვის კუთხე – მისი ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო, დამოკიდებულებები, ემოციები წლების შემდეგ, მოქმედების დრო და ადგილი; სასვენი ნიშნები.		
ტექსტი ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი-მოთხრობა; მხატვრული ჟანრი-კომიქსი.		**ქვესაკითხები:** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“ თემა, დედააზრი, ეპიზოდები, პერსონაჟები-მათი ქმედებები, ფიქრები, დამოკიდებულებები	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; ქვეცნება: აღწერა; აღწერის მახასიათებლები.			**ქვესაკითხები:** აღწერა, აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება, აღწერის მიმართულება; ადგილმდებარეობისა და ნიშან-თვისებების გამომხატველი სიტყვები.

	კომპლექსური დავალება 1. ნაწარმოების სიუჟეტის გაგრძელება	**კომპლექსური დავალება 2.** ჟანრის შეცვლა – კომიქსი მოთხრობის საფუძველზე	**კომპლექსური დავალება 3**. სურათის დამოუკიდებლად აღწერა

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი 1.
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მოთხრობა, დედააზრი, პერსონაჟი, ხედვის კუთხე.	**საკითხი:** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „კეთილი ბერიკაცი“; სიუჟეტის გაგრძელება. **ქვესაკითხები:** პერსონაჟ ყმაწვილის ხედვის კუთხე – მისი ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო, დამოკიდებულებები, ემოციები წლების შემდეგ, მოქმედების დრო და ადგილი; სასვენი ნიშნები. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ გამოვიყენო ტექსტის მინიშნებები იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,კეთილი ბერიკაცის“ გაგრძელების მოსაფიქრებლად? რა ხერხების/სტრატეგიების გამოყენებით დავწერო მოთხრობის გაგრძელება? **კომპლექსური დავალება : ნაწარმოების სიუჟეტის გაგრძელება** გააგრძელე მოთხრობა ,,კეთილი ბერიკაცი “, წარმოიდგინე და წერილობით გადმოეცი, რა მოხდებოდა წლების შემდეგ; ნამუშევარი გააფორმე შესაბამისი ილუსტრაციით, ფერადი ფანქრების ან ციფრული რესურსის ,,ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** • რით, როგორ უკავშირდება შენი ამბავი მოთხრობას, მის მთავარ სათქმელს (ტ. 1, 3)? • რატომ გადაწყვიტე მოთხრობის ასე გაგრძელება, რა მინიშნებებსა და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენი (ტ. 1,2)? • რაზე დაგაფიქრა ამ ნაწარმოებმა (ტ. 1)? • რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად (გრ.1,)?

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

- თუ გახსენდებათ ისეთი ზღაპარი, მოთხრობა, საბავშვო ფილმი ან ანიმაციური ფილმი, რომლის დასასრულის შემდეგ გიფიქრია, როგორ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო პერსონაჟების ცხოვრება წლების შემდეგ?

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად?

რესურსი 1. ილუსტრაცია და სათაური
აქტივობა 1. დაკვირვება ტექსტის თვალსაჩინო მინიშნებებზე – სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რას გეუბნება ტექსტის სათაური?
- რას ნიშნავს სიტყვა „ბერიკაცი“, „ნერგი“?
- რას გეუბნება ეს ილუსტრაცია?
- რით უკავშირდება სათაური და ილუსტრაცია შენს ცოდნა-გამოცდილებას?
- რა დასკვნების გამოტანა შეგიძლია მათზე დაყრდნობით ტექსტის შესახებ?

რესურსი 2: იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „კეთილი ბერიკაცი“

აქტივობა 2: ტექსტის წაკითხვა

აქტივობა 3: კითხვა-პასუხი

გეზისმიმცემი კითხვები:

- ვინ არიან ნაწარმოების პერსონაჟები?
- რას აკეთებდა ბაღში მოხუცი კაცი?
- რა ჰკითხა ყმაწვილმა ბერიკაცს (ამოიკითხე ტექსტიდან)?
- რა პასუხი გასცა მოხუცმა ყმაწვილს (ამოიკითხე ტექსტიდან)?
- ეთანხმები ბერიკაცის მოსაზრებას? რატომ?
- რაზე დაგაფიქრა ამ ნაწარმოებმა?
- გიზრუნია თუ არა სხვებზე? როგორ?
- შენზე თუ ზრუნავს ვინმე? როგორ?
- რატომ არის ერთმანეთზე ზრუნვა აუცილებელი?
- თუ გინახავს ხის დარგვის პროცესი?
- რატომ უნდა დარგოს ადამიანმა ხე?
- შენ თუ დაგირგავს ხე?

რესურსი 3. **„სიტყვის პირამიდა“**



რესურსი 4. საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების ცხრილი
აქტივობა 4. შეაერთე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

მოძებნე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები		
დიდი		**დაბალი**
ბერიკაცი		**პატარა**
უფროსი		**ყმაწვილი**
მაღალი		**უმცროსი**
დავალება: მოიფიქრე და რვეულში ჩაწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები		

აქტივობა 5. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა კონტექსტზე დაყრდნობით; ახალი სიტყვებით/შესიტყვებებით წინადადებების მოფიქრება.

აქტივობა 6. სიტყვის პირამიდის შევსება ახლადნასწავლი სიტყვის გამოყენებით.

აქტივობა 7. საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების ამოცნობა.

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ გესმით სიტყვა „ნერგი“? როგორ ახსნით ამ სიტყვის მნიშვნელობას თქვენი სიტყვებით?
- ვინ არის „ბერიკაცი“ ? სხვანაირად როგორ იტყოდით ამ სიტყვას?
- რა არის ამ სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა? ორივე სიტყვის გამოყენებით შეადგინეთ წინადადება.
- როგორ შევავსოთ სიტყვის პირამიდა?

რესურსი 4:

გაწაფული კითხვის შეფასების კრიტერიუმები
1. სიტყვებს ვკითხულობთ უშეცდომოდ
2. ვკითხულობთ გაბმულად, შეუფერხებლად
3. ვკითხულობთ სათანადო სიჩქარით
4. ვკითხულობთ სათანადო ინტონაციით

აქტივობა 8. ვარჯიში გაწაფულად წაკითხვაში, კითხვა წყვილებში, ჯგუფებში, ქოროში, ერთობლივი კითხვა, კითხვა აბზაცებით, გაგრძელებით და ა. შ.

აქტივობა 9. კითხვის გაუმჯობესება დამკვირვებლის (კლასელის, მასწავლებლის, უფროსის) დახმარებითა და შეფასების სქემის გამოყენებით (რესურსი 4).

გეზისმიმცემი კითხვები:

- რაში გვეხმარება გაწაფული კითხვის შეფასების კრიტერიუმები?
- რატომ არის საჭირო, რომ წავიკითხოთ სწორად, უშეცდომოდ?
- რაში ეხმარება ჩვენ მიერ სათანადო სიჩქარით წაკითხული ტექსტი ჩვენს თანაკლასელებს?
- როგორ დავიცვათ პაუზები, როგორ შევარჩიოთ ინტონაცია, რომ მსმენელმა შინაარსი უკეთ აღიქვას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სასვენი ნიშნების წინასწარ დანახვა?
- როგორ გეხმარებათ სასვენი ნიშნები პაუზების დაცვაში, ინტონაციის შერჩევაში?

ნაბიჯი 2: წარმოაჩინე სხვადასხვა დეტალი (როგორი ნახა ყმაწვილმა მსხლის ხე წლების შემდეგ? ვისთან ერთად მოინახულა მსხლის ხე ყმაწვილმა? როგორ მოიგონა ხის დარგვის ამბავი, ახსოვდა თუ არა ბერიკაცის სიტყვები და სხვა (ტ. 1, 2)? რით, როგორ უკავშირდება შენი ამბავი მოთხრობას (ტ. 1, 2, 3)?); სხვადასხვა შინაარსის წინადადებებისა და შესაბამისი სასვენი ნიშნების ცოდნა – რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები (გრ.1)?

რესურსი/აქტივობა:

რესურსი 1: საყრდენი ჩარჩო თხრობითი ტექსტების გასაგრძელებლად

მოთხრობა „ კეთილი ბერიკაცი“		
მოთხრობაში გადმოცემული ამბავი		**მოთხრობის გაგრძელება – რა მოხდება 15 წლის შემდეგ?**
როდის მოხდა მოქმედება?	**მოქმედების დრო**	როდის ხდება მოქმედება?
სად მოხდა მოქმედება?	**მოქმედების ადგილი**	სად ხდება მოქმედება ?
როგორია მსხლის ხე?	**როგორი?**	როგორია წლების შემდეგ მსხლის ხე?
ვინ არიან ნაწარმოების პერსონაჟები? როგორია ბერიკაცი?	**პერსონაჟები**	ვინ არიან ამბის გაგრძელებაში გადმოცემული ამბის პერსონაჟები?
რას აკეთებს ბერიკაცი? რას ამბობს ის?	**მოქმედება**	• რას აკეთებენ ამბის პერსონაჟები? • რას ამბობენ? • გაიხსენებდა თუ არა რომელიმე პერსონაჟი ბერიკაცის სიტყვებს? • რატომ?
რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი – რისი თქმა უნდა ავტორს?	**მთავარი სათქმელი**	რა არის მოთხრობის შენეული გაგრძელების მთავარი სათქმელი? რისი თქმა გინდოდა შენ?

აქტივობა 1. ჩარჩოს მარცხენა სვეტზე დაყრდნობით **მოთხრობის** მთავარი აზრის ამოცნობა, ბერიკაცის სიტყვების მიხედვით, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ტექსტთან მიბრუნება მინიშნებებზე დასაკვირვებლად

აქტივობა 2. ჩარჩოს მარჯვენა სვეტზე დაყრდნობით იდეების გენერირება, ჩარჩოს შევსება (რესურსი 1)

გეზისმიმცემი კითხვები:

- თქვენი აზრით, როგორი ადამიანია პერსონაჟი – ბერიკაცი? რატომ ფიქრობთ ასე – რა მინიშნებებს ეყრდნობით (აქტ.1)?
- როგორი წარმოიდგინეთ ყმაწვილი შემდეგ? რატომ? დააფიქრებდა თუ არა ყმაწვილს ბერიკაცის სიტყვები?
- ეთანხმებით ბერიკაცის მოსაზრებას? რატომ?
- რისი თქმა უნდა ავტორს?
- ეთანხმებით ავტორის სიტყვებს? რატომ?
- უნდა გავითვალისწინოთ თუ არა ნაწარმოების გაგრძელებისას მწერლის მთავარი სათქმელი? როგორ?
- როგორი იქნებოდა წლების შემდეგ მსხლის ხე (აქტ. 2)?
- ვინ არიან გაგრძელებაში გადმოცემული ამბის პერსონაჟები?
- ვინ მივიდოდა მსხლის ხესთან?
- ვინ შეიძლება იყოს ახალი პერსონაჟი?
- ვინ და რას მოიგონებდა წარსულიდან?

- როგორ ფიქრობთ, გაიხსენებდა თუ არა რომელიმე პერსონაჟი ბერიკაცის სიტყვებს? რატომ?
- რა შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო?

წერის სტრატეგიები

წერის დაწყებამდე

- იდეების გენერირება – როგორ დავიწყებ მოთხრობის გაგრძელებას, შემოვიყვან თუ არა ახალ პერსონაჟებს და ა.შ.

წერის დროს

- პირველადი ვარიანტის დაწერა

წერის შემდეგ

- ნაწერის გადაკითხვა მკითხველის თვალით
- საჭირო ცვლილებების შეტანა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:
  - დავიწყე აბზაცით? კიდევ თუ მჭირდება სადმე აბზაცი?
  - წინადადებები გამართულია?
  - წინადადებები შინაარსობრივად ებმის ერთმანეთს?
  - ყველა საჭირო სასვენი ნიშანი დასმულია?

შესწორებების საფუძველზე საბოლოო ვარიანტის შედგენა

აქტივობა 1. მოთხრობის გაგრძელების პირველადი ვარიანტის დაწერა შევსებულ ჩარჩოზე დაყრდნობით (დამოუკიდებელი სამუშაო)

აქტივობა 2 . პირველი ვარიანტის გაუმჯობესება, გადაწერა, გაფორმება

ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- ჩამოთვლილთაგან წერის რომელ ხერხს/ სტრატეგიას გამოიყენებ ნამუშევრის შესაქმნელად/გასაუმჯობესებლად?
  1. ჩარჩოზე დაყრდნობით პირველადი ვარიანტის შემუშავება;
  2. კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათზე დაყრდნობით ნამუშევრის გაუმჯობესება;
  3. მკითხველის თვალით წაკითხვა.
- როგორ გამოიყენებ წერის შეფასების კრიტერიუმებს ნაწერის გასაუმჯობესებლად?
- დასვი თუ არა სასვენი ნიშნები წინადადებების ბოლოს?

კომპლექსური დავალების შესრულებისას და პრეზენტაციის პროცესში დასმული შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ გადაწყვიტე მოთხრობის ასე გაგრძელება, რა ინფორმაციას, რა მინიშნებებსა და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენი?
- რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად?
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი მოთხრობის გაგრძელებაა?
- როგორები არიან პერსონაჟები, როგორი ურთიერთობა აქვთ? რა მიგვანიშნებს ამაზე?
- რით უკავშირდება შენ მიერ გაგრძელებული ამბავი მოთხრობას, მის სათქმელს, დედააზრს?
- რა არის მწერლის მთავარი სათქმელი? რით და როგორ უკავშირდება მოთხრობის შენეული გაგრძელება მწერლის მთავარ სათქმელს?
- რაზე დაგაფიქრა, რა გაგახსენა ნაწარმოებმა?
- წერის რა სტრატეგიები გამოიყენე დავალების შესრულებისას?
- რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად?
- სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე;

- როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში; ○ რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ○ რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ? ○ თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? ○ ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს? ○ იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ○ გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება? ○ შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? ○ რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სამიზნე ცნება: ტექსტი (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნება:** მხატვრული ჟანრი-მოთხრობა; თემა, დედააზრი, პერსონაჟები. მხატვრული ჟანრი – კომიქსი კომიქსის მახასიათებლები;	**საკითხი:** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“ გარდაქმნა კომიქსად **ქვესაკითხები:** იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“ თემა, იდეა (შეგონება), ეპიზოდები, პერსონაჟების ხედვის კუთხე, დიალოგი. კომიქსის ჟანრული მახასიათებლები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორი სტრატეგიების/ხერხების გამოყენებით გარდავქმნა მოთხრობა კომიქსად? რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ ამოვიცნო და გამოვხატო პერსონაჟების ხედვის კუთხე? **კომპლექსური დავალება:** ჟანრის შეცვლა – კომიქსი მოთხრობის საფუძველზე გაიხსენე იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ჭიანჭველა და ფუტკარი“. წარმოიდგინე, რომ პერსონაჟების დიალოგი მოისმინა დათვმა. სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის („ვსწავლობთ თამაშით“) გამოყენებით დახატე <u>კომიქსი.</u> <u>ნამუშევარში</u> ➢ დიალოგურ ღრუბელში ჩაწერე ფუტკრისა და ჭიანჭველას ნათქვამი; ➢ დათვს დაურთე ნაფიქრის გამომხატველი ღრუბელი, რომელშიც ასახავ მის ფიქრებს ფუტკარსა და ჭიანჭველასთან დაკავშირებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** ▪ რა მახასიათებლები აქვს კომიქსს, რით ჰგავს და რით განსხავდება მოთხრობისგან (ტ.3)? ▪ რატომ გგონია, რომ დათვი ასე იფიქრებდა (ტ.2)? ▪ რა გაგახსენა ამ ამბავმა (მუტფილმიდან, წიგნიდან, პირადი გამოცდილებიდან (ტ. 1)? ▪ რისი თქმა უნდოდა ავტორს (ტ.1)?

სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება.

რა იცით ფუტკრისა და ჭიანჭველას შესახებ? რა საერთო სახელი აქვთ მათ?
რა იცით კომიქსის შესახებ? სად გინახავთ?
თუ შეგიქმნიათ აქამდე კომიქსი? როდის? რა თემაზე?

აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

<u>ეტაპი 2.</u> კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

<u>ნაბიჯი 1.</u> რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რისი თქმა უნდოდა ავტორს (ტ.1)?

რესურსები, აქტივობები:
რესურსი 1. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,ჭიანჭველა და ფუტკარი“
რესურსი 2. ვარაუდების სქემა კითხვის სტრატეგიებზე სამუშაოდ

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 2. კითხვის სტრატეგიების გაცნობიერება და გამოყენება
აქტივობა 3. ისეთი შეკითხვის მოფიქრება, რომლის პასუხიც პირდაპირ არის ტექსტში მოცემული
აქტივობა 4. აბზაცების ფუნქციის ამოცნობა
აქტივობა 5. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად, გაგრძელებებით კითხვა
აქტივობა 6. შერჩეული პასაჟის გამომსახველობითად წაკითხვა

ნაბიჯი 2. რა მახასიათებლები აქვს კომიქსს, რით ჰგავს და რით განსხვავდება მოთხრობისგან (ტ.3)? რა მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟების ფიქრების ამოსაცნობად (ტ.2)? რომელი ეპიზოდი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ (ტ.1)?
ქვესაკითხები: კომიქსის მახასიათებლები; მოთხრობის პერსონაჟის ხედვის კუთხე; მოთხრობის ეპიზოდები.
<u>რესურსი 1</u>. პერსონაჟის რუკა
რესურსი 2. კომიქსის ნიმუშები
რესურსი 3. სქემა ,,მსმენელის დღიური“

აქტივობა 1. პერსონაჟის რუკის შევსება
აქტივობა 2. გონებრივი იერიში დედააზრის ამოსაცნობად
აქტივობა 3. კომიქსის არსებით მახასიათებლებზე მუშაობა
აქტივობა 4. თხრობის რუკის შევსება; მოვლენების თანმიმდევრობით გადმოცემა
აქტივობა 5. ეპიზოდების დასათაურება
აქტივობა 6. იდეების გენერირება

სად, როგორ გარემოში დახატავ პერსონაჟებს?
სად ჩაწერ პერსონაჟების დიალოგს, მათ ფიქრებს?
სად ჩაწერ ავტორის სიტყვებს?
როგორ დახატავდი დათვს?
შენი აზრით, რას იფიქრებდა დათვი, ფუტკრისა და ჭიანჭველის დიალოგის მოსმენისას? ჩაერეოდა მათ საუბარში?
კიდევ ხომ არ დაუმატებდი სხვა პერსონაჟს?

აქტივობა 7. მეტაკოგნიტური პაუზა
აქტივობა 8. კომიქსის გეგმის შედგენა
აქტივობა 9. ილუსტრაციების სათანადოდ მომზადება
აქტივობა 10. კომიქსის პირველადი ვერსიის მომზადება
აქტივობა 11. თვითშეფასების ან ურთიერთშეფასების საშუალებით ნამუშევრის გაუმჯობესება
აქტივობა 12. საბოლოო ვერსიის შექმნა და წარდგენა; მსმენელის დღიურის გამოყენება

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- რისი თქმა უნდა ავტორს ამ მოთხრობით?
- რა უპასუხა ფუტკარმა გაოცებულ ჭიანჭველას? როგორ შეიძლება გავიგოთ მისი სიტყვები? ეთანხმებით თუ არა მის მოსაზრებას?
- რამდენად უკავშირდება ფუტკრის სიტყვები მოთხრობის დედააზრს? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა საერთო მახასიათებლები აქვს კომიქსებს, ანუ რით ჰგავს ერთმანეთს ყველა კომიქსი? აქვთ თუ არა წარწერები, ილუსტრაციები?
- წარმოაჩენს თუ არა „დიალოგურ ღრუბლებში“ ჩაწერილი წინადადებები პერსონაჟების სათქმელს, ფიქრებს, განცდებს, ემოციებს?
- თვალსაჩინოა თუ არა პერსონაჟების ხედვის კუთხე?
- რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ?
- როგორი უნდა იყოს კარგი კომიქსი? რამდენ ეპიზოდს გამოყოფ ტექსტიდან?
- რომელ ეპიზოდებს გამოსახავ ილუსტრაციებზე?
- როგორ, რა თანამიმდევრობით განაწილდება მოთხრობის ეპიზოდები შენს კომიქსში?

კომპლექსური დავალების შესრულებისას და პრეზენტაციის პროცესში დასმული შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ გამოსახე პერსონაჟები ამგვარად?
- როგორები არიან ისინი? რა მიგვანიშნებს ამაზე?
- სად ჩასვი პერსონაჟების სიტყვები? ავტორის სიტყვები?
- რა ინფორმაციას, რა მინიშნებებსა და ცოდნა-გამოცდილებას დაეყრდენი?
- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი კომიქსია?
- რით უკავშირდება შენ მიერ შექმნილი კომიქსი მოთხრობას, მის სათქმელს, დედააზრს?
- რა არის მწერლის მთავარი სათქმელი?
- რაზე დაგაფიქრა, რა გაგახსენა ნაწარმოებმა?

- სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით?
- რით გაუმჯობესე კომიქსის პირველადი ვერსია?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 3.**
სამიზნე ცნება **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები : აღწერა; აღწერის მახასიათებლები**	**საკითხი**: აღწერითი ტექსტის შექმნა ნახატზე დაყრდნობით **ქვესაკითხი:** აღწერა, აღწერითი ტექსტის სტრუქტურა/აგებულება, აღწერის მიმართულება; ადგილმდებარეობის და ნიშან-თვისებების გამომხატველი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევადგინო სურათის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს იგი? რამდენად ეფექტურია ჩემ მიერ შერჩეული აღწერის მიმართულება? **კომპლექსური დავალება:** **სურათის დამოუკიდებლად აღწერა** მოემზადე სურათის აღსაწერად: შეადგინე გეგმა და მის საფუძველზე აღწერე სურათი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** **აღწერისას წარმოაჩინე:** • წელიწადის დრო (წელიწადის რომელი დროა, რა მიანიშნებს ამაზე (ს. 2)?

მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	• აღწერის მიმართულება (მაგ., „ახლოდან შორს“ /წინა პლანი - უკანა პლანი (ს. 3)? • რა ან ვინ არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი (ს. 1, 2)? • ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები.

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- გაიხსენეთ, რისი აღწერა გიწევთ თანატოლთან, მშობელთან.
- რამდენად მოგიხერხებიათ რაიმე საგნის ან გარემოს აღწერა?
- როგორ აღვწეროთ, მაგ., ჩვენი საკლასო ოთახი?
- ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვების გამოყენება დაგვჭირდება აღწერისას?
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
- რისი შესწავლა დაგვჭირდება?

ეტაპი 2. დავალების განხორციელება

ნაბიჯი 1. წელიწადის დრო (წელიწადის რომელი დროა, რა მიანიშნებს ამაზე?); აღწერის მიმართულება, მაგ., „ახლოდან შორს“/წინა პლანი – უკანა პლანი (ს. 3); რა ან ვინ არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილში, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი (ს. 1, 2, 3)? ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა (მაგ., მარჯვნივ, მარცხნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ (ს. 1).

რესურსი 1: აღსაწერი სურათი



რესურსი 2. აღწერის გეგმა

1. ვინ ჩანს სურათზე?
2. სად ხდება მოქმედება ?
3. რა დროა? როგორი ამინდია?
4. რას აკეთებს მარცხენა მხარეს გამოსახული გოგონა?
5. რას აკეთებს სურათის მარჯვენა მხარეს გამოსახული გოგონა?
6. რას აკეთებს გოგონების უკან გამოსახული ბიჭი?
7. რა ჩანს სურათის წინა პლანზე?
8. რა ჩანს სურათის უკანა პლანზე?

რესურსი 3. აღწერის მოკლე და განვრცობილი ვერსია

გეგმის მიხედვით დაწერილი მოკლე ვარიანტი	**გავრცობილი ვარიანტი**
სურათზე ჩანან ბავშვები. ბავშვები ბაღში არიან. გაზაფხულია. კარგი ამინდია. მარცხენა მხარეს გამოსახული გოგონა მიწას აფხვიერებს, მარჯვენა მხარეს – გოგონა ყვავილის ნერგებს რგავს. გოგონების უკან ბიჭი თოხნის. სურათის წინა პლანზე ჩანს ყვავილები. უკანა პლანზე ჩანს ხეები და სახლი, სახლის უკან კი – ცა და მაღალი ხეები.	სურათზე ჩანან საქმიანი და მოღიმარი ბავშვები. ისინი პატარა, ლამაზ ბაღში არიან. გაზაფხულია. კარგი ამინდია. მარცხენა მხარეს ვარდისფერქუდიანი და ლურჯშარვლიანი გოგონა მიწას თოხით აფხვიერებს. მარჯვენა მხარეს ჩაცუცქული ქერათმიანი გოგონა ყვავილის ნერგებს ფრთხილად რგავს. მის გვერდით ყვითელი, წყლიანი ვედროა. გოგონების უკან პატარა ლურჯკეპიანი ბიჭი მონდომებით თოხნის მიწას. სურათის წინა პლანზე ჩანს თეთრი, ყვითელგულიანი და სტაფილოსფერი ყვავილები. უკანა პლანზე თეთრად აყვავებული ხეებია. ხეებს შორის დგას ხის ლამაზი სახლი. სახლის უკან ვხედავთ ლურჯ ცას და მაღალ, ამწვანებულ ხეებს.

აქტივობა 1. სურათებზე მინიშნებების პოვნა (რესურსი1)

აქტივობა 2. გეგმის რვა პუნქტის მიხედვით რვა წინადადების შედგენა სურათზე დაყრდნობით (მოსწავლეების ნაკარნახებ წინადადებებს მასწავლებელი დაფაზე წერს (რესურსი 2).

აქტივობა 3. გეგმის მიხედვით დაწერილი მოკლე ვარიანტისა და განვრცობილი ვარიანტის შედარება; დამატებული სიტყვების ხაზგასმა და ხაზგასმული სიტყვებისთვის კითხვების დასმა (რესურსი 3)

გეზისმიმცემი კითხვები:

- რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ გაზაფხულია?
- რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ კარგი ამინდია?
- რა მიგვანიშნებს, რომ ლურჯშარვლიანი გოგონა მიწას აფხვიერებს?
- რა მიგვანიშნებს, რომ ბავშვები საქმიანები არიან?
- რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ გოგონები კმაყოფილი არიან?
- რით განსხვავდება მოკლე ვარიანტის და განვრცობილი ვარიანტის წინადადებები ერთმანეთისაგან?
- რომელი სიტყვებია დამატებული? რა დამატებით ინფორმაციას გვაძლევს ეს სიტყვები (როგორი არიან ბავშვები, რომლებსაც სურათზე ვხედავთ)?

მსგავსად შეიძლება, დამუშავდეს სხვა წინადადებებიც.

კომპლექსურ დავალებაზე დამოუკიდებლად მუშაობა

რესურსი 1. აღსაწერი სურათი

რესურსი 2. ***სურათის აღწერის გეგმა***

1. ვინ ჩანან სურათზე?
2. სად არიან სურათზე გამოსახული ადამიანები?
3. წელიწადის რომელი დროა? როგორ მიხვდი?
4. რომელი ფრინველი დაფრინავს შორიახლოს?
5. რას აკეთებენ სურათის შუაგულში გამოსახული ბავშვები?
6. ვინ დგას მათთან ახლოს? რატომ ?
7. რა უჭირავს ბაბუას ხელში?
8. როგორ გამოიყურება ბაბუა?
9. ვის ხედავთ სურათის წინა პლანზე, ვის – მარცხენა მხარეს?
10. რას აკეთებენ გოგონა და ბიჭი?
11. ვინ დგას ბაბუის გვერდით, სურათის მარცხენა მხარეს?
12. რას აკეთებს სურათის მარჯვენა მხარეს გამოსახული ბიჭი?
13. რა ჩანს სურათის უკანა პლანზე? სურათის ზედა მხარეს?

აქტივობა 1: შექმნილი აღწერითი წინადადებების გავრცობა

საწყისი წინადადება მაგალითისათვის: *გოგონა და ბიჭი ნერგს რგავენ.*

სად რგავენ ნერგს გოგონა და ბიჭი? – ეზოში/ხეხილის ბაღში/მინდორში.
რის ნერგს რგავენ? – ვაშლის/ მსხლის/ატმის და ა.შ .
ვინ ეხმარება ბავშვებს ნერგის დარგვაში? – ბაბუა.
როგორ გამოიყურება ბაბუა? რა აცვია? რა ახურავს?
როგორია გოგონა, რომელიც ნერგს რგავს? – კიკინებიანი/ცისფერკაბიანი.
როგორია ბიჭი? – წაბლისფერთმიანი/წითელპულოვერიანი/მწვანეშარვლიანი.
რა უჭირავს ხელში ბიჭს?
როგორ გამოიყურებიან ბავშვები? – ბედნიერად/მხიარულად/ღიმილიანი /მოღიმარი სახით.

ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი:

მოღიმარი სახის კიკინებიანი *გოგონა და წაბლისფერთმიანი ბიჭი ხეხილის ბაღში მსხლის ნერგს რგავენ.*

აქტივობა 2. აღსაწერ სურათზე მინიშნებების პოვნა

აქტივობა 3. სურათის მოკლედ აღწერა წერილობით, გეგმის შეკითხვებზე დაყრდნობით **(რესურსი 2)**

აქტივობა 4. მოკლე აღწერის დეტალებით გამდიდრება; სურათის უფრო გავრცობილი აღწერა

გეზისმიმცემი კითხვები:

- წელიწადის რომელი დროა სურათზე გამოსახული? რა მიგვანიშნებს ამაზე (აქტ. 3)?
- რა მიგვნიშნებს იმაზე, რომ ბავშვები კმაყოფილები არიან?
- რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ მარჯვნივ მდგომი ბიჭი ხის მორწყვას აპირებს?
- ზრუნვის რა მაგალითებია ამ სურათზე გამოსახული?
- რა დეტალებზე გაამახვილე ყურადღება? რით გაამდიდრე მოკლე აღწერა ?
- რა ენობრივი საშუალებები გამოიყენე აღწერის დროს – ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე (მაგ., მარჯვნივ, მარცხნივ, შუაგულში, გვერდით, უკან, ზემოთ)?
- რაზე დაგაფიქრათ ამ სურათმა?
- ხომ არ გაგიჩნდათ სურვილი, თქვენც გააკეთოთ იგივე?
- როგორ ფიქრობთ, ვინ შექმნა ეს სურათი? რისი თქმა უნდოდა სურათის ავტორს?

კომპლექსური დავალების შესრულებისას და პრეზენტაციის პროცესში დასმული შეკითხვების ბანკი მოსწავლეთა რეფლექსიის უნარის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი აღწერაა?
- რომელი სიტყვები გამოიყენე ადგილმდებარეობისა და საგანთა ნიშან-თვისებების აღსანიშნავად?
- სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი? რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები

ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობა „პატარა კალათა“

რესურსები, აქტივობები

რესურსი 1. ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობა **„პატარა კალათა“**

რესურსი 2. სქემა „სიტყვების გამომძიებელი“

რესურსი 3. ვარაუდების ცხრილი

აქტივობა 1. თემასთან დაკავშირებული **წინარე ცოდნის გააქტიურება**

- შენი აზრით, რა არის ზრუნვა? საჭიროა თუ არა ერთმანეთზე ზრუნვა? რატომ?
- გქონია თუ არა შემთხვევა, როცა შენზე იზრუნეს, დაგეხმარნენ, ან როცა შენ იზრუნე სხვაზე?
- როგორ გრძნობ თავს, როცა შეგიძლია მზრუნველობა გამოიჩინო გარშემო მყოფებზე?

აქტივობა 2. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 3. ტექსტის წაკითხვა პაუზებით. ვარაუდების ცხრილის შევსება

აქტივობა 4. ახალი ლექსიკური ერთეულების (სიტყვების: ორღობე, კნაჭა, წნელი, კოპწია, შეუპოვარი... და კომპოზიტების: პირდაფჩენილი, სირცხვილნაჭამი...) მნიშვნელობის განსაზღვრა წაკითხულის გააზრება

აქტივობა 5. ახალი ლექსიკური ერთეულების განმტკიცების მიზნით, წინადადებების შედგენა

აქტივობა 6. ხედვის კუთხის ამოცნობა კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე

აქტივობა 7. ამბის გადმოცემა კიკნა ბიჭის ხედვის კუთხით

ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად დასმული კითხვები:

- რა შეგიძლიათ ივარაუდოთ ტექსტის შინაარსის შესახებ სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით?
- როგორ გესმით ტექსტში მოცემული უცნობი სიტყვების მნიშვნელობა?
- დავაკვირდეთ, არის თუ არა ეს სიტყვები ტექსტში გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, როგორც ჩვენ განვმარტეთ?
- თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ მოთხრობით ?
- რას იფიქრებდა განხილული შემთხვევის თითოეული მონაწილე?
- ექნებათ თუ არა ნაწარმოების ამა თუ იმ პერსონაჟებს განსხვავებული ხედვის კუთხე?
- როგორი თვისებები აქვს კიკნა ბიჭს?
- გასათვალისწინებელია თუ არა ნაწარმოებში პერსონაჟების ხედვის კუთხე?

- რა გასწავლათ ამ მოთხრობამ – როგორ გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული, თანადგომა და ზრუნვა მეგობრების მიმართ.

მუხრან მაჭავარიანის ლექსი „მზექალა და თინა“

რესურსი 1. მუხრან მაჭავარიანის ლექსი „მზექალა და თინა“
რესურსი 2. სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა
რესურსი 3. პერსონაჟის რუკა
რესურსი 4. თხრობის რუკა

აქტივობა 1. ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდის გამოთქმა
აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა
აქტივობა 3. სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემის შევსება;
სიტყვების: **ბარდნა** (ბარდნიდა), **ქარბუქი, შარაგზა... დამუშავება**

სიტყვა	**სურათი/ილუსტრაცია**
განმარტება	**მაგალითი/ასოციაცია**

აქტივობა 4. ვარჯიში გაწაფულად წაკითხვაში, კითხვა წყვილებში, ჯგუფებში, ქოროში, ერთობლივი კითხვა, კითხვა აბზაცებით, გაგრძელებით და ა. შ.

აქტივობა 5. კითხვის გაუმჯობესება დამკვირვებლის (კლასელის, მასწავლებლის, უფროსის) დახმარებით და შეფასების სქემის გამოყენებით
აქტივობა 6. დავალება: ახალი სიტყვების გამოყენებით წერილობით შეადგინე თითო წინადადება
აქტივობა 7. ლექსში მოცემულ მინიშნებებზე დაყრდნობით პერსონაჟის რუკის შევსება

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რას გვეუბნება ტექსტის სათაური? რაზე იქნება ლექსი?
- სად, როდის ხდება მოქმედება?
- წელიწადის რომელ დროზეა საუბარი ლექსში?
- როგორი ამინდია?
- ვის ვეცნობით ლექსში? რას ვიგებთ პერსონაჟის შესახებ?
- საიდან მოდის თინა? როგორი ჩაცმულია გოგონა?
- სად შეიარა სახლში მისვლამდე თინამ?
- რატომ მივიდა გოგონა მეგობართან?
- რა რჩევა მისცა თინამ მზექალას?
- როგორი გოგონა ყოფილა თინა?
- რითია მოსაწონი მისი საქციელი?

აღიდგინე ლექსში აღწერილი ამბავი

- როდის და სად ხდება მოქმედება?
- ხომ არ გსურს აღწერო ამინდი, ზამთრის სოფელი, გზა სკოლიდან სახლამდე.
- ვინ არიან მოთხრობის პერსონაჟები?
- რა ურთიერთობა აქვთ მეგობრებს?
- როგორები არიან ისინი? შეუძლიათ მეგობრობა, ზრუნვა?
- რით დაიწყებ მოთხრობას?
- რით გააგრძელებ, როგორ დაასრულებ მოთხრობას?

დააკვირდი თხრობის რუკას და გამოიყენე მოთხრობის შესადგენად:

მთავარი პერსონაჟები: **სხვა პერსონაჟები:**		**მოქმედების დრო და ადგილი:**
რა მოხდა დასაწყისში?	**შემდეგ რა მოხდა?**	**რით დასრულდა ამბავი?**
„ერთხელ...	„ამის შემდეგ...	„ბოლოს...

თემის შემაჯამებელი კითხვები:

გაიხსენეთ ნაწარმოებები: იაკობ გოგებაშვილის ,,კეთილი ბერიკაცი“ და „ჭიანჭველა და ფუტკარი“

ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობა ,,პატარა კალათა“, მუხრან მაჭავარიანის ლექსი ,,მზექალა და თინა“ და დაფიქრდით, რისი თქმა უნდოდათ მათ ავტორებს.

დაასახელეთ თითოეული ტექსტის დედააზრი. რა საერთო აღმოაჩინეთ ამ ნაწამოებებს შორის?

თემა 6. საახალწლო **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**
თემაში გამოყენებული ტექსტები:

პაატა მამფორიას მოთხრობა ,,საახალწლო ლექსიკონი“; გივი ჭიჭინაძის ლექსი ,,დეკემბერი“; გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ,,მრავალ ახალ წელს“.		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** პაატა მამფორიას მოთხრობის ,,საახალწლო ლექსიკონი“ იდეის გამომხატველი საახალწლო ნაძვის ხის ბარათების შექმნა	**საკითხი 2.** ამბის შექმნა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით
ტექსტი (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მოთხრობა	**ქვესაკითხები**: პაატა მამფორიას მოთხრობის ,,საახალწლო ლექსიკონი“ თემა და იდეა; ტექსტის გაგების სტრატეგიები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნებები**: თხრობა სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება ენობრივი საშუალება გრამატიკა (პრაქტიკული) **ქვეცნება:** მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები		**ქვესაკითხები:** საახალწლო თემაზე შეთხზული ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ლექსიკური მრავალფეროვნება.
	კომპლექსური დავალება 1. საახალწლო ლექსიკონის შექმნა	**კომპლექსური დავალება 2**. საახალწლო ამბის შექმნა

რძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მოთხრობა** **თემა, დედააზრი;** **გაგების სტრატეგია.**	**საკითხი:** პაატა მამფორიას მოთხრობის ,,საახალწლო ლექსიკონი“ იდეის გამომხატველი საახალწლო ნაძვის ხის ბარათების შექმნა **ქვესაკითხი**: პაატა მამფორიას მოთხრობის ,,საახალწლო ლექსიკონი“ თემა და იდეა; ტექსტის გაგების სტრატეგიები, **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ შევქმნა ლექსიკონი პაატა მამფორიას მოთხრობის „საახალწლო ლექსიკონის“ დედააზრის გათვალისწინებით? რამდენად შეესაბამება ჩემს ბარათებზე წარმოდგენილი მაგალითები მოთხრობის დედააზრს? **კომპლექსური დავალება**: საახალწლო ლექსიკონის შექმნა

	პაატა მამფორიას მოთხრობაში ნაძვის ხის ბარათების სიტყვებს დაამატე ახალ წელთან, საახალწლო სურვილებთან, ნუგბართან დაკავშირებული სხვა სიტყვები. შენ მიერ მოფიქრებული სიტყვები დაწერე ნახატებით გაფორმებულ, ფერად ფურცლებზე, მიუწერე განმარტებები და შექმენი საახალწლო ლექსიკონი. ლამაზ ბარათებზე დაწერილი სიტყვებით მორთე კლასის ნაძვის ხე.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ნაშრომში წარმოაჩინეთ: • შენ მიერ შერჩეული სიტყვების განმარტება (ტ. 3); • რატომ აირჩიე ეს სიტყვები (ტ. 1.3); • ტექსტიდან „საახალწლო ლექსიკონი“ რომელი სიტყვები მოგეწონა ყველაზე მეტად, რატომ, რას გახსენებს (ტ. 1.3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

ეტაპი II –კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი1. რა მინიშნებები გამოიყენე სიტყვის ბარათების შესაქმნელად (ტ. 2)? ხალი ანდა საინტერესო სიტყვები, რომლებიც უკავშირდება თქვენს გამოცდილებას(ტ. 1, 3)? რით უკავშირდება საახალწლო ლექსიკონის სიტყვები მოთხრობის დედააზრს (ტ. 1, 3)?

ქვესაკითხები: მოთხრობის თემა და იდეა; ტექსტის გაგების სტრატეგიები

რესურსი 1. ტექსტი: პაატა მამფორიას ,,საახალწლო ლექსიკონი“
რესურსი 2. ცნების რუკის სქემა
რესურსი 3. გალაკტიონ ტაბიძის ,,მრავალ ახალ წელს“
რესურსი 4. გ. ჭიჭინაძის ,,დეკემბერი“
რესურსი 5. სიტყვის პირამიდა
რესურსი 6. სიტყვები ნაძვის ხისთვის

აქტივობა 1. (თემაში დასამუშავებელი სამივე ტექსტის) ახალი ლექსიკურ ერთეულების (ციმციმელა, მრავალჟამიერი, მიწას ძლივს აჩნევია) მნიშვნელობის დადგენა
აქტივობა 2. სიტყვის პირამიდის აგება შემდეგ სიტყვებზე: „მიიწურა“, „შეფრთხიალდა“.
აქტივობა 3. ახალი სიტყვებით /შესიტყვებებით წინადადების ან ორ-სამწინადადებიანი ამბის მოფიქრება
აქტივობა 4. მოთხრობის სამოდელო კითხვა
აქტივობა 5. ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდურად, როლებში კითხვა
აქტივობა 6. შერჩეული პასაჟის გამომსახველობითად წაკითხვა
აქტივობა 7. ტექსტის გასააზრებელად სხვადასხვა დონის კითხვების დასმა
აქტივობა 8. ცნების რუკის შევსება
აქტივობა 9. ტექსტის წაკითხვა და გააზრება
აქტივობა 10. ლექსების: ,,მრავალ ახალ წელს“ და ,,დეკემბერი“ წაკითხვა და დამუშავება
აქტივობა 11. მოსწავლეები კითხულობენ გუნდურად, ინდივიდუალურად (ყურადღება ექცევა ლექსების გამომსახველობითად წაკითხვას).

აქტივობა 12. პარალელების გავლება ორ ლექსს შორის, ლექსებსა და მოთხრობას შორის
აქტივობა 13. საახალწლო ლექსიკონში შესატანი სიტყვების მოფიქრება
აქტივობა 14. ნაძვის ხის ბარათებზე მუშაობა; ტექსტის დამოუკიდებელი წაკითხვა

შეკითხვები:

- როგორი იყო სიტყვის კაცისთვის მორთული ნაძვის ხე?
- რა ეწერა ფერად-ფერად ბარათებზე?
- თქვენ რომელ სიტყვებს დაამატებთ?
- რას უსურვებენ საახალწლოდ ადამიანები ერთმანეთს?
- რა სიტყვა დაამატა სიტყვის კაცმა?
- რა ყოფილა „მრავალჟამიერი“?

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რამდენად შეესაბამება თქვენი მომზადებული ნაძვის ხის ბარათები ნაწარმოებების დედააზრს?
- რამდენად შეესაბამება ერთმანეთს აზრობრივად სიტყვები და განმარტებები, ილუსტრაციები?
- რა ვიზუალური ეფექტები გამოიყენე და რამდენად უწყობს ის ხელს სათქმელის გამოკვეთას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? განსაკუთრებით რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოო ვერსიისგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 2.**
სამიზნე ცნება სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნებები:** თხრობა სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება ენობრივი საშუალება	**საკითხი:** ამბის შექმნა „საახალწლო ლექსიკონის“ სიტყვების: ბედნიერება, სიხარული, სიკეთე, მეკვლე, გოზინაყი, ჩიჩილაკი, ჩურჩხელა-გამოყენებით **ქვესაკითხები**: საახალწლო თემაზე შეთხზული ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); ლექსიკური მრავალფეროვნება, დროითი მიმართებების, მდებარეობის/სივრცეში ლოკალიზების, ნიშან-თვისებების გამომხატველი ენობრივი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შევთხზა ამბავი ნაცნობი მოთხრობის „საახალწლო ლექსიკონის“ გამოყენებით? – რა ხერხები გამოვიყენო წერამდე, წერის დროს, წერის შემდეგ?

	კომპლექსური დავალება: საახალწლო ამბის შექმნა მოიფიქრე და დაწერე საახალწლო ამბავი; გამოიყენე ,,საახალწლო ლექსიკონის“ სიტყვები (**ბედნიერება**, **სიხარული**, **სიკეთე, მეკვლე, გოზინაყი,** ჩიჩილაკი, **ჩურჩხელა**) და თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები. ამბავს შეურჩიე <u>სათაური</u>.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინეთ: ▪ რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი, (ს. 1,3); ▪ რით, როგორ უკავშირდება შენი ამბავი საახალწლოდ შესწავლილ ტექსტებს, შენს პირად გამოცდილებას (ს.2); ▪ თანამიმდევრობის გამომხატველი რომელი სიტყვები გამოიყენე (ს. 3); ▪ რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ (ს.1, 2); ▪ რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს. 1).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. როგორი აგებულება აქვს შენს ამბავს (ს.3)? ახსენი, რატომ დაასათაურე ამგვარად და არა სხვაგვარად (ს.1); რომელი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყენე (გრ.1)?

ქვესაკითხი: ახალ წელზე შეთხზული ამბის იდეა, სამნაწილიანობა, ლექსიკური მრავალფეროვნება, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. იხ. მოსწავლის წიგნი გვ. 55

აქტივობა 1. „სახალისო“ – საახალწლო სურვილების ნაძვის ხე

რესურსი 2. იხ. მოსწავლის წიგნი გვ. 57

აქტივობა 2. მივულოცოთ ერთმანეთს ახალი წელი მისალოცი ბარათებით

რესურსი 3. რუბრიკა „დაიმახსოვრე“ – მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები (იხ. მასწავლებლის წიგნი)

რესურსი 4. იხ. მოსწავლის რვეული გვ. 23-24

აქტივობა 3. გრამატიკული სავარჯიშოები მოსწავლის რვეულიდან

რესურსი 5. მცირე პროზის ჩარჩო

რესურსი 6. თხრობის ჩარჩო

აქტივობა 4. „მცირე პროზის ჩარჩოზე“ დაყრდნობით ამბის შეთხზვა

აქტივობა 5. „მცირე პროზის ჩარჩოდან“ ინფორმაციის გადმოტანა „თხრობის ჩარჩოში“ – მოცემული სიტყვების გამოყენებით

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- რით და როგორ დავაინტერესებ მსმენელს?
- რატომაა მნიშვნელოვანი კონკრეტული დეტალების გამოკვეთა თხრობის დროს?
- როგორ ვითარდება ამბავი? რამდენი ნაწილი აქვს?
- შენ მიერ შეთხზულ ამბავში სად იწყება და სად მთავრდება შუა ნაწილი?

ნაბიჯი 2: რა ხერხები გამოიყენე წერამდე, წერის დროს, წერის შემდეგ (ს.1)? რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ (ს.1, 2)?

ქვესაკითხი: მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები

რესურსები/აქტივობები

აქტივობა 1. გონებრივი იერიში, იდეების ორგანიზება ჩარჩოში ან გეგმის სახით

აქტივობა 2. პირველადი ვერსიის შექმნა

აქტივობა 3. პირველადი ვერსიის გაუმჯობესება თვით -ან ურთიერთშეფასების კრიტერიუმების გამოყენებით

გეზისმიმცემი კითხვები:

- რა გამიადვილებს წერითი ამოცანის გადაჭრას? (გონებრივი იერიში? იდეების ჩამოყალიბება? მაორგანიზებელი სქემით? გეგმის შედგენა?)
- როგორ შევუსაბამო ჩემი ამბავი ახალი წლის თემაზე შექმნილ ტექსტებს? რა უნდა გავითვალისწინო ამისთვის?
- როგორ დავიწყო, გავაგრძელო და დავასრულო ამბავი?
- როგორ გადმოვცე ამბავი ისე, რომ ჩემი თხრობა გასაგები იყოს მკითხველისთვის?
- დავიცავი თუ არა, თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა?
- დავიცავი თუ არა აბზაცები?
- სწორად დავსვი თუ არა სასვენი ნიშნები?
- სწორად შევურჩიე თუ არა სათაური მოფიქრებული ამბის შინაარსს?

დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად ამბის თხრობაა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით.

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რატომ არის საჭირო შეკითხვების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შეკითხვათა პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე როლის შესრულებას?
- შენი თანაკლასელების ნაუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

თემა #7: სახალისო ამბები **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, „მოგზაური მაიმუნები“; „მოდი, რიცხვები მოვიგონოთ“; რევაზ ინანიშვილის „ჭრელი წინდები“; დონალდ ბისეტის „ششش..“; იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ასოების გასაჭირი“.		
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული გვ. 33-42** **ბადიან სივრცეში სამუშაო მასალა:**		
	საკითხები	
სამიზნე ცნება	**I საკითხი** **ტექსტებზე მუშაობა:** ჯ. როდარის მოთხრობა „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრების“ პერსონაჟ სინიორ ბიანკის დახასიათება პერსონაჟის რუკაზე დაყრდნობით.	**II საკითხი** ამბის შეთხზვა ციფრების გასაჭირის შესახებ
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი**-მოთხრობა. შინაარსობრივი მხარე: თემა, დედააზრი, არსებითი დეტალები, პერსონაჟი	**ქვესაკითხები:** ჯანი როდარის მოთხრობის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ თემა, იდეა, პერსონაჟი-მისი ქმედებები, დამოკიდებულებები. **ტექსტის გაგების სტრატეგიები**	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება:** (შედეგები: (I).4, 5, 6) თხრობა; თხრობის მახასიათებლები.		**ქვესაკითხი:** ამბის სამნაწილიანობა, მრავალფეროვანი სიტყვები; მეტაკოგნიცია.
გრამატიკა (პარქტიკული) (შედეგები: (I).5, 6) სიტყვა, წინადადება, წინადადებები შინაარსის მიხედვით.	**ქვესაკითხები:** სიტყვათწარმოება (ნიმუშის მიხედვით); მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები; ლექსიკაზე მუშაობა; როგორობის გამომხატველი სიტყვების შერჩევა; ნიმუშის ადა კონტექსტის გათვალისწინებით რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნების გამოყენება.	
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1.** პერსონაჟის დახასიათება	**კომპლექსური დავალება 2.** ამბის შეთხზვა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** **მხატვრული ჟანრი –** მოთხრობა; შინაარსობრივი მხარე: თემა, დედააზრი, არსებითი დეტალები, პერსონაჟი. **ქვესაკითხები:** ჯანი როდარის მოთხრობის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ თემა, იდეა, პერსონაჟი-მისი ქმედებები, დამოკიდებულებები. **ტექსტის გაგების სტრატეგიები**	**საკითხი:** ჯანი როდარის მოთხრობა „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრების“ პერსონაჟ სინიორ ბიანკის დახასიათება პერსონაჟის რუკაზე დაყრდნობით **საკვანძო კითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რა ხერხების გამოყენებით დავახასიათო პერსონაჟი სინიორ ბიანკი? **კომპლექსური დავალება: პერსონაჟის დახასიათება** წაიკითხე ჯანი როდარის მოთხრობა ,,ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, შეავსე პერსონაჟის რუკა და მასზე დაყრდნობით დაახასიათე <u>პერსონაჟი</u> **სენიორ ბიანკი**.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი გააზრება, ამბის განვითარების დაფიქსირებით შემოკლების პრინციპის გაგება. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** *<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>* ▪ რა თვისებები აქვს სენიორ ბიანკის, სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები (ტ. 1, 2, 3); ▪ რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით (ტ.1); ▪ პერსონაჟის რომელი თვისება მოგწონს ან არ მოგწონს. რატომ (ტ.1); ▪ რომელი სიტყვები, წინადადებები მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ.3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1.მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

1. ვინ ახსნის თავისი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება თქვენგან? რა უნდა შექმნათ? ვინმეს ხომ არ უნდა რაიმეს დამატება?

2. გავიხსენოთ, მსგავსი დავალება ხომ არ გაგვიკეთებია? რა თემას/რომელ ტექსტს ეხებოდა?

3. რა დაგეხმარებათ, რა გაგიადვილებთ მუშაობას?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

აქტივობები, რესურსები

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? რომელი სიტყვები, წინადადებები მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3)?

ქვესაკითხი: ტექსტის გაგების სტრატეგიები

რესურსი 1. ჯანი როდარის მოთხრობა ,,ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“

აქტივობა 1. ტექსტის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ წაკითხვა და მის გააზრებაზე მუშაობა; პაუზებით კითხვა.

- რას მეუბნება პირველადი მინიშნებები (მაგ., სათაური) ტექსტის შესახებ? რით უკავშირდება ისინი ჩემს ცოდნას?
- რა ხერხები გამოვიყენო ტექსტის წაკითხვამდე? ტექსტის წაკითხვისას/წაკითხვის შემდეგ?
- როგორ გამოვიყენო ჩემი ცოდნა-გამოცდილება ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მინიშნებებზე დაკვირვება?

აქტივობა 2. ტექსტის გაგების ლექსიკური სავარჯიშოები
ა) გაიხსენეთ, შეადარეთ!

მისტერ ბიანკი წერს:
– ქართველი ბავშვებიც ისეთივენი არიან, როგორიც რომაელი, მილანელი და ნეაპოლელი ბავშვები: მხიარულები, ანცები, საყვარლები. ბავშვი ბავშვია, გინდა ევროპელი იყოს და გინდა ამერიკელი, გინდა აზიელი და გინდა აფრიკელი, გარჩევა როგორ შეიძლება!

<u>ჯანი როდარის კიდევ რომელ ნაწარმოებშია მოცემული მსგავსი შინაარსი</u>?

აქტივობა 3. დაასახელეთ ვერსიები და შეუფარდეთ სწორ პასუხს
ა)როგორ გესმით შემდეგი წინადადების შინაარსი?
მთელი ქვეყნის ბავშვები გულში მისხედან, თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ?
დაასახელეთ ვერსიები (ძალიან მიყვარს, გულში მყავს მთელი ქვეყნის ბავშვები, არასოდეს შევწუხდები, დავიღლები მათთან ყოფნით, სულ ჩემთან იქნებიან); რომელი ვერსია იყო ყველაზე ახლოს სწორ პასუხთან?
ბ)რას ნიშნავს გულიანად წაკითხვა?
დაასახელეთ ვერსიები(ყურადღებით, მონდომებით, სიამოვნებით წაკითხვას); რომელი ვერსია იყო ყველაზე ახლოს სწორ პასუხთან?

გ) გამოიცანით, ვინ წერს ამ ყველაფერს სინიორ ბიანკის სახელით?
დაასახელეთ ვერსიები; ვინ გამოიცნო?
დ) ვიპოვოთ საერთო სახელი!
ვინ იქნებოდა ჯანი როდარი, მწერალი რომ არ ყოფილიყო?
აქტივობა 4. რა საერთო სახელი შეძლება დავარქვათ მწერალს, მეთოჯინეს (თოჯინების შემქნელს), მევიოლინეს – მეცნიერი, მექანიკოსი, ხელოვანი თუ კონსტრუქტორი?

მნიშვნელოვანი სიტყვები!
გაიხსენეთ, რა უსურვა სინიორ ბიანკიმ ქართველ ბავშვებს.
აქტივობა 5. ჩამოწერეთ მწერლის სურვილები და გამოაკარით კლასში (ჯგუფური სამუშაო)

- ჯანი როდარის აზრით, რა ყოფილა მნიშვნელოვანი (გადახაზე ზედმეტი სიტყვა)? – ჯანმრთელობა, წიგნიერება, შრომა, მოგზაურობა, მეგობრის პოვნა.
- **რა მნიშვნელობა ჰქონიათ ბავშვებს?**

დაასახელეთ ვერსიები; ვინ გამოიცნო?
რომელი ვერსია იყო ყველაზე ახლოს სწორ პასუხთან?

თქვენს ქვეყანასაც გამოადექით და მთელ ქვეყნიერებასაც!

- **რა რისი ნაწილია ?**

მოცემული სიტყვები დაალაგე თანამიმდევრობით და ჩაწერე მოცემულ სიტყვათა ჯაჭვში:
ოჯახი, მე, მსოფლიო, სამშობლო.



ნაბიჯი 2. როგორია პერსონაჟი სინიორ ბიანკი – რა თვისებები აქვს მას, სად, როდის და როგორ ვლინდება ეს თვისებები (ტ. 1, 2, 3)? რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ პერსონაჟით (ტ.1)?
პერსონაჟის რომელი თვისება მოგწონს ან არ მოგწონს, რატომ (ტ.1)?
ქვესაკითხები: მოთხრობის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ თემა, იდეა, პერსონაჟი – მისი ქმედებები, დამოკიდებულებები.

რესურსი 1. პერსონაჟის რუკა
აქტივობა 1. დავახასიათოთ სინიორ ბიანკი



იმუშავეთ მოცემული რუკის დახმარებით და დაწერეთ, როგორია სინიორ ბიანკი

როგორც მამა	
როგორც თანამშრო-მელი	
როგორც ხელოვანი	
როგორც ადამიანი	

ნამუშევრის წარდგენა თანაკლასელებისთვის

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარა ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

თემის ფარგლებში დამუშავებული ტექსტები

რესურსი: ჯანი როდარის „მოგზაური მაიმუნები“
აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა

ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვები:

- სად ცხოვრობენ მაიმუნები?
- როგორები არიან? რას ამბობს მათ შესახებ მწერალი?
- სად იმოგზაურეს მაიმუნებმა?
- რატომ არ მოეწონათ მოგზაურობა?
- წარმოიდგინეთ, რომ ზემოდან დრონივით დავყურებთ მაიმუნების ვოლიერს. შეუძლიათ თუ არა პატარა მაიმუნებს გარეთ გასვლა (ეს რომ შეეძლოთ, ისინი დაიკარგებოდნენ?)?



აქტივობა 2. დავადგინოთ მაიმუნების მოგზაურობის მარშრუტი (იხ. რესურსი მოსწავლის რვეულში)

გაიხსენეთ ტექსტი:

- პირველად რა ნახეს სამოგზაუროდ წასულმა პატარა მაიმუნებმა?
- მერე რა ნახეს, ბოლოს რა შენიშნეს?
- რა ფერის ისარს უნდა გავყვეთ, რომ იგივე გზა გავიაროთ?
- მოგზაურობიდან დაბრუნებისას ჯერ რა ნახეს მაიმუნებმა, შემდეგ – რა? რომელი ფერის ისარს უნდა გაჰყვეთ, რომ იგივე გზა გაიაროთ?
- სად მოძრაობდნენ მაიმუნები?
- სიტყვა მოგზაურობა აქ პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი თუ უბრალოდ პატარა მაიმუნებს ეგონათ ასე?
- ეს მოთხრობა როგორია, დამაფიქრებელი, სერიოზული თუ სახალისო?
- რამ შეგიქმნა ხალისიანი განწყობა?

რესურსი 1. რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ჭრელი წინდები“

აქტივობა 1. ტექსტის დამუშავება

- მწერალ ჯანი როდარის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- წაკითხვა და კითხვებზე პასუხის გაცემა(იხ. მოსწავლის წიგნში).
- სიტყვა „ტანმორჩილის“ განმარტება.

რევაზ ინანიშვილის 8 წლის ბიჭების საყვარელი პერსონაჟები იყვნენ ხახვისთავა ბიჭუნა ჩიპოლინო და ჯელსომინო – ბიჭი, რომელსაც ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, ლაპარაკისას ფანჯრის მინებს ამსხვრევდა.

აქტივობა 2. ისაუბრეთ თემაზე „ჩემი საყვარელი წიგნის პერსონაჟი“
აქტივობა 3. ლექსიკური სავარჯიშოები (იხილეთ მოსწავლის წიგნში)

რესურსი 1. დონალდ ბისეტის მოთხრობა „ШШШ..“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და მის გააზრებაზე მუშაობა; ჩამოთვალეთ, ვინ და რა არიან ამ მოთხრობის პერსონაჟები? გაიხსენეთ სათაური, რომელია მასში მნიშვნელოვანი პერსონაჟი?

აქტივობა 2 . კონტექსტმაგალითების შეთავაზება პერსონაჟების სხვადასხვაობის გასააზრებლად. გაიხსენე, როდესაც ჩვენ მოთხრობაზე ვსაუბრობდით, ვთქვით, რომ მისი პერსონაჟი ყველა არსება და საგანი შეიძლება იყოს. დაასახელე წაკითხული ტექსტები, რომელთა პერსონაჟები არიან ადამიანები, ცხოველები, მწერები და ა. შ. ამჯერად რომელი უცნაური პერსონაჟი შეგხვდათ (ШШШ)?

აქტივობა 3 . **ვთამაშობთ და ვსწავლობთ**

ვიპოვოთ ასოდაკარგული წინადადებები (იხ. მოსწავლის წიგნი).

აქტივობა 4. სახალისო დავალება – ვიმოგზაუროთ ზღაპარში(დაკარგული ასოს პოვნა).

აპოვნინე უფლისწულს მზეთუნახავი. წაიკითხე უცნაური ანდერძი, გამოიცანი, რომელი ასოა დაკარგული. კითხვისას აღადგინე დაკარგული ასოები (მასალა მოცემულია მოსწავლის წიგნში).

აქტივობა 5. შევადგინოთ განცხადება – მუშაობა წყვილებად (ინსტრუქცია და განცხადების ნიმუშები მოცემულია მოსწავლის წიგნში).

რესურსი 1. ჯ. როდარის მოთხრობა „მოდი რიცხვები მოვიგონოთ“

აქტივობა 1. ტექსტი მთლიანად თამაშის ტიპისაა, ეყრდნობა საერთო მარცვლების გამეორებასა და გარითმვას. მოცემული თამაშების ვარიანტები მოსწავლის წიგნშიცაა მოცემული.

აქტივობა 2. ვიანგარიშოთ თამაშით.

სამჯერ ოთხი თორმეტი – ათია და ორ მეტი

ოთხჯერ ოთხი თექვსმეტი – ...

ხუთჯერ ხუთი ოცდახუთი – ოცია და ერთი ხუთი

ცხრაჯერ სამი ოცდაშვიდი – ...

რიცხვი ოცდათექვსმეტი – ოცი ათი ექვს მეტი

რიცხვი ოცდაჩვიდმეტი – ...

სამჯერ ათი ოცდაათი – ოცია და ერთი ათი

რა რიცხვია ოცდაცხრა – ორი ...

- რომელ საგანს უკავშირდება დასმული კითხვები?
- რა იცი ათეულების, ოცეულების და ერთეულების შესახებ?
- თორმეტში რამდენი ათეული და რამდენი ერთეული ყოფილა?
- რამდენი ათეულია თექვსმეტში?
- ოცდახუთი რისგან შედგება?
- რამდენი ყოფილა ცხრაჯერ სამი?

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური მიზანი 2
სამიზნე ცნება **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6)	**საკითხი:** ამბის შეთხზვა ციფრების გასაჭირის შესახებ **საკვანძო კითხვები:**

ქვეცნებები : თხრობა; თხრობის მახასიათებლები **ქვესაკითხი:** ამბის სამნაწილიანობა, მრავალფეროვანი სიტყვები.	როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევთხზა ამბავი ციფრების გასაჭირის შესახებ? როგორი სიტყვები უნდა გამოვიყენო შთაბეჭდილების მოსახდენად? **კომპლექსური დავალება: ამბის შეთხზვა** მოიგონე სახალისო ამბავი იმის შესახებ, თუ **რა გასაჭირში შეიძლება აღმოჩნდნენ ციფრები.** მოიფიქრე <u>სათაური</u>, მოამზადე ილუსტრაციები და მათზე დაყრდნობით ზეპირად გადმოეცი ამბავი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები:** ***<u>ამბის თხრობისას წარმოაჩინე:</u>*** • რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 3); • სხვადასხვა დეტალი (მაგ., სად მოხდა მოქმედება, რამ გამოიწვია არეულობა, ვის რა დაუშავდა და რა სახეცვლილება განიცადეს ციფრებმა, რა გამოსავალი მოიძებნა ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად (ს. 2); • რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს.1).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

1. რა უნდა გავითვალისწინოთ ნასწავლი მასალიდან?
2. როგორია სახალისო მოთხრობა?
3. როგორ ავაგოთ მოთხრობის სამივე ნაწილი?
4. როგორ გამოვიყენოთ ციფრების მოხაზულობის ცოდნა სახალისო ამბის შესაქმნელად?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

აქტივობები, რესურსები

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად; რომელი სიტყვები, წინადადებები მოგეწონა ყველაზე მეტად (ტ. 3)?

ქვესაკითხი: ტექსტის გაგების სტრატეგიები

რესურსი 1. იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ასოების გასაჭირი“

აქტივობა 1. კონტექსტმაგალითი – იოსებ გრიშაშვილის ლექსის „ასოების გასაჭირი“ წაკითხვა და დამუშავება

- რას გვეუბნება სათაური?
- რა გასაჭირი შეიძლება ჰქონდეს ასოებს?

- რა არ მოეწონებოდათ?
- რომელი ასოებია ლექსში ნახსენები: *განკ, ჯან, დონ, ჟან, პარ, ძილ, თან , ტარ, ან?*
- დაასახელე, რომელი ასო რად გადაიქცევა, თუ შ-ს ცხვირი მოსტყდება, თუ ტ-ს კაუჭი მოსძვრება, თუ რ-ს ყუნწი მოსძვრება, თუ ზ-ს ზედა ბურთი მოსძვრება, თუ ვ-ს ცხვირი მოსტყდება, თუ პ-ს თავი მოსწყდება, თუ ლ-ს ერთი კბილი მოსძვრება?

სად უნდა იყოს ვ ? სად უნდა იყოს კ ?
მწყემსმა ერთი -აცი დაკარგა.
გზაზე ორი -აცი საუბრობდა.
ბაბუამ -ირს ხურჯინი გადაჰკიდა.
-ირს ჭერის შესათეთრებლად იყენებენ.
სად უნდა იყოს ლ ? სად უნდა იყოს ღ ?
სა- ი კლდის პირას ჯიხვი იდგა.
დიდედამ სა-ი ვაშლები გადაარჩია.
-ომს ბოკვერი შეეძინა.
ნიკა -ომს მიირთმევს.

ნაბიჯი 2. რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი (ს. 3)? მრავალფეროვანი სიტყვები (ს.1, 2.)? სხვადასხვა დეტალი (მაგ., სად მოხდა მოქმედება, რამ გამოიწვია არეულობა, ვის რა დაუშავდა და რა სახეცვლილება განიცადა ციფრებმა, რა გამოსავალი მოიძებნა ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად (ს. 2)? რატომ დაასათაურე ამბავი ამგვარად (ს.1)?
ქვესაკითხები: ამბის სამნაწილიანობა, მრავალფეროვანი სიტყვები

აქტივობები, რესურსები

რესურსი 1. თხრობის ჩარჩო
აქტივობა 1. თხრობის ჩარჩოს მიხედვით იდეების ორგანიზება

მოთხრობა „ციფრების გასაჭირი“		
მოთხრობაში გადმოცემული ამბავი	**რა განვსაზღვრო?**	**რა მოვიგონო?**
სად ხდება მოქმედება?	**მოქმედების ადგილი**	კლასში? ციფრების სამეფოში? მათემატიკის რვეულში?
როგორ დავიწყოთ ამბავი?	**რამ გამოიწვია არეულობა და გასაჭირი?**	ციფრების კონფლიქტმა? არეულმა ანგარიშმა? ვერ გაიგეს, ვინ რა ციფრი იყო? საიდანმე ჩამოცვივდნენ ?
რა დაემართათ ციფრებს?	**ვის რა დაუშავდა და რა სახეცვლილება განიცადა**	რაღაც ნაწილის მომსხვრევისას რომელი ციფრი რომელ ციფრად გადაიქცა? რომელი ორი ციფრის შეწებებისას რა ციფრი შეიძლება მიგვეღო?

რით დასრულდა ამბავი?	**გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან**	გამოსავალი უნდა უკავშირდებოდეს კონფლიქტის მიზეზსაც. დაიბრუნეს თუ არა ციფრებმა პირვანდელი სახე? იქნებ დარჩნენ ახალ ციფრებად? როგორ მოხდა ეს?

ამბის შექმნაზე დამოუკიდებლად მუშაობა

ნაშრომის წარდგენა თანაკლასელებისთვის

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე .

- როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა N8: საოცარი ბავშვები **საათების სავარაუდო რაოდენობა – 28 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: ლ. ვაშაკიძის მოთხრობა ,,დახუჭობანა“, ნ. ბეზარაშვილის მოთხრობა ,,თოჯინა“ , ც. ქიტიაშვილის ლექსი ,,ხაბაზი“ , გ. კეკელიძის მოთხრობა ,,თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს“, ლ. ბეროშვილის მოთხრობა ,,ფეფო“ და ,,ფეფოს სოფელი“, ჯ. როდარის ,,ერთი და შვიდი“.	**I საკითხი:** ხელნაკეთი თოჯინის აღწერა	**II საკითხი** თემაში დამუშავებული ტექსტების მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერის შექმნა
სამიზნე ცნება		
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა, აღწერის მახასიათებლები.	**ქვესაკითხები:** მოსწავლის ხელნაკეთი თოჯინის აღწერა; ნიშან- თვისებების: ზომის, ფორმის, შემადგენლობის/მასალისა და ფუნქცია-დანიშნულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები.	
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები**: მხატვრული ჟანრები – მოთხრობა, ლექსი; ტექსტების შინაარსობრივი მხარე: თემა, იდეა, პერსონაჟი, მნიშვნელოვანი დეტალი. **არამხატვრული ჟანრი – პოსტერი;** პოსტერის მახასიათებლები. **გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6) **ქვეცნება:** სიტყვათწარმოება და წარმოებული სიტყვა, სიტყვის ფორმის ცვლა		**ქვესაკითხები:** ტექსტების: „დახუჭობანა“, „თოჯინა“, „ხაბაზი“ , „თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს“, „ფეფო“ , „ფეფოს სოფელი“, „ერთი და შვიდი“ საერთო იდეა, თემა, პერსონაჟები-მათი ქმედებები, თვისებები, ფიქრები, დამოკიდებულებები, ინტერესები; პოსტერის ენა, სტრუქტურა, შინაარსი.
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება 1.** თოჯინის დამზადების პროცესის და თოჯინის აღწერა	**კომპლექსური დავალება 2** მკითხველის პოსტერი

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 1**
სიტყვა, წინადადება,ტექსტი (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნებები :** აღწერა, აღწერის მახასიათებლები.	**საკითხი:** ხელნაკეთი თოჯინის აღწერა ნიშან-თვისებებისა და თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვების მიხედვით **ქვესაკითხი:** მოსწავლის ხელნაკეთი თოჯინის აღწერა; ნიშან-თვისებების: ზომის, ფორმის, შემადგენლობის/მასალისა და ფუნქცია-დანიშნულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები **საკვანძო შეკითხვა**: როგორ აღვწერო ჩემი თოჯინა? რა/ რომელი სიტყვები გამოვიყენო თოჯინის დეტალურად აღსაწერად? **კომპლექსური დავალების პირობა:** თოჯინის დამზადების პროცესისა და თოჯინის აღწერა დაამზადე თოჯინა. ზეპირად ისე აღწერე მისი კეთების პროცესი, რომ სხვებმაც შეძლონ მსგავსის გაკეთება. თოჯინის დასამზადებლად გამოიყენე ნებისმიერი მასალა, ნივთი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** *<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>* • როგორ დაამზადე თოჯინა; რა თანამიმდევრობით გააკეთე – ამისთვის გამოიყენე თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები (ს. 1, 3); • რა მასალისა და ნაწილებისგან შედგება შენი თოჯინა და როგორია ისინი – ამისთვის გამოიყენე ნიშან-თვისების გამომხატველი მრავალფეროვანი სიტყვები (ს.2).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. როგორ დაამზადე თოჯინა? რა თანამიმდევრობით გააკეთე? – გამოიყენე თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები (ს. 1, 3).

რესურსები/აქტივობები

რესურსი 1. სახელმძღვანელოს ილუსტრაცია

აქტივობა 1. სახელმძღვანელოს ილუსტრაციაზე დაკვირვება და აღწერა

გეზისმიმცემი შეკითხვები:

დააკვირდით ილუსტრაციას – მასზე ხელნაკეთი თოჯინაა გამოსახული. აღწერე იგი:

- როგორ აღწერთ ამ თოჯინას?
- რა რისგან აქვს გაკეთებული, რა აცვია, როგორი თმები აქვს?
- თქვენი აზრით, რას რის შემდეგ გააკეთებენ თოჯინის დამზადებისას?

აქტივობა 2. აღწერის ნიმუშის გაცნობა

რესურსი 2. აღწერის ნიმუში:

თოჯინის ასაწყობად **თავდაპირველად** ავიღე თეთრი მუყაოს ქაღალდი და დავამზადე ტანი და ხელები. **ჯერ** მივამაგრე ქსოვილისგან შეკერილი პატარა მრგვალი თავი, **შემდეგ** – თავზე ყავისფერი ფუმფულა ძაფებისგან მომზადებული თმა მივაკერე, **ამის შემდეგ** – მოვუხატე სახე: შავი ფანქრით დავუხატე თვალები, წარბები და წამწამები, წითელი ფანქრით – ტუჩები. **მერე** ჭრელი ქსოვილისგან შევუკერე გრძელი კაბა, რომელიც მივაწებე მუყაოსგან შეკერილ ტანს, **ბოლოს** კი – თმაზე პლასტმასის წითელი თმის სამაგრი გავუკეთე და გავალამაზე ჩემი თოჯინა.

აქტივობა 3. აღწერის ტექსტის მიხედვით სქემაზე მუშაობა

რესურსი 3. შესავსები სქემა

ნაწილი	მასალა	მახასიათებელი
ტანი	მუყაო	თეთრი
თავი	ქსოვილი	პატარა, მრგვალი
თმა	ძაფი	ყავისფერი, ფუმფულა
ხელები	მუყაო	თეთრი
კაბა	ქსოვილი	ჭრელი
თმის სამაგრი	პლასტმასა	წითელი

აქტივობა 4. სქემაში მოქმედებათა თანამიმდევრობის აღნიშვნა და თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების ამოწერა

რესურსი 4. შესავსები ჩარჩო

ნაწილი	დანომრე, რა რის შემდეგ გაკეთდა	ამოიწერე ტექსტიდან თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები
თოჯინის ტანი და ხელები		
თავი		
თმა		
სახე		
კაბა		
თმის გალამაზება		

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რომელი სიტყვები გამოხატავს ფერს? ფორმას? ზომას? მასალას?
- აღწერაში რომელი სიტყვები გამოხატავს თანამიმდევრობას?

აქტივობა 5 . მოსწავლის მიერ დამზადებული თოჯინის ზეპირი აღწერა სქემაზე დაყრდნობით

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა ნაწილებისგან შედგება შენი თოჯინა?
- რა მასალისგანაა გაკეთებული თითოეული ნაწილი?
- როგორია თითოეული ნაწილი – როგორია მათი ფორმა, ფერი, ზომა... ?
- დაგეხმარა თუ არა სქემის წინასწარ შევსება აღწერაში?
- რომელი თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები გამოიყენე აღწერისას?
- რაში დაგეხმარა თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება აღწერისას? შეადარე, ჰგავს შენი თოჯინა სოფოს მიერ დამზადებულ თოჯინას?

დავალების წარდგენა

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- საინტერესო და თანამიმდევრული იქნება თუ არა შენი აღწერა ?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 2**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები :** მხატვრული ჟანრები- მოთხრობა, ლექსი. ტექსტების შინაარსობრივი მხარე: თემა, იდეა,პერსონაჟი, მნიშვნელოვანი დეტალი. არამხატვრული ჟანრი- პოსტერი; პოსტერის მახასიათებლები.	**საკითხი:** თემაში დამუშავებული ტექსტების მთავარი სათქმელის ამსახველი პოსტერის შექმნა **ქვესაკითხი:** ტექსტების – „დახუჭობანა“, ,,თოჯინა“, ,,ხაბაზი“, ,,თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს“, ,,ფეფო“ ,,ფეფოს სოფელი“, ,,ერთი და შვიდი“ – საერთო იდეა, თემა, მთავარი დეტალები, პერსონაჟები-ქმედებები, თვისებები, ფიქრები, დამოკიდებულებები, ინტერესები; პოსტერის ენა, სტრუქტურა, შინაარსი. **საკვანძო შეკითხვა**: როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა მკითხველის პოსტერი თემის-,,რა უყვართ ბავშვებს და რატომ?“ გამოსახატავად? რამდენად შეესაბამება ჩემს პოსტერზე წარმოდგენილი მაგალითები თემის ფარგლებში შესწავლილი ტექსტების დედააზრს? **კომპლექსური დავალება:** მკითხველის პოსტერი შექმენით საკლასო პოსტერი სათაურით ,,რა უყვართ ბავშვებს და რატომ?“; შენი სათქმლის წარმოსაჩენად გამოიყენე მაგალითები შესწავლილი ტექსტებიდან.

	პოსტერზე: ➢ თემაში შესწავლილი ტექსტებიდან წარმოადგინე მაგალითები, რომლებიც შეესატყვისება პოსტერის სათაურს: ,,რა უყვართ ბავშვებს და რატომ?“. ➢ პოსტერისათვის შეარჩიე სათაურის შესაბამისი წარწერები და ილუსტრაციები; ➢ სათქმელის გამოსაკვეთად გამოიყენე სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება; ➢ გამოიყენე მოკლე წინადადებები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები :** *ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:* • რისი თქმა გინდოდა ამ პოსტერით (ტ.1,2,3); • რით უკავშირდება შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების შინაარსს (ტ. 1,2); • რა საერთოს ხედავ შენსა და პერსონაჟ ბავშვებს შორის (ტ.1, 2,); • პოსტერის რა მახასიათებლები აქვს შენს ნამუშევარს – რატომ ფიქრობ, რომ ის პოსტერია (ტ. 3); • როგორ გამოიყენე სათქმელის გამოკვეთისათვის სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება (ტ.3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. რისი თქმა გინდოდა ამ პოსტერით (ტ. 1,2,3)? რით უკავშირდება შენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების შინაარსს (ტ. 1,2)? რა საერთოს ხედავ შენსა და პერსონაჟ ბავშვებს შორის (ტ. 1, 2,)?

ქვესაკითხები: თემაში ,,საოცარი ბავშვები“ შესწავლილი ტექსტების საერთო იდეა, თემა, მთავარი დეტალები, პერსონაჟები

რესურსი 1: ლ. ვაშაკიძის მოთხრობა ,,დახუჭობანა“

აქტივობა 1. ტექსტის დამუშავება.
თემასთან დაკავშირებული შეკითხვა:
რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

- ილუსტრაციის გარდა, რა დაგეხმარათ ამოცნობაში?
- რა ვერ ამოიცანით და რატომ?

აქტივობა 3. მოკლე შინაარსის გადმოცემა
რა არის ამ მოთხრობაში მთავარი? რა ხდება – რით დაიწყო ამბავი? მერე რა მოხდა, ბოლოს რით დასრულდა?
რას გვეუბნება სათაური, რა არის ამ მოთხრობის ამბავი? – დახუჭობანას თამაში.
რა ხდება? – იგულისხმება მოქმედება. ამას მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები გამოხატავს. დახუჭობანას თამაშის გათვალისწინებით, განსაზღვრეთ მოქმედების თანამიმდევრობა – რით დაიწყო ამბავი? ჯერ რა მოხდა? მერე რა მოხდა, ბოლოს რა მოხდა?

რესურსი 2. ცხრილი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვებისთვის (იხ. მოსწავლის რვეულში)

ა) მოცემულ ცხრილში ამოწერეთ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და მათი გამოყენებით შეადგინეთ მოკლე შინაარსი.
ბ) ცხრილის შევსების შემდეგ სახელმძღვანელოში წაიკითხეთ მასალა მ ო კ ლ ე შ ი ნ ა ა რ ს ი.
განსაზღვრეთ, რა აკლია თქვენ მიერ შედგენილ მოკლე შინაარსს ან რა არის ზედმეტი.

დაშვებული შეცდომები განხილვისთვის ჩამოვწეროთ დაფაზე.
გაითვალისწინეთ, რომ მოკლე შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს სათაურიდან და ასახავდეს დახუჭობანას თამაშის ეტაპებს.

აქტივობა 4. თემასთან დაკავშირებული შეკითხვა.
რა უყვართ ბავშვებს ? – თამაში, გართობა, მხიარულება, დახუჭობანა და სირბილი.
<u>პასუხი ჩაწერეთ კლასში წინასწარ გამოკრულ მოსაზრებების ფურცელზე</u>.

რესურსი 1. ნ. ბეზარაშვილის მოთხრობა „თოჯინა“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და დამუშავება.
თემასთან დაკავშირებული შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

აქტივობა 2. დაფიქრდით:

- ვინ არიან ამ მოთხრობის პერსონაჟები?
- რას აკეთებდა ბებო ბავშვობაში?
- რისი გაკეთება მოისურვა სოფომ?
- რა დავასკვნათ?
- რა ითქვა სოფოს მიერ გაკეთებულ თოჯინაზე?
- რატომ ვერ იშოვი ამისთანა თოჯინას? რით არის გამორჩეული?

აქტივობა 3. შევქმნათ ხელნაკეთი სათამაშოები
მასალა: ქსოვილი, ღრუბელი, პენოპლასტი, ჯოხები, ღილები, მუყაო, პატარა ყუთები, ძაფები, თოკი და ა. შ. შექმენით ნებისმიერი სათამაშო, სხვადასხვა სახის თოჯინა: გოგონა,

ბიჭი, ზღაპრის, ფილმის, მულტფილმის გმირები, ცხოველები, მანქანები, რობოტები და სხვ. მოვაწყოთ სათამაშოების გამოფენა; წარვუდგინოთ სათამაშო თანაკლასელებს.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა:
რა უყვართ ბავშვებს? – საკუთარი ხელით კეთება, აგება, აშენება, კონსტრუირება.

რესურსი 1. ც. ქიტიაშვილის ლექსი „ხაბაზი“

აქტივობა 1. ტექსტის წაკითხვა და დამუშავება

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

- რას გეუბნებათ სათაური? იცით, რა არის ხაბაზი?
- წავიკითხოთ ლექსი. რა ყოფილა ხაბაზი?

აქტივობა 2. ვისწავლოთ უცხო სიტყვებზე მუშაობა.

1. წაიკითხეთ ლექსი;

2. რომელი სიტყვის მნიშვნელობაც არ იცით, მოძებნეთ სიტყვის სკივრში;

3. თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცით და არც სიტყვის სკივრშია, შეეცადეთ სტროფის, წინადადების მიხედვით დაადგინოთ შინაარსი; სავარაუდო პასუხი ჩაიწერეთ.

4. ამოწერეთ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ვერ დაადგინეთ;

5. თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განიხილეთ ყველა შემთხვევა.

ხაბაზობა არის ხელობა, ისეთი საქმე, რომელიც ხელით კეთებას, ხელის გაწაფვას მოითხოვს. წიგნში მოცემულ ჩამონათვალში მოძებნეთ ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები; დაასახელეთ, რომელი რას აკეთებს. ყველა სიტყვის მნიშვნელობა იცით? – მოინიშნეთ უცნობი სიტყვები. თანაკლასელთა და მასწავლებლის დახმარებით დაადგინეთ მათი მნიშვნელობა.

აქტივობა 3. ახსენი გამონათქვამები.

გამონათქვამი	**განმარტება**
ფქვილის ზვინი	
თითქოს დევის ღიპი იყოს, ცომი ამოფუვდა	
ცხელ თონეში ჩავაკარი **სამოცამდე** პური	

დავაზუსტოთ:

რას ნიშნავს **სამოცამდე?** –

სამოცს თუ **დაახლოებით სამოცს?** –

წაიკითხეთ რუბრიკაში „დაიმახსოვრე!“ შესაბამისი მასალა!

აქტივობა 4 . ორი საგანი შევადაროთ ერთმანეთს

თითქოს დევის ღიპი იყოს, ცომი ამოფუვდა.
რა საგანი რას შევადარეთ, რა ნიშნით?
ცომი – დევის ღიპს აფუებულობით.
ეს შედარება სხვაგვარადაც შეგვიძლია გამოვხატოთ:
ცომი დევის ღიპი**ვით** აფუვდა.
ცომი აფუებულია, **როგორც** დევის ღიპი.
მოძებნეთ ლექსში სხვა შედარება – ვინ ვის ედარება
(პაპასავით ხაბაზია).
გამოხატეთ ეს შედარება სხვაგვარად – ხაბაზია, როგორც პაპა.
რა ნიშნითაა შედარებული ერთმანეთს პაპა და ბიჭი? – ხაბაზობით.
რომელი საგანი რას შეგვიძლია შევადაროთ? – შეაერთე ხაზებით.
აღნიშნე, რა ნიშნით შეადარე ისინი ერთმანეთს.

იღიმება დედა		მელასავით
გოგოს გაბადრული სახე ჰქონდა		შურდულივით
ბროწეულის ყვავილივით ყვაოდა		მისი სილამაზე
მდინარე იორი ლაპლაპებდა		როგორც ომში ამოწვდილი ხმალი
ქოსატყუილა გაიპარა		როგორც გაზაფხული
შეშინებული ბიჭი გარეთ გავარდა		სავსე მთვარესავით

აქტივობა 5. იმუშავეთ წყვილებად

შეადგინეთ 3 წინადადება, რომლებშიც იქნება შედარება. – გაიხსენე, რა და რა ფორმით იგება შედარება (როგორც პაპა... თითქოს პაპა იყოს... პაპასავით... ნიმუშები ჩამოწერეთ დაფაზე).
ისაუბრეთ: თქვენ თუ მოგწონთ უფროსების საქმის კეთება; რას გააკეთებდით, რომ შეგეძლოთ? ეხმარებით თუ არა უფროსებს რაიმე საქმის კეთებაში?

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს? – უფროსების მიბაძვა, დიდების საქმის კეთება.

რესურსი 1. გ. კეკელიძის მოთხრობა „თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს“

აქტივობა 1. ტექსტის დამუშავება
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

1. რა მოლოდინს გვიჩენს სათაური?
2. დააკვირდით ილუსტრაციას. სათაურისა და ილუსტრაციის გათვალისწინებით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ტექსტში.

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და ლექსიკური დამუშავება.
ვისწავლოთ უცხო სიტყვებზე მუშაობა.
1. წაიკითხეთ ტექსტი;
2. რომელი სიტყვის მნიშვნელობაც არ იცით, მოძებნეთ სიტყვის სკივრში;
3. თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცით და არც სიტყვის სკივრშია, შეეცადეთ სტროფის, წინადადების მიხედვით დაადგინოთ შინაარსი; სავარაუდო პასუხი ჩაიწერეთ.
4. ამოწერეთ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ვერ დაადგინეთ;
5. თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განიხილეთ ყველა შემთხვევა.

გეზისმიმცემი კითხვები:
- ვინ არის მთხრობელი?
- ვინ არის მთავარი პერსონაჟი?
- გვყავს თუ არა უსახელო პერსონაჟები? ვინ არიან ისინი?
- რას ამბობს თომა?
- როგორ მოქმედებს იგი?
- რამდენად აღწევს სასურველ მიზანს?
- როგორ შეაფასებდი თომას ქმედებებს?

რესურსი 2. პერსონაჟის რუკა
აქტივობა 3. პერსონაჟის რუკის შევსება:

დავახასიათოთ თომა	
თომა ამბობს	**თომა აკეთებს**
როგორია თომა? **შექმენით სიტყვათა ბანკი**	
მეოცნებე,...	
იმსჯელეთ თომას შესახებ	

რაზე ოცნებობს და რას აკეთებს ოცნების ასახდენად?	
ვინ არიან მისი მეგობრები და ვისი იმედი აქვს?	
ყველა რატომ ეთანხმება?	
რა თვისებები აქვს და საიდან ჩანს?	

აქტივობა 4. პერსონაჟის დახასიათება.

რესურსი 3. მაორგანიზებელი რუკა

აქტივობა 5. როგორია ბავშვთა ქალაქი – მაორგანიზებელი რუკის შედგენა – საკლასო სამუშაო (მუშაობენ ჯგუფებად)

რა გაითვალისწინა თომამ?	რა დაადგინა?	რა სიკეთეს მოიტანს ბავშვთა ქალაქი?



აქტივობა 6. ჯგუფური სამუშაო. ,,ბავშვთა ქალაქი“ (4-5 მოსწავლე)

ფორმატზე დახატეთ ბავშვთა ქალაქი. – გაითვალისწინეთ, რა სჭირდება ქალაქს და შექმენით შესაბამისი დაწესებულებები!

რესურსები: ქაღალდის დიდი ფორმატი, სახატავი ფანქრები, ფერადი ფურცლები და სხვ.

იდეების რუკა

ვიდრე ქალაქს დახატავდე, გაითვალისწინე, რა სჭირდება შენს ქალაქს!	
დაცვა	**ქალაქის ჭიშკარი, რომელსაც კეთილი ჯუჯები დაიცავენ, რადგან მათ ამის გამოცდილება აქვთ.**
წესები და აკრძალვები	
ტრანსპორტი	
განათლება	**რა გინდა რომ ისწავლონ ბავშვებმა ?**
გართობა	
მაღაზიები	
სტუმრები	

ა) შეავსე იდეების რუკა და პრეზენტაციის დროს გააცანი იგი თანაკლასელებს.

ბ) თქვენი იდეების გათვალისწინებით დახატეთ ბავშვთა ქალაქი.

გ) გაითვალისწინეთ დაფაზე გამოკრული ჯგუფური მუშაობის წესები.

1. ვსაუბრობთ დაბალ ხმაზე, რათა ხელი არ შევუშალოთ სხვა ჯგუფებს.
2. ჯგუფის ყველა წევრს ვაძლევთ აზრის გამოთქმის საშუალებას და ვიწერთ იდეების ფურცელზე.
3. შემდეგ ვმსჯელობთ, რომელი იდეა გამოვიყენოთ ბავშვთა ქალაქის შექმნისას.
4. შეთანხმების შემდეგ ვანაწილებთ საქმეს: ზოგს შეთანხმებული იდეები შეაქვს იდეების რუკაში, ზოგი ქალაქის შენობებისა და გზების მონახაზს აკეთებს, სხვა აფერადებს, ზოგი წარწერებს აკეთებს ქალაქის შენობებსა და აბრებზე და ა. შ.
5. პრეზეტაციის დროსაც გადაანაწილეთ სასაუბრო თემები.

აქტივობა 7. ნამუშევრების წარდგენა

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ? – თავის ფანტაზიებში ყოფნა, ბავშვური სამყაროს შექმნა.

რესურსი 1. ლ. ბეროშვილის მოთხრობები „ფეფო“, „ფეფოს სოფელი“

აქტივობა 1. მოთხრობის დამუშავება

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა

- გამომეტყველებით კითხვაზე მუშაობა; ყურადღება გაამახვილეთ კითხვით და ძახილის წინადადებებზე.
- ვინ სვამს უცნაურ კითხვებს?
- ვისაც ყველაფერი აინტერესებს?
- ვისაც მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს?

აქტივობა 3. ვითამაშოთ წარმოდგენობანა.

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენთან მოვიდა ფეფო. რა კითხვებს დასვამდა?

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენთან, კლასში, მოვიდა ხახვისთავა ბიჭუნა. რა მოხდებოდა?

წარმოიდგინეთ, რომ ტკბილი ბამბის თოვლი მოვიდა, რა მოხდებოდა?

წარმოიდგინეთ, რომ ერთი დღით ფრენის უნარი მოგეცათ, რა მოხდებოდა?

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მამა ადამიანი ობობაა. რა მოხდებოდა?

აქტივობა 4 . „ფეფოს სოფელი“ – ტექსტის წაკითხვა და ლექსიკაზე მუშაობა

1. რომელი სიტყვის მნიშვნელობაც არ იცით, მოძებნეთ სიტყვის სკივრში;
2. თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცით და არც სიტყვის სკივრშია, შეეცადეთ, წინადადების მიხედვით დაადგინოთ შინაარსი; სავარაუდო პასუხი ჩაიწერეთ.
3. ამოწერეთ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ვერ დაადგინეთ.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ? – ბავშვებს უყვართ უცნაური კითხვების დასმა და ამბების მოყოლა.

რესურსი 1. ჯ. როდარის მოთხრობა „ერთი და შვიდი“

აქტივობა 1. ტექსტის დამუშავება

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს და რატომ?

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა

- რას გეუბნებათ სათაური და ილუსტრაცია?
- როგორ დავაკავშიროთ სათაური ილუსტრაციასთან?
- რამდენი ბავშვი ხატია ილუსტრაციაზე? თქვენი აზრით, ვინ არიან ისინი?
- წავიკითხოთ ტექსტი. გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?
- რით განსხვავდებიან ეს ბიჭები ერთმანეთისგან ?
- რით ჰგვანან ერთმანეთს ?

აქტივობა 3. შეარჩიე სწორი პასუხი:

რატომ ფიქრობს მწერალი, რომ ის შვიდი ბიჭი ერთი იყო? რომელი პასუხია სწორი?

1. იმიტომ, რომ ერთნაირი სახელები ჰქვიათ;
2. იმიტომ, რომ ყველანი ბიჭები არიან;

3. იმიტომ, რომ ბავშვები არიან და ერთნაირი ბავშვური ინტერესებით ცხოვრობენ.

აქტივობა 4. ტექსტის იდეაზე მსჯელობა: რით ჰგვანან მსოფლიოს ბავშვები ერთმანეთს?

,,ყველანი ხომ რვა წლისანი იყვნენ!
წერა და კითხვა ხომ ყველამ იცოდა!
ველოსიპედის უხელოდ ტარება ხომ ყველას შეეძლო!
მუხლის თავები ხომ ყველას ერთნაირად ჰქონდა გადაყვლეფილი!
და რაც მთავარია, ყველანი ხომ ერთ ენაზე იცინოდნენ!“

ნაბიჯი 2 . პოსტერის რა მახასიათებლები აქვს შენს ნამუშევარს – რატომ ფიქრობ, რომ ის პოსტერია (ტ. 3)? როგორ გამოიყენე სათქმელის გამოკვეთისათვის სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება (ტ.3)?

ქვესაკითხები: პოსტერის მახასიათებლები: სტრუქტურა, ენა, შინაარსი.

აქტივობა 1. შესწავლილი ტექსტებიდან გამოტანილი იდეების შეჯამება.

გაიხსენეთ ჩვენი მთავარი შეკითხვა: რა უყვართ ბავშვებს?
ახლა იდეების დაფაზე წავიკითხოთ, რა პასუხი გავეცით მთავარ კითხვას?
რა უყვართ ბავშვებს და რატომ ?

თამაში, გართობა, მხიარულება, დახუჭობანა და სირბილი.

საკუთარი ხელით კეთება, აგება, აშენება, კონსტრუირება.

უფროსების მიბაძვა, დიდების საქმის კეთება.
თავის ფანტაზიებში ყოფნა, ბავშვური სამყაროს შექმნა.
ცნობისმოყვარეობის გამო ბევრი უცნაური კითხვის დასმა. –
კითხვაზე „რატომ?“ პასუხი ამოარჩიე ტექსტიდან „ერთი და შვიდი“. –
იმიტომ, რომ ყველანი ერთ ენაზე იცინიან!

აქტივობა 2. ჯგუფების მიერ მომზადებული პოსტერებით დიდი საკლასო პოსტერის „რა უყვართ ბავშვებს“ სამუშაოს ეტაპების ჩამოყალიბება:

1. დიდ ფორმატს გავუკეთოთ სათაური „რა უყვართ ბავშვებს?“
2. შუაში ჩავწეროთ: „ჩვენ ყველანი ერთ ენაზე ვიცინით!“
3. შევქმნათ 6 ჯგუფი;
4. გავინაწილოთ ჩვენი მეგობარი პერსონაჟები: რეზო, სოფო, ხაბაზი ბიჭი, თომა, ფეფო, ტომი;
5. შევქმნათ ფერად ფურცელზე პოსტერი იმის მიხედვით, თუ რა უყვარს ჩვენს პერსონაჟს;
6. თითოეული პატარა პოსტერი ჩავსვათ წინასწარ გამზადებულ დიდ ფორმატში.

აქტივობა 3. პოსტერის მახასიათებლების გახსენება.

აქტივობა 4. მომზადება მკითხველის პოსტერის შესაქმნელად.

იდბის გენერირება, გონებრივი იერიში

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- რა საერთო მახასიათებლები აქვს ამ პოსტერებს?
- რით განსხვავდება პოსტერები ერთმანეთისაგან?
- აქვთ თუ არა წარწერები, ილუსტრაციები?
- შეესაბამება თუ არა აზრობრივად ერთმანეთს წარწერები და ილუსტრაციები?
- თვალსაჩინოა თუ არა ავტორის სათქმელი?
- გამოკვეთს თუ არა გამოყენებული ვიზუალური ეფექტები (მაგ., სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივად განლაგება) ავტორის სათქმელს, პოსტერის თემას?
- როგორი წინდადებებია გამოყენებული?
- რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ?
- რას იტყოდით, როგორი უნდა იყოს კარგი პოსტერი?
- რა გაგახსენათ შესწავლილმა ტექსტებმა?
- ხომ არ გახსენდება რაიმე პირადი ცხოვრებიდან, ფილმიდან, წაკითხულიდან, რაც ამ ნაწარმოებების იდეას ეხმიანება?
- დაგეხმარათ ნაწარმოებების იდეის თქვენეული გაგება პოსტერის შექმნაში? როგორ ასახეთ ტექსტების მთავარი იდეა პოსტერზე?
- შეაფასეთ მუშაობის პროცესი:
- მოგწონთ თქვენი პოსტერი?
- მოგეწონათ თუ არა მასზე მუშაობა?
- ვინ გაიცანით ნასწავლი ნაწარმოებებით?
- რას მიხვდით? რა გაიგეთ?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი შექმნილი დავალება არის პოსტერი?
- როგორ დაუკავშირე ტექსტების იდეა პოსტერის შინაარსს?
- ტექსტების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილე ყურადღება ნაშრომის შექმნისას? რატომ?
- რომელი სიტყვები ან წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა განსაკუთრებით? რამ მიიქცია შენი ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება? გამოგიყენებია მსგავსი სტრატეგიები?

თემა N9: ადამიანი და ბუნება **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: ი. სიხარულიძის ლექსი „ვისი ხარ, წყაროვ, ვისი“; რ. კიპლინგის ზღაპარი „ მაუგლი“; ა. წერეთლის „ყმაწვილი და პეპელა“ .		
სხვა რესურსები: **საკლასო სამუშაოების რვეული**		
	საკითხები	
სამიზნე ცნება	**I საკითხი:** ბუნების დაცვის წესების შემუშავება	**II საკითხი:** სურათის აღწერა „გასეირნება ტყეში“
ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები:** მხატვრული ჟანრი-ზღაპარი, დედააზრი, პერსონაჟი	**ქვესაკითხები:** რ. კიპლინგის ზღაპრის ,,მაუგლი“ დედააზრი, პერსონაჟები, მოქმედების დრო და ადგილი; ახალი ლექსიკა და იშვიათად ხმარებული სიტყვები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; (შედეგები: (I).4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა, აღწერის მახასიათებლები		**ქვესაკითხი:** აღწერის მიმართულება, ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები.
გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6) სიტყვა, წინადადება , წინადადებები შინაარსის მიხედვით.	**ქვესაკითხები:** დეფისიანი სიტყვები; სიტყვათშეთანხმება – რომელი სიტყვა შეეფერება?	
კომპლექსური დავალება	**კომპლექსური დავალება N1** ბუნების დაცვის წესების შემუშავება	**კომპლექსური დავალება N2** სურათის აღწერა ,,გასეირნება ტყეში“

თემაში დასამუშავებელი ტექსტები:

რესურსი 1. ი. სიხარულიძის ლექსი „ვისი ხარ, წყაროვ, ვისი?“

აქტივობა 1. ლექსის წაკითხვა და დამუშავება

შეკითხვა:

- რა აბედნიერებს წყაროს?
- რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს სჭირდება (წყალი, მიწა და მზე)?
- რა არის ჩვენი და ყველა ცოცხალი არსების საერთო სახლი?

ე. ი. რასთან ვიყოფთ ადამიანები ამ ჩვენი **საერთო სახლის** სიკეთეს (ყველა ცოცხალ არსებასთან: ცხოველებთან, ფრინველებთან, მწერებთან, ქვეწარმავლებთან, წყლის ბინადრებთან, მცენარეებთან)?

- იცხოვრებს ადამიანი კარგად, თუ არ მოუფრთხილდება ამ ყველაფერს? – პაწაწინა მწერიც კი აუცილებელია, რომ მცენარე გამრავლდეს, მცენარეებს მოაქვთ ჟანგბადი, ტყეები ბადებენ წყაროებს და ა. შ.
- რა უხარია წყაროს?

აქტივობა 2. ტექსტის გაგების რუკაზე მუშაობა

რესურსი 2. ტექსტის გაგების რუკა

1. დავაკვირდეთ სათაურს	რაზე მიგვანიშნებს, პერსონაჟზე თუ მთავარ პრობლემაზე?	სად მეორდება სათაური?
2. მთავარი შეკითხვა	რითი იწყება ლექსი?	რა შინაარსისაა წინადადება?
3. რა პასუხი გაეცა მთავარ შეკითხვას?	ამ პასუხთა შორის რომელია ყველაზე მთავარი?	რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ?

აქტივობა 3. ლექსიკური სავარჯიშო სახელმძღვანელოდან გვ. 93

რესურსი 1. ა. წერეთლის ლექსი ,,ყმაწვილი და პეპელა“

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით კითხვების დასმა: რა იციან პეპლის შესახებ? წელიწადის რომელ დროს ვხვდებით მათ? რამდენ ხანს ცოცხლობენ ისინი? – და ა.შ.
აქტივობა 2. ლექსის წაკითხვა და მის გააზრებაზე მუშაობა; კითხვებზე პასუხი
აქტივობა 3. ლექსიკაზე მუშაობა. სიტყვების – „იამა“, ,,ალერსი“, ,,საზრდო“, ,,უზრუნველად“ – განმარტება; ახალი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა
აქტივობა 4. ლექსის მთავარი იდეის გააზრება. რისი თქმა უნდა ავტორს?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი 1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები :** მხატვრული ჟანრი-ზღაპარი თემა, დედააზრი,პერსონაჟები. დეტალი.	**საკითხი: ბუნების დაცვის წესების შემუშავება** **ქვესაკითხი:** რ. კიპლინგის ზღაპრის ,,მაუგლი“ თემა, დედააზრი, პერსონაჟები, არსებითი და არაარსებითი დეტალები **საკვანძო შეკითხვა**: რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? როგორ ვაჩვენო მკითხველს, რომ უნდა დაიცვას ბუნება და მისი ყველა ბინადარი? შეესაბამება თუ არა ჩემი შექმნილი წესები ზღაპრის დედააზრს?
	კომპლექსური დავალება: ბუნების დაცვის წესების შექმნა შექმენი ბუნებაში სწორად მოქცევის წესები, რომელშიც ასახავ შესწავლილი ნაწარმოების **რ.კიპლინგის ზღაპრის „მაუგლი“** მთავარი სათქმელის შენეულ გაგებას; ამისათვის

	გაიხსენე ამავე თავში შესწავლილი ლექსები: ,,ვისი ხარ წყაროვ, ვისი“, ,,ყმაწვილი და პეპელა“; ნაშრომი გააფორმე ილუსტრაციით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები:** ***<u>ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>*** ▪ რით უკავშირდება შენი მოფიქრებული წესები შესწავლილი ნაწარმოების დედააზრს (ტ. 1. 2. 3); ▪ აზრობრივი კავშირი სათაურს, წესებსა და ილუსტრაციას შორის (ტ.3).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გააქტიურება

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რისი ცოდნა გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

რესურსები, აქტივობები

ნაბიჯი 1. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის გასაგებად? წარმოაჩინე რით, რა მინიშნებებით უკავშირდება შენი მოფიქრებული წესები შესწავლილი ნაწარმოების მთავარ აზრს (ტ. 1. 2. 3)? აზრობრივი კავშირი სათაურს, წესებსა და ილუსტრაციას შორის (ტ.3)?

ქვესაკითხები: ზღაპრის ,,მაუგლი“ თემა, დედააზრი, პერსონაჟები, არსებითი და არაარსებითი დეტალები

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტზე „მაუგლი“
წაიკითხე სათაური და დაუკვირდი ნახატებს, რაზე მოგვითხრობს ეს ნაწარმოები.

აქტივობა 2. ტექსტის ლექსიკური დამუშავება და კითხვებზე პასუხის გაცემა

1. რომელი სიტყვის მნიშვნელობაც არ იცით, მოძებნეთ სიტყვის სკივრში.

2. თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცით და არც სიტყვის სკივრშია, შეეცადეთ სტროფის, წინადადების მიხედვით დაადგინოთ შინაარსი; სავარაუდო პასუხი ჩაიწერეთ.

3. ამოწერეთ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ვერ დაადგინეთ.

4. თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განიხილეთ ყველა შემთხვევა.

აქტივობა 3. პასუხი გაეცი კითხვებს

როგორი იყო მაუგლი, როდესაც იგი მგლებმა იპოვეს?	მოძებნე ტექსტში და წაიკითხე
რა გააკეთა პატარა მაუგლიმ?	მოძებნე ტექსტში და წაიკითხე
რამ გადააწყვეტინა დედა მგელს, რომ მაუგლი დაეცვა და შვილად მიეღო?	უპასუხე შეკითხვას
როგორი გახდა მაუგლი?	მოძებნე ტექსტში და წაიკითხე
ბალუს რა მიაჩნია სიძლიერეზე მნიშვნელოვნად? რისი სწავლება დაუწყო მან მაუგლის?	უპასუხე შეკითხვას
რას გვეუბნება ტყისა და წყლის კანონი? როგორ უნდა მოექცე ყველა ცოცხალ არსებას?	მოძებნე ტექსტში და წაიკითხე
რა იყო ჯუნგლის კანონში ყველაზე მთავარი ფრაზა, რომელიც მაუგლიმ ბუნების ყველა ენაზე იცოდა?	მოძებნე ტექსტში და წაიკითხე
რას ნიშნავს „ჩვენ, მე და შენ, ერთი სისხლისანი ვართ“?	უპასუხე შეკითხვას
რატომ ვეღარაფერი დაემუქრებოდა მაუგლის?	უპასუხე შეკითხვას
რას გვასწავლის ეს ნაწარმოები?	უპასუხე შეკითხვას

როგორ ფიქრობ, ეს ამბავი სრულად გამოგონილია, თუ მომხდარა ასეთი რამ?

იცით თუ არა, რომ ...

არსებობს უძველესი ლეგენდა რომის დამაარსებლების, რომულუსისა და რემუსის შესახებ, რომლებსაც მგელი კვებავდა. ამასთანავე, პირველი მაუგლი ბავშვის შესახებ ჩანაწერი 700 წლის წინანდელია, მას შემდეგ არაერთი შემთხვევა აღმოაჩინეს და შეისწავლეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

აქტივობა. 4. ნახეთ მულტფილმი „მაუგლი“ და ისაუბრეთ თქვენი შთაბეჭდილებების შესახებ

დაასრულე წინადადებები

ყველაზე მეტად მომეწონა ...
ყველაზე მეტად განვიცადე ...
ყველაზე მეტად გამამხიარულა...
ყველაზე მეტად მეწყინა...
ყველაზე მეტად გამიხარდა ...
ჩემი საყვარელი პერსონაჟია...

იდეების ორგანიზება:

იმსჯელე: რა შემიძლია გავაკეთო ჩვენი საერთო სახლისთვის.
გაითვალისწინე ყველა ის საკითხი, რომელზეც კლასში ისაუბრეთ.
დაფიქრდი:

1. ზრუნავდი თუ არა ბუნებაზე? მოიყვანე ერთი მაგალითი.
2 .რა დაგანახა ნაწარმოების შესწავლამ? რა შესძლებიათ მტაცებელ ცხოველებს – მგლებს?
3. რა ახალი ინფორმაცია შეიძინე?
4. რა დასკვნა გამოიტანე ?
5. რას გააკეთებ ჩვენი საერთო სახლის კეთილდღეობისათვის?

ბუნების დამცველები ფიქრობენ, რომ ადამიანებმაც უნდა გაითვალისწინონ ჯუნგლის კანონი.
თქვენ რას ფიქრობთ?
უნდა დავიცვათ თუ არა ბუნება?

გეზისმიმცემი კითხვები:

ჩამოწერეთ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ბუნება უფრო დაცული იყოს.

როგორ უნდა მოვიქცეთ ბუნებაში გასეირნების შემდეგ?
რას იწვევს ტყის განადგურება?
როგორ შეგვიძლია, მოვუფრთხილდეთ ტყეს, ცხოველებს, ფრინველებს?
განასკუთრებით რაზე უნდა ვიზრუნოთ?
როგორ დავეხმაროთ ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ უპატრონო ცხოველებს?
როგორ ვიზრუნოთ მათ უსაფრთხოებაზე?
როგორ ვიზრუნოთ წყაროების სისუფთავეზე?
როგორ დავიცვათ მდინარის ხეობები დაბინძურებისგან?

კომპლექსური დავალების წარდგენა:

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 2**
სამიზნე ცნება - სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I). 4, 5, 6) • **ქვეცნება**: აღწერა; წერის სტრატეგიები	**საკითხი:** აღწერითი ტექსტის შედგენა სურათზე დაყრდნობით ,,გასეირნება ტყეში“ **ქვესაკითხი:** ტყეში ადამიანების დასვენების ამსახველი სურათის აღწერა, მდებარეობის აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები (მაგ., ზევით, შუა, ახლოს, ირგვლივ, ქვემოთ, გადაღმა, გვერდით, მარჯვნივ, ხეზე, წინა პლანზე, უკანა პლანზე); ნიშან-თვისებების (მაგ., ზომის, ფორმის, ფერის, რაოდენობის) აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები. **საკვანძო შეკითხვა** : როგორ შევადგინო ნახატის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს, გაუცოცხლდეს იგი? **კომპლექსური დავალება:** სურათის აღწერა ,,გასეირნება ტყეში“ ზეპირად აღწერე მოცემული ილუსტრაცია.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: . 1.მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) *აღწერისას ხაზგასმით წარმოაჩინე:* • აღწერის მიმართულება (მაგ., „ახლოდან შორს“ /წინა პლანი - უკანა პლანი)(ს. 3); • დეტალები: რა მოჩანს, ვინ და ვინ არიან გამოსახული სურათზე, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი, როგორები არიან, რა ჩანს გარშემო, როგორ ამინდია (ს.2); • ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა – აღწერისას გამოიყენე, მაგალითად: აქეთ, იქით, შუაში, უკან, წინ (ს.1).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?
- რისი შესწავლა დაგვჭირდებათ?

ნაბიჯი 1. *წარმოაჩინე:* აღწერის მიმართულება (მაგ., „ახლოდან შორს“ /წინა პლანი - უკანა პლანი (ს. 3); დეტალები: რა მოჩანს, ვინ და ვინ არიან გამოსახული სურათზე, სად იმყოფებიან, რას აკეთებენ ისინი, როგორები არიან, რა ჩანს გარშემო, როგორ ამინდია (ს.2); ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა - აღწერისას გამოიყენე, მაგალითად: აქეთ, იქით, შუაში, უკან, წინ (ს.1).

რესრუსები/აქტივობები

რესურსი 1. აღწერითი ტექსტი ილუსტრაციით

ტექსტი 1. ილუსტრაციის აღწერა

სურათზე ვხედავთ ლამაზ ბუნებას. კარგი ამინდია. სურათის წინა პლანზე ჩანს ოთხი ბავშვი, რომლებიც ბუნებაში ისვენებენ. შუაგულში კოცონი ანთია. ცეცხლი წითელ და ყვითელ ფერებში ბრიალებს. მარცხნივ, მწვანე მინდორზე, ყავისფერთმიანი გოგონა ზის. მას ხელში შავი ფოტოაპარატი უჭირავს. გოგონას უკან მაღალი ხე დგას. ფოტოაპარატიანი გოგონას მარჯვნივ ბიჭუნა ზის. მას ქერა თმა აქვს. ბიჭს ტანზე მუქი მწვანე ტანსაცმელი აცვია. მისგან მარჯვნივ ჟოლათმიანი გოგონა ზის. მას ლამაზი მზის ქუდი ხურავს. ქუდიანი გოგონას მარჯვნივ კიდევ ერთი გოგონაა. ის ფეხზე დგას. გოგონას გაშლილი თმა აქვს და თავზე ყვითელი ლამაზი სამაგრები უკეთია. მას მეგობარი სურათს უღებს. გარშემო აბიბინებული პატარა გორაკებია. შორს მოჩანს მწვანეფოთლიანი ხეები. ბავშვებს მხიარული სახეები აქვთ. ეტყობათ, სახალისო ამბებს ყვებიან.

აქტივობა 2. მაორგანიზებელ ცხრილში ჩავწეროთ აღწერით ტექსტში მოძებნილი სიტყვები:

რესურსი 2. მაორგანიზებელი ცხრილი

ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები:	
ფერების აღმნიშვნელი სიტყვები:	
ზომის აღმნიშვნელი სიტყვები:	
გარეგნობის აღმნიშვნელი სიტყვები:	

გეზისმიმცემი შეკითხვები :

- ამ აღწერის მიხედვით, თვალწინ წარმოგიდგათ თუ არა ყველაფერი, რაზედაც ლაპარაკია ტექსტში?

- სურათი რომ არ გენახათ, შეძლებდით ამ აღწერით მის წარმოდგენას?
- შეგვიძლია თუ არა, ვთქვათ, რომ ეს ტექსტი კარგი აღწერის მაგალითია?
- რა ყოფილა კარგი აღწერა?

აღწერის მახასიათებლების გამოკვეთა
აღწერა უნდა იყოს ისეთი, რომ მსმენელს/მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს ყველაფერი. ამისათვის აღწერის დროს უნდა გამოვიყენოთ:

- მდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები;
- . . .
- . . .

აქტივობა 3. ნიმუშის გათვალისწინებით აღწერე შემოთავაზებული სურათი

რესურსი 2. აღსაწერი სურათი

როგორ აღწერე სურათი?
რაზე გაამახვილე ყურადღება?
კიდევ რას გაითვალისწინებ მომავალში აღწერისას?
აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ გგონია, რომ შენი ნამუშევარი აღწერაა?
- რითი განსხვავდება შესრულებული დავალება მეგობრების დავალებებისგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?
- ვისთან ერთად იმუშავე კომპლექსურ დავალებაზე? რით და როგორ დაეხმარეთ ერთმანეთს?
- იყო თუ არა განსხვავებული მოსაზრებები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემა N10. წელიწადის დროები **საათების სავარაუდო რაოდენობა – 28 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: • გ. ჭიჭინაძის ლექსი ,,ნეკერჩხალი“; • გ. ჭიჭინაძის ლექსი ,,რთველი“; • გ. ქუჩიშვილის ლექსი ,,ზამთარი“; • თ. ბიბილურის მოთხრობა ,,გაზაფხული“; • მ. მაჭავარიანის ლექსი ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“; • ა. არაბიძის ლექსი ,,წელიწადი და თორმეტი თვე“.		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** წელიწადის დროების თემაზე შექმნილი ტექსტების: ,,ნეკერჩხალი“, ,,რთველი“, ,,ზამთარი“ , ,,გაზაფხული“, ,,ირვლივ მწვანე ზაფხულია“ გამომხატველი პოსტერის შექმნა.	**საკითხი 2.** წელიწადის დროების შედარება ილისტრაციის მიხედვით
ტექსტი: პოსტერი **ტექსტების შინაარსობრივი მხარე, იდეა** **გაგებისა და წერის სტრატეგიები**	**ქვესაკითხები**: ტექსტების: ,, ნეკერჩხალი“, ,,რთველი“, ,,ზამთარი“ , ,,გაზაფხული“, ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“ – თემა; პერსონაჟი, სათაური, პოსტერის სტრუქტურა, ვიზუალური ეფექტები; კითხვის სტრატეგიები.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: შედარება შედარების მახასიათებლები;		**ქვესაკითხები:** მსგავსებან-განსხვავების აღმნიშვნელი სიტყვები; ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვები;
	კომპლექსური დავალება 1. მკითხველის პოსტერი	**კომპლექსური დავალება 2**. წელიწადის დროების შედარება

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები : არამხანვრული ჟანრი-** პოსტერი, **ტექსტების შინაარსობრივი მხარე, იდეა;**	**საკითხი:** წელიწადის დროების თემაზე შექმნილი ტექსტების – „ნეკერჩხალი“, ,,რთველი“, ,,ზამთარი“ , ,,გაზაფხული“, ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“, ,,წელიწადი და თორმეტი თვე“ – მთავარი იდეის გამომხატველი პოსტერის შექმნა. **ქვესაკითხი:** ტექსტების :,, ნეკერჩხალი“, ,,რთველი“, ,,ზამთარი“ , ,,გაზაფხული“, ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“, ,,წელიწადი და თორმეტი თვე“ –

გაგებისა და წერის სტრატეგია	იდეა/დედააზრი; თემა; პერსონაჟები, სათაური, პოსტერის სტრუქტურა, ვიზუალური ეფექტები; კითხვის სტრატეგიები. **საკვანძო შეკითხვები:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტების გასაგებად? როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა მკითხველის პოსტერი ? რამდენად შეესაბამება ჩემს პოსტერზე წარმოდგენილი მაგალითები წელიწადის დროების თემაში შესწავლილი ნაწარმოებების დედააზრს? **კომპლექსური დავალება - მკითხველის პოსტერი** **კომპლექსური დავალების პირობა:** განაწილდით ჯგუფებში და შექმენით საერთო პოსტერი თემაზე – „წელიწადის ოთხი დრო“. პოსტერის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ წარწერები, ნახატები, სურათები. პოსტერისთვის შეარჩიეთ და წარმოადგინეთ მაგალითები შესწავლილი ტექსტებიდან („ნეკერჩხალი“, „რთველი“, „ზამთარი“, „გაზაფხული“, ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“), ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან, რომლებიც შეესატყვისება წელიწადის დროებს; გამოიყენე ახლად ნასწავლი სიტყვები, მოკლე წინადადებები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**შეფასების კრიტერიუმი –** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) ***<u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u>*** • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პოსტერია (ტ. 1,2,3); • რით უკავშირდება თქვენი პოსტერი შესწავლილი ნაწარმოებების თემას, თქვენს გამოცდილებას (ტ. 1,2); • რისი თქმა გინდოდათ ამ პოსტერით (ტ.1); • როგორ გამოიყენეთ სხვადასხვა ზომისა და ფერის ასოები, სურათებისა და ილუსტრაციების განლაგება მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად (ტ3) .

ნაბიჯი 1. რა მინიშნებები და სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად ; რითი, რა საშუალებებით, რა მინიშნებებით გამოხატავს შენი პოსტერი ნაწარმოების დედააზრს ;

ქვესაკითხები: იდეა/დედააზრი, თემა, პერსონაჟი, სათაური.

რესურსები, აქტივობები;

რესურსი 1. ა. არაბიძის „წელიწადი და თორმეტი თვე“

რესურსი 2. შეფასების კრიტერიუმები დამკვირვებლისთვის

რესურსი 3. მკითხველის დღიური

აქტივობა 1. ორი შეკითხვის მოფიქრება (ერთი შეკითხვის პასუხი პირდაპირ უნდა იყოს მოცემული ტექსტში, მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემა კი – უნდა ითხოვდეს მინიშნებებზე დაკვირვებასა და დასკვნის გამოტანას).

აქტივობა 2. ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა კონტექსტზე დაყრდნობით; ახალი სიტყვებით /შესიტყვებებით წინადადებების მოფიქრება

აქტივობა 3. ვარჯიში გაწაფულად და გამომსახველობითად წაკითხვაში და კითხვის გაუმჯობესება დამკვირვებლის (კლასელის, მასწავლებლის, უფროსის) დახმარებითა და შეფასების სქემის გამოყენებით

აქტივობა 4. მთავარი აზრის ამოცნობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ტექსტთან მიბრუნება მინიშნებებზე დასაკვირვებლად.

აქტივობა 5. მკითხველის დღიურის შევსება.

აქტივობა 6. შერჩეული ნაწყვეტის გამომსახველობითად, გამოთქმით წაკითხვა.

აქტივობა 7. ანალოგიურად დამუშავდება: გ. ჭიჭინაძის ლექსი ,,ნეკერჩხალი“, გ. ჭიჭინაძის ლექსი ,,რთველი“, გ. ქუჩიშვილის ლექსი ,,ზამთარი“, თ. ბიბილურის მოთხრობა ,,გაზაფხული“, მ. მაჭავარიანის ლექსი ,,ირგვლივ მწვანე ზაფხულია“.

აქტივობა 8 დავალებების ჯგუფებში დამუშავება: გაზაფხულის ჯგუფი: მოთხრობა „გაზაფხული“, შემოდგომის ჯგუფი: ,,ნეკერჩხალი“, ,,რთველი“ და ა. შ.

ნაბიჯი2. რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია; რა სტრატეგიები გამოიყენე ნაშრომის შექმნისას ? რა ვიზუალური ეფექტები გამოიყენე სათქმელის გამოსაკვეთად?

ქვესაკითხები: პოსტერის სტრუქტურა, ვიზუალური ეფექტები

აქტივობა 1: პოსტერის არსებითი მახასიათებლების გახსენება

- ✓ რა საერთო მახასიათებლები აქვს პოსტერებს? რით ჰგავს ერთმანეთს ყველა პოსტერი?
- ✓ აქვთ თუ არა წარწერები, ილუსტრაციები?
- ✓ შეესაბამება თუ არა ერთმანეთს წარწერები და ილუსტრაციები?
- ✓ თვალსაჩინოა თუ არა ავტორის სათქმელი ?
- ✓ რა საშუალებებს იყენებენ? რამდენად გამოკვეთს გამოყენებული საშუალებები მთავარ სათქმელს (მაგ., სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივად განლაგება)?
- ✓ როგორი წინადადებებია გამოყენებული?
- ✓ რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ?
- ✓ რას იტყოდით, როგორი უნდა იყოს კარგი პოსტერი?
- ✓ გვეხმარება თუ არა ნაწარმოების კარგად გაგება პოსტერის შექმნაში? როგორ? რით?

რესურსი 1. კრიტერიუმების ბადის ნიმუში
აქტივობა 2. პირველადი ვერსიის შემოწმება კრიტერიუმის ბადის გამოყენებით; თვითშეფასება

გ = გასაუმჯობესებელია კ = კარგია		
	მე	მასწავლებელი ან თანაკლასელი
შეესაბამება თუ არა შენ მიერ მოყვანილი მაგალითი მოთხრობის დედააზრს?		
შეესაბამება თუ არა ერთმანეთს აზრობრივად პოსტერის სათაური, წარწერა და ილუსტრაციები?		
ხელს უწყობს თუ არა ვიზუალური ეფექტები სათქმელის გამოკვეთას?		
სწორადაა დასმული სასვენი ნიშნები?		
რა არის გასაუმჯობესებელი? ----------		

აქტივობა 3. იდეების გენერირება
აქტივობა 4. პოსტერისთვის ილუსტრაციების შერჩევა ან მომზადება; პოსტერის პირველადი ვერსიის მომზადება
აქტივობა 5. ნამუშევრის გაუმჯობესება; საბოლოო ვერსიის შექმნა

პოსტერების გამოფენა, დავალების წარდგენა

- რომელი პოსტერი მომეწონა?
- რა მომეწონა ჩემი კლასელის პოსტერში?
- რითი იყო საინტერესო, დასამახსოვრებელი?
- რით ჰგავს, რით განსხვავდება ჩემი პოსტერისაგან?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი:

- რატომ გგონია, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია?
- რა მიზნით შექმენი პოსტერი?
- რა გაგიჭირდა დავალებაზე მუშაობისას, რა გაგიადვილდა?
- რა გააკეთე – რა თანმიმდევრობით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება?

- სად გამოიყენებ ახლადშეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი შენთვის? სხვისთვის?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანმიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი თანაკლასელების ნამუშევრებიდან რომელი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ? რით?

ძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** შედარება; შედარების მახასიათებლები.	**საკითხი:** წელიწადის დროების შედარება ნახატებზე დაყრდნობით. **ქვესაკითხები:** მსგავსება-განსხვავების, მაპირისპირებელი სიტყვები; ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვები. **საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევადარო წელიწადის ოთხი დრო ილუსტრაციებზე დაყრდნობით? **კომპლექსური დავლება:** ნახატების მიხედვით წელიწადის დროების შედარება დააკვირდი, რა განსხვავებაა ამ ოთხ ნახატს შორის. აღწერე თითოეული მათგანი, შეუსაბამე ისინი წელიწადის შესაბამის დროს წერილობით შეავსეთ მახასიათებლის ცხრილი და მასზე დაყრდნობით ზეპირად შეადარე დროები ერთმანეთს.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება; 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **შედარებისას წარმოაჩინე :** • რა მსგავსება და განსხვავებებია წელიწადის ოთხ დროს შორის, გამოიყენე მრავალფეროვანი სიტყვები (ს.1,2.); • რის მიხედვით შეადარე ოთხი დრო ერთმანეთს (ს.3); • მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე (ს.1)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
ნაბიჯი1. რის მიხედვით შეადარე ოთხი დრო ერთმანეთს? (ს.3.)
ქვესაკითხი: წელიწადის ოთხი დროის ამსახველი ილუსტრაციების ზეპირი შედარება შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები); სიტყვები: „ხოლო“ და „მაგრამ“.

რესურსები და აქტივობები
რესურსი 1. ერთობლივად შემუშავებული სიტყვის რუკა
აქტივობა 1. ინდივიდუალურ ბარათებზე ზამთრის სამი მახასიათებლის დაწერა
აქტივობა 2. გონებრივი იერიშით ზამთრის მახასიათებლებლებზე, დაფაზე ჩამოწერა.
აქტივობა 3. „ზამთრის“ სიტყვის რუკის შექმნა: მახასიათებლების დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით (მაგ. ამინდი, გართობა), მონაცემების გამდიდრება

შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- ზამთრის რომელი სამი მახასიათებელი გახსენდებათ?
- რით ხასიათდება კიდევ ზამთარი? რა გახსენდებათ, როცა ზამთარზე ფიქრობთ? კიდევ?
- როგორ დავაჯგუფოთ თქვენ მიერ დასახელებული მახასიათებლები? რა შეიძლება დავაჯგუფოთ ერთად?
- რომელი კატეგორიები გამოიკვეთა? რამდენია?
- კიდევ რა გახსენდება ამ კატეგორიასთან (მაგ., ჩაცმულობასთან, ამინდთან, გასართობებთან) დაკავშირებით? რით შეიძლება გავამდიდროთ ჩვენი „სიტყვის“ რუკა?

ნაბიჯი 2. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ოთხ დროს, ოთხ ილუსტრაციას შორის (ს.2)? მსგავსებისა და განსხვავების აღმნიშვნელი რომელი სიტყვები და წინადადებები გამოიყენე (ს.1)?

რესურსები/აქტივობები
რესურსი 1. ერთობლივად შემუშავებული სიტყვის რუკები
რესურსი 2. სამუშაო ცხრილი შედარებისთვის
რესურსი 3. კრიტერიუმების ბადის ნიმუში
რესურსი: მსმენელის დღიური
აქტივობა 1. „ზაფხულის“, „გაზაფხულის“, „შემოდგომის“ სიტყვის რუკების შედგენა უკვე შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით (რით ხასიათდება, რით გამოირჩევა?);
აქტივობა 2. ცხრილზე დაყრდნობით შედარებითი ტექსტის ზეპირად ჩამოყალიბება მეწყვილესთან/სხვასთან მისი გაუმჯობესების მიზნით.

დავალების წარდგენა.
შეკითხვები ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად:

- შემოდგომის/გაზაფხულის/ზაფხულის რომელი მახასიათებელი გახსენდებათ ჩვენ მიერ დადგენილი კატეგორიების მიხედვით?
- როგორ გამოიყურება ერთი ეზო წლის სხვადასხვა დროს? როგორი ამინდი იცის ზამთარში?
- რა ზის ხის ტოტზე?

- როგორია ტოტი?
- რა დროა პირველ სურათზე ? როგორია დღე-ღამის ხანგრძლივობა? როგორი ტემპერატურაა?
- რომელი ფერები ჭარბობს მესამე სურათზე? როგორი ხმები ისმის სოფლად, ბუნებაში?
- რას საქმიანობენ წელიწადის ამ დროს სოფლად ?
- რომელია თქვენი საყვარელი გასართობი წელიწადის ამ დროს?
- რომელი გასართობებია საერთო წელიწადის სხვადასხვა დროისთვის?
- რომელია განსხვავებული?
- რაიმე კატეგორია ხომ არ უნდა დავამატოთ კიდევ?
- წელიწადის რომელ დროებს აირჩევ შესადარებლად?
- როგორ გადაიტან „სიტყვის რუკის“ მონაცემებს ცხრილში?
- როგორ წარმოადგენ ცხრილის მონაცემებს?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი ნამდვილად შედარებაა?
- რით გაიმდიდრე ცოდნა-გამოცდილება? სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა დაგეხმარა შედარებაში, რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით? რომელი მსგავსება ან განსხვავება დაასახელა ისეთი, რომლისთვისაც შენ ყურადღება არ მიგიქცევია?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

თემაN 11. საქართველო-ჩვენი სამშობლო **საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 სთ.**		
თემაში გამოყენებული ტექსტები: • ცირა ქიტიაშვილის ლექსი ,,ჩემი სოფელი“; • ნოდარ დუმბაძის ლექსი ,,მღერიან თუშის ბიჭები“; • დუტუ მეგრელის ლექსი ,,საქართველო“; • საქართველო ჩვენი სამშობლოა.		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი1.** წერილი თუშ ბიჭებს (ნოდარ დუმბაძის ლექსის ,,მღერიან თუშის ბიჭები“ მიხედვით)	**საკითხი 2.** სურათის ,,ჩემი სოფლის ეზო“ ზეპირად აღწერა სათანადო სტრუქტურა-აგებულებისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით
ტექსტი ქვეცნებები: მხატვრული ჟანრი-ლექსი;	**ქვესაკითხები**: ლექსის „მღერიან თუშის ბიჭები“ თემა, დედააზრი, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, პიროვნული	

<u>საკომუნიკაციო სიტუაცია,</u> მიზანი, თემა, ადრესატი; ტექსტის გაგების სტრატეგია; წერის სტრატეგია.	მახასიათებლები, გრძნობები; ახალი სიტყვები; წერილის მახასიათებლები. ტექსტის გაგების სტრატეგია; წერის სტრატეგიები: კრიტერიუმების ბადის შექმნა, იდეების გენერირება; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება.	
სიტყვა, წინადადება, ტექსტი; **ქვეცნება**: აღწერა; აღწერის მახასიათებლები.		**ქვესაკითხები:** აღწერა; აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები
	კომპლექსური დავალება 1. წერილი თუშ ბიჭებს	**კომპლექსური დავალება 2.** სურათის დამოუკიდებლად აღწერა

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება **ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) **ქვეცნებები :** მხატვრული ჟანრი-ლექსი; <u>საკომუნიკაციო სიტუაცია,</u> მიზანი, თემა, ადრესატი; ტექსტის გაგების სტრატეგია; წერის სტრატეგია.	**საკითხი:** წერილი თუშ ბიჭებს (ნოდარ დუმბაძის ლექსის ,,მღერიან თუშის ბიჭები“ მიხედვით) **ქვესაკითხი: ქვესაკითხები**: ლექსის „მღერიან თუშის ბიჭები“ თემა, დედააზრი, პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები; ახალი სიტყვები; წერილის მახასიათებლები. წერის სტრატეგიები: კრიტერიუმების ბადის შექმნა, იდეების გენერირება; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება. **საკვანძო შეკითხვები** : რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ნ. დუმბაძის ლექსის „მღერიან თუშის ბიჭები“ გასაგებად? როგორ მივწერო წერილი თუშ ბიჭებს? **კომპლექსური დავალება:** წერილი თუშ ბიჭებს **კომპლექსური დავალების პირობა**: მისწერე წერილი თუშის ბიჭებს წერილში: • გამოხატე შენი დამოკიდებულება მათ მიმართ; • ურჩიე, როგორ შეიძლება იზრუნონ მშობლიურ კუთხეზე, რა შეიძლება გააკეთონ მომავალში იმისთვის, რომ არ დაიცალოს სოფლები და ბავშვებს უხაროდეთ ამ სოფლებში ცხოვრება; • დაიცავი წერილის აგებულება (მიმართვა, მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება); გამოიყენე სათანადო სასვენი ნიშნები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:** • რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე წერილის მიწერა თუში ბიჭებისათვის (ტ.1,2,3);

2.ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3.ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	• რა ნაწილებისაგან შედგება შენი წერილი (ტ.3); • როგორ დაეხმარება შენი რჩევები მათ თავიანთი მიზნის მიღწევაში (ტ.1,2); • რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები (გრ. 1,2).

თემის ფარგლებში დამუშავებული ტექსტები:

რესურსი 1: „საქართველო ჩემი სამშობლოა“

რესურსი 2. ქარგა: გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე
აქტივობა 1. ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციის შესახებ ვარაუდების გამოთქმა;
აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა-დედააზრის გამოკვეთა;
აქტივობა 3. საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა მონიშვნებით;
აქტივობა 4. გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე – ცხრილზე მუშაობა;
აქტივობა 5. ხმამაღლა საჩვენებელი წაკითხვა;
აქტივობა 6. ექო წაკითხვა, ქოროში კითხვა, გაგრძელებით კითხვა;
აქტივობა 7. გამოკრებით კითხვა.

რესურსი 1.

დ. მეგრელის მიხედვით ლექსი ,,საქართველო“

აქტივობა 1. წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით
აქტივობა 2. ინფორმაციის მიწოდება ტაო-იმერხევზე, საინგილოსა და ლაზეთზე
აქტივობა 3. სამოდელო კითხვა
აქტივობა 4. გუნდური, ექოდ, გაგრძელებებით კითხვა
აქტივობა 5. ეპიზოდის **გაწაფული და გამომსახველობითი** კითხვა
აქტივობა 6. გონებრივი იერიში ლექსის დედააზრის ამოსაცნობად, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ტექსტთან მიბრუნება მინიშნებებზე დასაკვირვებლად

ანალოგიურად დამუშავდება ლექსი : ც. ქიტიაშვილის ლექსი ,, ჩემი სოფელი“

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება და დავალების მოთხოვნების გაცნობიერება :

- რას ფიქრობ, რატომ წერენ ადამიანები წერილს?
- შენ თუ დაგიწერია წერილი და ვის მისწერე?
- შენ თუ მოგწერა ვინმემ წერილი? რას გწერდნენ?
- როგორ ფიქრობ, სწორად იყო მიღებული წერილი შედგენილი (რა აკლდა)?
- რატომ ფიქრობ ასე?
- როგორ განასხვავებ თანატოლისთვის და უფროსისთვის მიწერილ წერილს?
- დაგეხმარება საკუთარი გამოცდილება ამ დავალების შესრულებაში?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და წარდგენა

ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტების გასაგებად.

ქვესაკითხები: ტექსტის გაგების სტრატეგია; ნაწარმოებების თემა, დედააზრი; პერსონაჟის ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, პიროვნული მახასიათებლები, გრძნობები; ახალი სიტყვები.

რესურსი 1. ნ.დუმბაძის ლექსი „მღერიან თუშის ბიჭები“

რესურსი 2. სიტყვის პირამიდა
აქტივობა1. ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდის გამოთქმა

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და მის გაგებაზე მუშაობა

აქტივობა 3. ლექსიკური ერთეულების დამუშავება / წინადადებების შედგენა მსგავს და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებზე (მუშავდება სიტყვები – მიტანტალებენ, მიიმღერიან, ხიჭვები, ღადარი; გამონათქვამები – „მთები უწყობენ ხმასაო“, „არ გავაცივებ ღადარსა“, „არ გამოვკეტავ კარსაო“)

აქტივობა 4. თუშის ბიჭების დახასიათება მოსწავლის წიგნში მოცემულ სავარჯიშოზე დაყრდნობით. „შემოხაზე, როგორები არიან თუშის ბიჭები“.

აქტივობა 5. ლექსიდან თუშის ბიჭების თვისებების მაგალითების მოყვანა.

ნაბიჯი 2. რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე წერილის მიწერა თუში ბიჭებისათვის (ტ.1,2,3)? რა ნაწილებისაგან შედგება შენი წერილი (ტ.3)? როგორ დაეხმარება შენი რჩევები მათ თავიანთი მიზნის მიღწევაში (ტ.1,2)? რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები (გრ. 1,2)?
ქვესაკითხები: წერილის მახასიათებლები; წერის სტრატეგიები.

აქტივობა 1. იდეების ორგანიზება

- თქვენი აზრით, ადვილია მთაში ცხოვრება? რატომ ფიქრობთ ასე?
- მაშ, რატომ არ უნდათ პატარა თუშ ბიჭებს თავიანთი სოფლების მიტოვება?
- რა დამოკიდებულება ჩამოგიყალიბდათ ამ ბავშვების მიმართ? რატომ?
- განსაკუთრებით რა მოგწონთ მათში?
- თქვენ რომ მათ ადგილზე იყოთ, რას გააკეთებდით სურვილის ასასრულებლად?
- რას ურჩევდით თუშ ბიჭებს, როგორ შეიძლება, რომ იზრუნონ მშობლიურ კუთხეზე?
- რა შეიძლება გააკეთონ მათ მომავალში იმისთვის, რომ არ დაიცალოს სოფლები და ბავშვებს უხაროდეთ იქ ცხოვრება?

რესურსი 1.

წერის დაწყებამდე	• გავიხსენოთ, ვისთვის წერთ წერილს; • დავფიქრდეთ, რის სათქმელად აპირებთ წერილის მიწერას? • შევადგინოთ დამხმარე გეგმა-ჩარჩო.
წერის დროს	• შევქმნათ პირველი, შავი ვარიანტი გეგმა-ჩარჩოს დახმარებით.
წერის შემდეგ	• გადავიკითხოთ მკითხველის თვალით; • კრიტერიუმების გამოყენებით აღმოვაჩინოთ ხარვეზები, შეცდომები; • გავაუმჯობესოთ, გავასწოროთ შეცდომები; • გადავათეთროთ წერილი და მოვემზადოთ წერილის გამომსახველობითად წასაკითხად.

რესურსი 2. წერილის გეგმა-ჩარჩო

მიმართვა	როგორ მიმართავთ თუშ ბიჭებს?
ძირითადი ნაწილი	რა მიზნით მისწერ წერილს? როგორ გამოხატავ შენს დამოკიდებულებას თუში ბიჭების მიმართ? რა რჩევას მისცემ თანატოლებს ?
გამომშვიდობება, ხელმოწერა	როგორ გამოემშვიდობები მათ?

აქტივობა 3. წერილის ჩარჩოზე დაყრდნობით თუში ბიჭებისთის წერილის მიწერა
აქტივობა 4. ნაწერის შემოწმება

გ = გასაუმჯობესებელია **კ = კარგია**		
	მე	**მასწავლებელი ან თანაკლასელი**
წერილს აქვს სამი ნაწილი		
წერილში ჩანს, რა მიზნითაა დაწერილი		
წერილში დაცულია თანამიმდევრობა		
წერილში გამოკვეთილია ჩემი დამოკიდებულება		
მოყვანილია ჩემი რჩევა თუშის ბიჭებისთვის		
სასვენი ნიშნები სწორადაა გამოყენებული		
გასაუმჯობესებელია: ---------- ----------		

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ დავიწყო წერილის წერა?
- რომელი სიტყვები გამომადგება ამ წერილის შედგენისას?
- რა დავწერო წერილის ძირითად ნაწილში?
- რა მაინტერესებს, რა შეკითხვები მოვიფიქრო?
- როგორ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება თანატოლი თუში ბიჭების მიმართ?
- როგორ მივცე რჩევა ბავშვებს?
- როგორ დავასრულო წერილის წერა?
- რომელი სასვენი ნიშნები გამომადგება წერილში მიმართვისას, ამბის თხრობისას?
- რა დამეხმარება ნამუშევრის გაუმჯობესებაში (მაგ., ჩარჩოზე დაყრდნობით პირველადი ვარიანტის შემუშავება, კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათზე დაყრდნობით ნამუშევრის გაუმჯობესება, მკითხველის თვალით წაკითხვა)?
- რა კრიტერიუმები გამოვიყენო ნაწერის გასაუმჯობესებლად?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ დაწერე ასეთი წერილი?
- რა დაგეხმარა ამ წერილის შექმნაში?
- სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- რა გააკეთე, რა თანამიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რას დაამატებდი შენს აღწერას, რით გააუმჯობესებდი?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი და რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- თუ შეგისრულებია სხვა დროს მსგავსი დავალება?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 2**
სამიზნე ცნება: **სიტყვა, წინადადება, ტექსტი** (შედეგები: (I). 4, 5, 6) **ქვეცნება:** აღწერა, აღწერის მახასიათებლები.	**საკითხი:** სურათის ზეპირად აღწერა სათანადო სტრუქტურა-აგებულებისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით **ქვესაკითხი:** აღწერა; აღწერის სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი საშუალებები. **საკვანძო შეკითხვა**: • როგორ შევადგინო ნახატის აღწერა ისე, რომ მსმენელს თვალწინ წარმოუდგეს იგი? • რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო აღწერითი ტექსტის შესაქმნელად? **კომპლექსური დავალება:** აღწერითი ტექსტის შექმნა ნახატზე დაყრდნობით ზეპირად აღწერე სურათი, აღნიშნე დეტალები, როგორი გარემოა, რა არის გამოსახული, როგორი ამინდია.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები: 1. მიზნობრივი მთლიანობის შესაქმნელად, სათქმელის გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა. 2. მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის	**შეფასების კრიტერიუმი** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული) **აღწერისას წარმოაჩინე:** • რა არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში (ს 1,2); • სად იმყოფებიან, რას აკეთებენ, როგორები არიან (ს. 1, 2, 3);

მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს.	• ადგილმდებარეობის, აღწერის თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ (ს. 1, 2).

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, წინარე ცოდნის გაქტიურება

გეზისმიმცემი შეკითხვები:

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა არის გამოსახული სურათის ცალკეულ ნაწილებში? სად იმყოფებიან, რას აკეთებენ? როგორები არიან? ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვები გამოიყენე (მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, ზემოთ, ქვემოთ)?

რესურსი 1. აღწერითი ტექსტი ილუსტრაციით

რესურსი 2. აღსაწერი სურათი

აქტივობა 1. აღწერითი ტექსტის მახასიათებლების ამოცნობა

აქტივობა 2. სურათის აღწერის მოკლე და ვრცელი ვარიანტების შეადარება, განსხვავებული სიტყვების ხაზგასმით

აქტივობა 3. აღწერის გეგმის შედგენა

აქტივობა 4. საჭირო სიტყვების სკივრის მომზადება

აქტივობა 5. აღწერაში გავარჯიშება

აქტივობა 6. აღწერის გეგმის გაუმჯობესება

აქტივობა 7. დავალების წარდგენა

რატომ გგონია, რომ შენ მიერ დასახელებული ტექსტი არის აღწერითი?

- რომელი სიტყვები აღნიშნავს ამ ტექსტში ადგილმდებარეობას?
- რომელი სიტყვები აღნიშნავს საგანთა ნიშან-თვისებებს, ანუ როგორია საგნები?
- რომელი სიტყვები/ ფრაზებია დამატებული მეორე ტექსტში?
- ხაზგასმული სიტყვებიდან რომელი გამოხატავს ადგილმდებარეობას?
- დააკვირდი აღწერის მიმართულებას – საიდან იწყება და რა მიმართულებით გრძელდება?
- შეარჩიე თუ არა აღწერის მიმართულება(საიდან დაიწყე აღწერა (წინა პლანიდან, უკანა პლანიდან, შუადან, მარჯვნიდან, ქვევიდან....)?
- გაქვს თუ არა გამოყენებული ადგილმდებრეობის აღმნიშვნელი სიტყვები? რომლები?
- გაქვს თუ არა ნაშრომში საგნების/ადამიანების ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები?

დასასმელი შეკითხვების ბანკი კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მოსწავლეთა წინსვლისა და რეფლექსიის უნარის ხელშესაწყობად:

ახსენი, რა ცოდნა შეიძინე და წარმოაჩინე კომპლექსური დავალების საშუალებით.

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნამუშევარი აღწერაა?

რომელი სიტყვები გამოიყენეთ ადგილმდებარეობისა და საგანთა ნიშან-თვისებების აღსანიშნავად?

- სად და როგორ გამოიყენებ შეძენილ ცოდნას?
- რისი თქმა გინდოდა ამ ნამუშევრით? რით არის ის მნიშვნელოვანი?

აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე.

- როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი? რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?

აღწერე, რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

- რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელების რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

VI. საგანმანათლებლო რესურსი

https://el.ge/projects/iskola – ახალი საგანმანათლებლო პროექტი Iსკოლა

https://el.ge/webinars – ვებინარები

თამარ ჯაყელის ვებინარები:

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DcKrxLqmdPXs%26fbclid%3DIwAR0IpIzfyuaEBSU7WRF8j_jLtJHdA6IJZSwrUdpCdm1-SwUxWBZLumwqks0&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbOqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DBikbQeUr3mY%26fbclid%3DIwAR2f6kjXqIXpSs7K7N-ZkWQ63T7HUO1KBCmXk9vjhbAlLwGacUlEmHq5eUc&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbOqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

ნიკოლოზ სილაგაძის ვებინარი:

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.youtube.com%2Fwatch%3Fv%3DLIto-zJjgWM%26fbclid%3DIwAR3kfJV-c_U78KsF4AkDGc5GnVo8vQ3jHeHvPboxQLvWO5a4_UgF9A9Revw&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbOqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fmes.gov.ge%2Fcontent.php%3Fid%3D12552%26lang%3Dgeo%26fbclid%3DIwAR3ABoCuH7xhxWe9l5wKJazzvdl5t3wjSs1uGPcSrFAP6FCNPdsM3O1vBYo&h=AT3fluHsBRIK-GuHUfRnIeSZsgxxHmf9bf1TcpmImbOqB2L2W4eq-bE-VwO_kYlzxKizdOhj9Y9E-Ht2ZiPrS1M_YchpkE7bedgwuueGkNEHju_YiudAsXVcCmy4MC9zqclbIw (mes.gov.ge)

სიტყვობანა

ანდროიდ ვერსია: https://play.google.com/store/apps/details?id=com.Geolab.Sityvobana

iOS ვერსია: https://apps.apple.com/app/id1506972833

windows ვერსია: https://drive.google.com/file/d/1EUw6XVNdovF

მარცვლობანა

ანდროიდ ვერსია: https://play.google.com/store/apps/details?id=com.Geolab.Martsvlobana

iOS ვერსია: https://apps.apple.com/lb/app/martsvlobana/id1597064681

windows ვერსია: https://drive.google.com/file/d/1EUw6XV

ვსწავლობთ თამაშით windows ვერსია (64 bit):

https://drive.google.com/file/d/1lxhKKlpNfCOnsyOJ

ვსწავლობთ თამაშით windows ვერსია(32 bit):

https://drive.google.com/file/d/1ZtHXCTLXL0qhiOc

molaparake anbani, bmuli: http://buki.ge/programs-list.html

qamabuki, bmuli: http://buki.ge/programs-list.html

რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურის სია მასწავლებელთათვის

სწავლებისა და სწავლის, შეფასების, მოტივაციის ამაღლების, გაკვეთილის დაგეგმვისა და სხვა საკითხების უკეთ გაცნობის მიზნით, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები:

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, (2007), დამხმარე სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი.

განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის (2007), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები (2008), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი.

როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები, 2008.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები

1. სწავლება და შეფასება (2008), დამხმარე სახელმძღვანელო 2. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები.
3. განვითარებისა და სწავლის თეორიები.
4. ეფექტური სწავლება სკოლაში – რ. მარზანო.
5. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი – ჯ. თერნბული
6. ინტერკულტურული განათლება.
7. მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო
8. მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო
9. რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას (ფილმი და სახელმძღვანელო)
10. კლასის მართვა (ფილმი და სახელმძღვანელო)
11. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში
12. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისთვის
13. სტატიები განათლების საკითხებზე
14. კითხვის ეფექტური მეთოდები, გზამკვლევი
15. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი
16. სადამრიგებლო საათი(I-IV) – ნინო ლაბარტყავა

NAEC. Ge

დამხმარე სახელმძღვანელოები:

პროფესიული უნარები;

ეფექტიანი სწავლება.

ჟურნალი naec.ge
tpdc.gov.ge
რესურსები:
სახელმძღვანელოები;
სასწავლო ფილმები;
ინტერნეტ ჟურნალი;
ელექტრონული რესურსები;
ჟურნალი მასწავლებელი;
ელექტრონული ბიბლიოთეკა;
სოციალური კვლევა.

კომპექსური დავალებების ბანკი

https://www.mes.gov.ge/content.php?id=12821&lang=geo